

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI  
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



გლობალური - რეგიონალური უსაფრთხოების  
გამოწვევები და თავდაცვის ძალები

GLOBAL - REGIONAL SECURITY  
CHALLENGES AND DEFENSE FORCES



სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული  
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს  
ეროვნული თავდაცვის აკადემია  
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI  
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



გლობალური - რეგიონალური უსაფრთხოების  
გამონაცვლები და თავდაცვის ძალები

GLOBAL - REGIONAL SECURITY  
CHALLENGES AND DEFENSE FORCES

---

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული  
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

# სარჩევი

<b>„სართყალისა და გზის“ ინიციატივა - საქართველოს საბრუნველო პოტენციალი</b> მამია ბალახაძე	<b>6</b>
<b>სამხედრო ხიდები</b> ჭამბულ ფალოშვილი	<b>17</b>
<b>სამხედრო უკილოდო საფრენი აპარატების გუნდური გამოყენების პრობლემები</b> მამუკა ზოიძე / მივი სანაძე	<b>21</b>
<b>ასიმეტრიული ომის წარმოების თავისებურებები</b> ლევან მინსურაძე	<b>25</b>
<b>რუსეთის გავლენა უკრაინულ მედიაზე რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 2008 წლის აგვისტოში, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო ოპერაციების ნაწილი</b> არინა დანა სოროკინისკა ობინსკა	<b>30</b>
<b>შექვირი და ომის ხელოვნება: ლექციები XXI საუკუნის სამხედრო ლიდერთათვის</b> ედვარდ რ. რაუპი	<b>38</b>
<b>საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევების ახალი შესაძლებლობები ეროვნული უსაფრთხოებისათვის</b> თინათინ მშვიდლობაძე / გიორგი საზანდერიშვილი	<b>44</b>
<b>სასურსათო უსაფრთხოება - როგორც ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი</b> შალვა კვეციანი	<b>48</b>
<b>თანამედროვე ეკონომიკა გამოწვეული სტრესი და მისი მენეჯმენტი</b> თინათინ კროვანაძე	<b>55</b>
<b>ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაცია და მის გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაზე</b> ლევან გეგეშიძე	<b>58</b>
<b>ციფრული მარკეტინგი და სოციალური მედია, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების საშუალება</b> ნინო რუხაია-მოსემლავლიშვილი	<b>63</b>
<b>სახელმწიფო შესყიდვების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე</b> შალვა ჯულაყიძე	<b>67</b>
<b>ბანკთა მშვიდობისა და მდგრადი განვითარებისთვის</b> ქეთევან ფიაბრიშვილი	<b>71</b>

# CONTENT

<b>THE BELT AND ROAD INITIATIVE AND TRANSIT POTENTIAL OF GEORGIA</b> MAMIA BALAKHADZE	<b>6</b>
<b>MILITARY BRIDGE</b> JAMBUL ZALOSHVILI	<b>17</b>
<b>PROBLEMS OF GROUP USE OF MILITARY UNMANNED AERIAL VEHICLES</b> MAMUKA ZOIDZE / GIVI SANADZE	<b>21</b>
<b>PECULIARITIES OF ASYMMETRIC WARFARE</b> LEVAN MAISURADZE	<b>25</b>
<b>RUSSIAN INFLUENCE ON THE UKRAINIAN MEDIA DURING THE RUSSIAN- GEORGIAN WAR IN AUGUST 2008 AS PART OF THE INFORMATION OPERATIONS OF THE RUSSIAN FEDERATION IN THE POST-SOVIET SPACE</b> ARIADNA SOROKIVSKA-OBIKHOD	<b>30</b>
<b>SHAKESPEARE AND THE ART OF WAR: LESSONS FOR MILITARY LEADERS IN THE 21ST CENTURY</b> EDWARD R. RAUPP	<b>38</b>
<b>NEW OPPORTUNITIES FOR INFORMATION TECHNOLOGY ADVANCES FOR NATIONAL SECURITY</b> TINATIN MSHVIDOBADZE / GIORGI SAZANDRISHVILI	<b>44</b>
<b>FOOD SECURITY - AS ONE OF THE IMPORTANT CORNERSTONES OF THE COUNTRY'S SECURITY</b> SHALVA KVEZERELI	<b>48</b>
<b>STRESS CAUSED BY THE MODERN ERA AND ITS MANAGEMENT</b> TINATIN KROPADZE	<b>55</b>
<b>CHINA'S MILITARY MODERNIZATION AND ITS IMPACT ON REGIONAL SECURITY</b> LEVAN GEGESHIDZE	<b>58</b>
<b>DIGITAL MARKETING AND SOCIAL MEDIA AS A MEANS OF ECONOMIC SECURITY</b> NINO RUKHAIA-MOSEMGVDLISHVILI	<b>63</b>
<b>THE IMPACT ON STATE PROCUREMENT ON ECONOMIC INCREASE OF THE COUNTRY</b> SHALVA JULAKIDZE	<b>67</b>
<b>EDUCATION FOR PEACE AND SUSTAINABLE DEVELOPMENT</b> KETEVA CHIABRISHVILI	<b>71</b>

# „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა - საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი

**მამია ბალახაძე**

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი,  
საქართველოს და საქართველოს ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

## აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულის ისტორიულმა პროცესმა გვაჩვენა, რომ ევროკავშირის დაინტერესება კავკასიის რეგიონით, მათ შორის გეოპოლიტიკური ხედვით არის ნაკარნახევი. კავკასია წარმოადგენს „პართლენდის“ ჩაკეტილი სივრცის ერთადერთ გასასვლელს აზიის მიმართულებით უმოკლესი სავაჭრო მარშრუტის გასახსნელად. ამიტომ დემოკრატიული პროცესებისა და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობა ისევე, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის წესების დამკვიდრება ამ რეგიონში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. გეოპოლიტიკის საგანი, სხვა საკითხებთან ერთად კომერციული კავშირებისა და ეკონომიკურ-კულტურული თანამშრომლობის შესაძლებლობების გაძლიერებასაც წარმოადგენს. კავკასია საინტერესოა არა როგორც ბაზარი, არამედ ცენტრალური აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რესურსებით მდიდარი ბაზრებისკენ გამავალი მარშრუტების სტაბილური ალტერნატივა.

აღსანიშნავია, რომ ევროპა-აზიის სატრანსპორტო კორიდორის-„ტრასეკას“ პროექტი და „აბრეშუმის გზის“ აღდგენის მცდელობა რეგიონის სახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების მონაწილეობით განხორციელდა. როგორც ვიცით, აბრეშუმის გზა ფუნქციონირებდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8-7 საუკუნეებიდან და ამ გზის მეშვეობით ხდებოდა ჩინეთისა და ინდოეთის დაკავშირება ელენისტური სამყაროს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებთანაც და მოგვიანებით რომის იმპერიასთანაც. ინტენსიური ვაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საქართველოს ტერიტორიის გავლით შუა საუკუნეების პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ მე-13-14 საუკუნეებიდან მონღოლთა მიერ დასავლეთის მიმართულებით განხორციელებული აგრესიის შედეგად „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელობა შესუსტდა.

## THE BELT AND ROAD INITIATIVE AND TRANSIT POTENTIAL OF GEORGIA

**MAMIA BALAKHADZE**

LEPL - Georgian Technical University, Ph.D. student  
Doctoral Program in Law and International Relations

The historical process of the last decade has shown us that the EU's interest in the Caucasus region is driven by a geopolitical vision as well. The Caucasus is the only exit from the locked space of the Heartland to open the shortest trade route to Asia. Therefore, promoting democratic processes and economic reforms, as well as establishing international trade rules in this region is a critical task. The task of geopolitics is, among other things, to enhance trade links and economic-cultural cooperation opportunities. The Caucasus is interesting not as a market, but as a stable alternative to the resource-rich markets of Central Asia and Southeast Asia.

It is noteworthy that the Europe-Asia Transport Corridor Project - TRACECA and the attempt to restore the Silk Road was implemented by the states of the region with the participation of the world's leading democratic countries. As we know, the Silk Road has been in operation since the 8th-7th centuries BC, and through this route, China and India were connected to the Greek city-states of the Hellenistic period and later to the Roman Empire. Intensive trade between East and West through the territory of Georgia continued throughout the first half of the Middle Ages but unfortunately, as a result of the Mongol aggression in the West in the 13th-14th centuries the importance of the «Silk Road» has been weakened.

ბოლო ათწლეულის ისტორიულმა პროცესმა გვაჩვენა, რომ ევროკავშირის დაინტერესება კავკასიის რეგიონით, მათ შორის გეოპოლიტიკური ხედვით არის ნაკარნახევი. კავკასია წარმოადგენს „პართლენდის“ ჩაკეტილი სივრცის ერთადერთ გასასვლელს ამიის მიმართულებით უმოკლესი სავაჭრო მარშრუტის გასახსნელად. ამიტომ დემოკრატიული პროცესებისა და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობა ისევე, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის წესების დამკვიდრება ამ რეგიონში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. გეოპოლიტიკის საგანი, სხვა საკითხებთან ერთად კომერციული კავშირებისა და ეკონომიკურ-კულტურული თანამშრომლობის შესაძლებლობების გაძლიერებასაც წარმოადგენს. კავკასია საინტერესოა არა როგორც ბაზარი, არამედ ცენტრალური ამიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიის რესურსებით მდიდარი ბაზრებისკენ გამავალი მარშრუტების სტაბილური ალტერნატივა.

აღსანიშნავია, რომ ევროპა-ამიის სატრანსპორტო კორიდორის-„ტრასეკას“ პროექტი და „აბრეშუმის გზის“ აღდგენის მცდელობა რეგიონის სახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების მონაწილეობით განხორციელდა. როგორც ვიცით, აბრეშუმის გზა ფუნქციონირებდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8-7 საუკუნეებიდან და ამ გზის მეშვეობით ხდებოდა ჩინეთისა და ინდოეთის დაკავშირება ელენისტური სამყაროს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებთანაც და მოგვიანებით რომის იმპერიასთანაც. ინტენსიური ვაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საქართველოს ტერიტორიის გავლით შუა საუკუნეების პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა, მაგრამ სამუხაროდ მე-13-14 საუკუნეებიდან მონღოლთა მიერ დასავლეთის მიმართულებით განხორციელებული აგრესიის შედეგად „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელობა შესუსტდა.

შემდგომშიც გარეშე მტრების თავდასხმებმა და შიდაფეოდალურმა დაქსაქსულობამ საგრძობლად დააკნინა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობა. აღნიშნულ როლს საქართველო მოკლებული იყო აგრეთვე რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წელს საქართველოს ანექსიის შედეგად. გარკვეული პერსპექტივები გაჩნდა საქართველოს მიერ 1918 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობის შემდეგ. მაგალითად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ხელშეკრულება გააფორმა ამერბაიჯანის მუსავატისტურ მთავრობასთან, რომლის მიხედვითაც საქართველო ვალდებული იქნებოდა ყოველგვარი სატრანზიტო გადასახადების გარეშე გაეტარებინა ამერბაიჯანში მოპოვებული ნავთობი თავის ტერიტორიაზე მისი შემდგომი რეექსპორტის მიზნით შავ ზღვაზე. საქართველოს მიერ სატრანზიტო როლის შესრულებისათვის ამერბაიჯანი ვალდებული იქნებოდა მიეწოდებინა უფასოდ ჩვენი ქვეყნისათვის საწვავის გარკვეული რაოდენობა. 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და საბჭოთა ხელისუფლების სამოცდაათ წლიანი ბატონობის დროს, საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი საერთოდ დაკნინებული იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში უმძიმესმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა იჩინა თავი. ეს პრობლემები დამძიმდა თბილისში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამოქალაქო კონფლიქტების შედეგადაც, რამაც

გამოიწვია ლტოლვილთა დიდი ნაკადი საქართველოს ტერიტორიაზე.

დიდი როლი საქართველოს კრიზისიდან გამოსვლისა და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების დაინტერესების საკითხებში ითამაშა ორმა დიდმა პროექტმა: ჯერ

„აბრეშუმის გზის“ აღორძინებამ და შემდგომ კასპიის ენერგეტიკულმა პროექტებმა, სადაც საქართველომ, როგორც სატრანზიტო ქვეყანამ უდიდესი როლი შეასრულა.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განხილვისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის გეოპოლიტიკური ვითარება, რომელიც გარკვეულწილად განაპირობებდა და ხელს უწყობდა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარებას და რეალიზაციას. აქ პირველ რიგში გასათვალისწინებელია სსრკ-ის დაშლის ძირითადი შედეგები, რამაც შესაბამისად განაპირობა მსოფლიო წესრიგის კარდინალური ცვლილება, მოხდა ინტერესთა და გავლენის სფეროთა არსებითი გადასაცვლებები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვნენ მთელი რიგი ქვეყნები-საკმაოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო მოეხდინათ არსებული რესურსების მოპოვება და ექსპორტი, თავის მხრივ მდიდარი დასავლეთი დაინტერესებული იყო ახალი გავლენის სფეროების ათვისებით, შესაბამისად ინტერესების გარკვეული ტალღები გარდაუვალი იყო. არსებული ვითარება საქართველოს თავისი ადგილმდებარეობის გამო ხელს აძლევდა, რადგანაც საქართველო წარმოადგენდა ე.წ. ხიდს ამიასა და ევროპას შორის. 1992 წელს დაიბადა იდეა, რომ საქართველოში ევროპა-კავკასია-ამიის სატრანსპორტო დერეფანი შექმნილიყო. 1993 წელს ბრიუსელში ევროკომისიის მიერ მოწვეულ სამხრეთ და ცენტრალური ამიის რვა ქვეყნის მინისტრთა კონფერენციაზე შემუშავდა რეგიონალური პროგრამა - TRACECA, რომელიც მიზნად ისახავდა - რკინიგზის, საავტომობილო გზების, საზღვაო პორტების, ტერმინალების - მშენებლობის, რეკონსტრუქციას, მოდერნიზაციას და საბოლოოდ ევროპულ დერეფნებთან მიერთებას, რაც ნიშნავს ე.წ. „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენის სტრატეგიას [1, 333-335].

თანამედროვე პირობებში „ახალი აბრეშუმის გზის“ აღდგენა ნავარაუდევია სამი საყრდენი დარგობრივი პლაცდარმის: ენერგეტიკის, ტრანსკონტინენტური სატრანსპორტო სისტემისა და ტელეკომუნიკაციების ბაზაზე. ხოლო ღერძი ამ პროექტისა, რომელიც თავის თავში ერთდროულად გლობალური, რეგიონული და ლოკალური ინტერესების აკუმულირებას ახდენს, უნდა იყოს არა მარტო კავკასიის რეგიონის, არამედ ფართო გაგებით მთელი კასპიისპირეთის ზონის ბუნებრივი რესურსების დამუშავება, ანუ აქ ცენტრალური ამიის ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრეებიც ჩაერთვება. ცენტრალური ამიის სანედლეულო პოტენციალისა და, უწინარეს ყოვლისა, მისი დიდი ნავთობისა და გაზის საბადოების აქტუალიზაცია გააძლიერებს აგრეთვე კასპიისპირა ქვეყნების ეკონომიკის დინამიზმს და ნახშირწყალბადოვანთა დიდ იმპორტიორებს ნედლეულის სტაბილური მიწოდებით უზრუნველყოფს.

„აბრეშუმის გზის“ აღორძინების მნიშვნელოვანი პლაცდარმია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაც. ამ სფეროს კონტროლი გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. როგორც მსოფლიო

ისტორიის მდიდარი ფაქტობრივი მასალა მოწმობს, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე კონტროლის დაკარგვით, ქვეყანა თავისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ზეგავლენის სფეროებს და ლიდერის პოზიციებს თმობს, ამავე დროს ხელიდან ეცლება რეგიონული ბაზრები და საფინანსო ნაკადები (მაგალითად, Полтерович 1998).

ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იძენს ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის გაეროს სპეციალური პროგრამის განხორციელებისას შექმნილი გამოცდილება, რომლის ფარგლებშიც მომზადდა სამოქმედო პროგრამა ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის გაეროს სპეციალური პროგრამის მონაწილე ქვეყნების სატრანზიტო-სატრანსპორტო თანამშრომლობისათვის. მის ძირითად პრიორიტეტებს შორისაა ყველაზე მისაღები, უსაფრთხო და კონკურენტუნარიანი სუბრეგიონული და ტრანსსასაზღვრო სატრანსპორტო გზების და ტრანზიტის პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებასა და საზღვარგარეთის ბაზრებზე გასვლას. ამ პროექტის სტრატეგია ევრაზიის სატრანსპორტო გზების განვითარებასთან ერთად (მათ შორის ტრანსციმბირის მაგისტრალი, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, სამხრეთის მაგისტრალი და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალი) გულისხმობს საერთო-ევროპული სატრანსპორტო დერეფნების უფრო შორს აღმოსავლეთისაკენ გაგრძელებას, აგრეთვე მნიშვნელოვან კავშირს აზიის მაგისტრალთან და ტრანსაზიის სარკინიგზო მაგისტრალთან [2, 132-133].

ჩინეთის მიერ დაწყებული ახალი გეოეკონომიკური პროექტის «ერთი სარტყელი, ერთი გზა» დაწყების ფონზე, ისმის შეკითხვა, თუ რა შეიძლება მოუტანოს ბაქო-თბილისის-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნამ (30.10.2017წ.) საქართველოს და რა შესაძლო გამოწვევებთან, შეიძლება იყოს დაკავშირებული - მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის.

ამჟამინდელი საერთაშორისო ურთიერთობების ფონზე, ალბათ, შემთხვევით გარემოებას არ წარმოადგენს ის ფაქტორიც, რომ «აბრეშუმის გზის» სტრატეგია კვლავ იბრუნებს თავის ისტორიულ აქტუალობას, განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში. მისი გეოეკონომიკური მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც 2015 წლის 29 იანვარს ჩინეთიდან სარკინიგზო ხაზით წამოსული ტვირთი, საქართველოში ჩამოვიდა 6 თებერვალს, მანამდე არსებული საზღვაო გზით კი 45 დღე სჭირდებოდა. ევროპის, ხმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის ქვეყნებს, ტრანსაზიურ -კავკასიური მატარებელი ჩინეთიდან - საქართველოს შავი ზღვის პორტების გავლით მიანოღებს შესაბამის ტვირთებს.

ამ პროექტის შესაბამისი მიმართულებით (ჩინეთი-საქართველო) ამოქმედდება ქვეყნის ეკონომიკა და დაახლოებით 120 მილიონ დამატებით შემოსავალს მიიღებს, ხოლო ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის დასრულების შემდეგ დაიწყება მეორე მიმართულებაც: თურქეთი-ყაზახეთი, რომელიც შემოსავლებს მინიმუმ გააორმაგებს. ამიტომაც კარგი იქნება განვიხილოთ აღნიშნული პროექტის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპების პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ასპექტები. «აბრეშუმის გზის» მაგისტრალის ამოქმედებას საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში, მთელი რიგი გეოეკონომიკური სტრატეგიული პროექტების ამოქმედებით - რომელთაგანაც გამოსაყოფია შემდეგი:

1992 წლის 24-25 ივნისს სტამბულში გაიმართა შავიზღვის პირეთის სახელმწიფოების მეთაურებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების უმაღლესი დონის შეხვედრა, სადაც საუბრე დაედო შავი ზღვის აუზის ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციას, ხოლო შემდეგ ეტაპზე მიღებული იქნა ე.წ. «ბოსფორის დეკლარაცია» და «შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის დეკლარაცია». აღნიშნული გაერთიანების ჩამოყალიბებამ კი შექმნა ინტეგრაციული საპროექტო მოდელების განვითარების პრეცედენტი «დასავლეთ-აღმოსავლეთის» ფორმატში და დასაბამი დაუდო შავიზღვისპირეთი-კასპისპირეთი-ცენტრალური აზია-სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ინტეგრაციული სივრცის ჩამოყალიბებას.

1994 წლის სექტემბერში გაფორმდა ე.წ. «საუკუნის კონტრაქტი» რომელიც გულისხმობდა კასპის ზღვის ენერგომატარებლების ათვისებას და მათ ტრანსპორტირებას საერთაშორისო ბაზრებზე, ასევე დაარსდა აზერბაიჯანის სანავთობო საერთაშორისო კონსორციუმი, რაც გახდა ერთგვარი პოლიტიკური გამკველევი, სწორედ დასავლეთ-აღმოსავლეთის შემდგომი განვითარების საქმეში.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა კავკასიური თანამშრომლობის იდეა, რაც გამოიხატა 1996 წლის მარტში საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ «მშვიდობიანი კავკასიის» ინიციატივის წამოყენებით (სხვათაშორის ამ ინიციატივის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენდა სატრანსპორტო და სხვა კომუნიკაციების დაცვა და მათი ბლოკირების მიუღებლობა). ამას გარდა, უკვე 90 იანი წლებიდან საერთაშორისო საზოგადოებისთვის საქართველო მიიჩნეოდა კავკასიური გეოპოლიტიკური სივრცის მნიშვნელოვან აქტორად. ასეთი მიდგომა კარგად გამოიკვეთა 1999 წელს აშშ-ს კონგრესის მიერ მიღებულ კანონში «აბრეშუმის გზის სტრატეგია». იმავე პერიოდში 1996-1999 წლებში აქტუალობა შეიძინა «ერთიანი კავკასიური ბაზრის» ინიციატივის განხორციელების პროცესმა, რომელიც ასოცირდებოდა ე.წ. «იჩქერიის რესპუბლიკის» ვიცე-პრეზიდენტთან ხოჯ ახმედ ნუხაევთან და რომლის ფარგლებში ამოქმედდა «ჩრდილოეთ-სამხრეთის» მაგისტრალის ე.წ. «არარუსული სეგმენტი», რამაც მოიტანა «თავისუფალი ეკონომიკური ზონის» ამოქმედება სოფელ ერგნეთის მიდამოებში, ჩრდილო-კავკასიური ნავთობისა და სპირტის ტრანსპორტირება თურქეთის მიმართულებით.

საქართველოს ინიციატივის პარალელურად შემუშავდა სამხრეთ კავკასიის სხვა ლიდერების, აზერბაიჯანის და სომხეთის პრეზიდენტების ინიციატივები - რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცების საკითხებში, რომლებიც წამოყენებული იქნა თითქმის ერთდროულად 2001 წელს. ამავე კონტექსტში განხილული იქნა თურქეთის მაშინდელი პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივა რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში, რასაც მოჰყვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ინიციატივა ე.წ. «კავკასიური ოთხეულის» ჩამოყალიბების შესახებ 2002 წელს. ამის პარალელურად ბრიუსელში არსებულმა დამოუკიდებელმა კვლევის ცენტრმა - «ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრმა» (CEPS), ექსპერტების სერჯიუ ჩელაკის და მაიკლ ემერსონის ხელშეწყობით 2000 წლის მაისისთვის შეიმუშავა და საერთაშორისო საზოგადოებას წარუდგინა



განსახილველად ახალი კონცეფტუალური დოკუმენტი: «სტაბილურობის პაქტი კავკასიისთვის» (Stability Pact for the Caucasus).

2014 წლის მაისში თბილისში გამართულ ე.წ. «კავკასიის სამიტს», სადაც მონაწილეობდა რეგიონის სამი ქვეყანა: თურქეთი, ამერბაიჯანი და საქართველო, განხილული იყო სწორედ «დასავლეთ-აღმოსავლეთის» კორიდორში განხორციელებული გეოეკონომიკური პროექტების რეალიზაციის პერსპექტივები (მათ შორის განხილვებოდა ბაქო-თბილისი-ყარსი სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი). სხვათაშორის არის მოსაზრება, რომ ასეთ მოდელს შეიძლება მომავალში შეუერთდნენ რეგიონის სხვა სახელმწიფოებიც (მათ შორის სომხეთი და ირანი) [3, 1-3]

ევროკავშირის მიერ ინიცირებული და განხორციელებული პროგრამა, სახელწოდებით - ევროკავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (TRACECA), ითვალისწინებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის - საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო კომუნიკაციების - მოდერნიზაციასა და გაფართოებას, რომ მოხდეს დიდი რაოდენობის საქონლის ნაკლები დანახარჯებით - უსაფრთხოების გათვალისწინებით შესაბამისი ტვირთების გადატანა. სხვათაშორის ამ პროექტის წინააღმდეგ უკმაყოფილება გამოთქვა რუსეთის ფედერაციამ, მან 2000 წლის 21 აპრილს გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე პირდაპირ ითქვა რომ, «TRACECA-ს პროექტი, რომელიც ამჟამად არსებობს - რუსეთისთვის არის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო პროექტი.

მემოთ სხენებული მოვლენებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოს სარკინიგზო ხაზების გაუმჯობესებით, ახალი ხიდის «აწითელი ხიდი» დასრულებით, საბორნე გადასასვლელით ბათუმში და სარკინიგზო საბორნე გადასასვლელით ფოთში - მონყობით გახადა შესაძლებელი გაზრდილიყო სავაჭრო ტვირთბრუნვა საქართველოსთვის. მაგალითის სახით: 2014 წლის იანვარ-ივნისის თვეში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში მიაღწია 68,5%-ს. აქედან თურქეთს უკავია (17,2%), ამერბაიჯანს (10,7%), ჩინეთს (7,0%), უკრაინას (6,0%), იაპონიას (2,9%) და ა.შ.

TRACECA-ს განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანია ვთქვათ, 2013 წლის 29 ოქტომბერს, ბოსფორის ქვეშ მარმარაის გვირაბის გახსნა, რომელიც თურქეთ-იაპონიის ურთიერთშეთანხმებული პროექტის მეშვეობით განხორციელდა.

ჩინეთმა „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის შესახებ ოფიციალურად 2013 წელს განაცხადა და მას „საუკუნის პროექტი“ უწოდა. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა სხვადასხვა პროექტების ერთობლიობაა, რომელიც ფარავს სახმელეთო და საზღვაო დერეფნებს. თუმცა, ინიციატივა უფრო კონცეფციაა, ვიდრე მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროექტების ერთობლიობა და საკმარისად მოქნილია იმისთვის, რომ ფარავდეს ახალ და მანამდე არსებულ პროექტებს. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა მიზნად ისახავს ჩინური საქონლისთვის სავაჭრო გზების გახსნას და ჩინეთის დასავლეთი ნაწილის, მათ შორის, არასტაბილური სინძიანის სასაზღვრო რეგიონის, უსაფრთხოების უზრუნველყოფას. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის კიდევ ერთი მიზანი რუსეთიდან და ცენტრალური აზიიდან ჩინეთში მიმავალი ენერგო

რესურსების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ჩინეთის ხედვით, ვაჭრობისათვის ფიზიკური და პოლიტიკური ბარიერების მოხსნით, ექსპორტისთვის ახალი ბაზრები გაიხსნება და მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტია იქნება. წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, პროექტი ჩინეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ოთხივე მიზანს მიაღწევს.

- 1) პერიფერიაში მშვიდობის შენარჩუნება (ეკონომიკური განვითარებითა და ანტიტერორისტული საქმიანობაში თანამშრომლობით);
- 2) მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება (უცხოურ ბაზრებზე წვდომის შენარჩუნების მეშვეობით);
- 3) შიდა წესრიგის შენარჩუნება (იხილეთ პირველი და მეორე მიზანი);
- 4) საერთაშორისო სტატუსის შენარჩუნება (ევრაზიაში რეგიონული ძალის სტატუსის მოპოვებით).

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივა შედგება სახმელეთო და საზღვაო კომპონენტისგან (21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა). აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მთავარი მიზანი ახალ და არსებულ სატრანსპორტო დერეფნებში ინვესტირებით, „ჩინეთსა და ევროპას შორის არსებული მანძილის შემცირებაა“. ინიციატივა მოიცავს 6 დერეფანს, რომელიც ჩინეთს ევროპასთან აკავშირებს სხვადასხვა სახმელეთო გზით (საქართველო პირდაპირაა ჩართული ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანში).

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის მრავალმხრივი მახასიათებლები ჩინეთს მაქსიმალურად აძლევს სტრატეგიული ბერკეტის გამოყენების საშუალებას. იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთს ევროპასთან არაერთი დამაკავშირებელი გზა გააჩნია, ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოახერხებს ვაჭრობის ან ინვესტირების საკუთარი პირობების წამოყენებას. შესაბამისად, ეს არის ერთი სარტყელი, რომელსაც სხვადასხვა დამოუკიდებელი განშტოება აქვს. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა მიმართულია ორმხრივ შეთანხმებებზე ჩინეთსა და მის შედარებით მცირე პარტნიორებს შორის, მრავალმხრივი ჯგუფების ჩარევის გარეშე. ამგვარი ურთიერთობა ისეთ სისტემას გამოხატავს, სადაც პროდუქციის გადინება და შემოდინება ცენტრალური პუნქტის გავლით ხდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის მასშტაბი მონაწილე ქვეყნებს მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობის სტიმულს აძლევს.

ჩინეთის სახელმწიფო „სარტყელისა და გზის“ ინიციატივას სამი სახელმწიფო ფინანსური ინსტიტუტით აფინანსებს: აბრეშუმის გზის ფონდი, ჩინეთის განვითარების ბანკი და ჩინეთის ექსპორტისა და იმპორტის ბანკი. „საგარეო ურთიერთობების ევროპული საბჭოს“ შეფასებით, მხოლოდ ჩინეთის მთავრობას წლიურად იმხელა დაფინანსების გამოყოფა შეუძლია, რაც მსოფლიო ბანკსა და აზიის განვითარების ბანკს ერთად. ამასთან, პროექტისათვის დაფინანსებას გამოყოფს ჩინეთის ხელმძღვანელობით შექმნილი ორი საერთაშორისო ინსტიტუტიც: ჰვეინში დაფუძნებული აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) და შანხაიში დაფუძნებული ახალი განვითარების ბანკი (New Development Bank – NDB, რომელსაც ზოგჯერ BRICS -

ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა - სახელმწიფოების ბანკად მოიხსენიებენ) - ჯამური 150 მლრდ. აშშ დოლარის რეგისტრირებული კაპიტალით. „სარტყელისა და გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებულ პროექტებს ასევე აფინანსებენ კერძო ინვესტორები ჩინეთიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან [4, 13-14].

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტები 2016 წელს 401 მლრდ. აშშ დოლარად შეფასდა, რაც წინა წელთან შედარებით 2,1 %-იან ზრდას წარმოადგენდა. 2.1 % -იანი ზრდა მოკრძალებულია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „სარტყელისა და გზის ინიციატივაში“ მონაწილე ქვეყნების საშუალო ეკონომიკური ზრდა 2016 წელს შენედა. დამატებით 93 მლრდ. აშშ დოლარის ინვესტიცია მოხდა 2016 წელს „სარტყელისა და გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებულ შერწყმისა და შესყიდვის (mergers and acquisitions) შედეგად.

PWC-ის ანგარიშის მიხედვით, განხორციელებული პროექტების რაოდენობის მკვეთრად შემცირების მიუხედავად, ინიციატივის ფარგლებში უფრო მეტი ღირებულების გამოუმუშავების შედეგად, 2016 წელს პროექტის საშუალო ღირებულების გაზრდა გახდა შესაძლებელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩინეთის მთავრობა, ისევე როგორც პროექტების განმახორციელებელი კომპანიები და ფინანსური ინსტიტუტები, პროექტების რაოდენობას მათ ხარისხს ამჯობნიებენ, რასაც PWC „ხარისხისკენ სწრაფვას“ უწოდებს. მოგების მაძიებელი ინვესტორები კი ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, საქართველოს მიანიჭებენ უპირატესობას, სუსტი ბიზნესგარემოს მქონე სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ვინაიდან დოკუმენტში აქცენტი გაკეთებულია საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებზე, ანალიზი მხოლოდ აბრეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელს შეეხება. საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავებისათვის ხსენებული ინიციატივის კონტექსტში. ჩინეთთან Xinhua საინფორმაციო სააგენტოსთან 2017 წლის მაისის ინტერვიუში, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუშინიშვილმა ხაზი გაუსვა ინიციატივაში საქართველოს ჩართულობას „რეგიონის დაკავშირების, ადამიანური კაპიტალის მიმოცვლისა და ვაჭრობისა და ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობის მიმართულებით“.

საქართველო პირდაპირ არის ჩართული ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანში, რომელიც ექვსი შემადგენელი დერეფნიდან ერთ-ერთი დერეფანია და აღმოსავლეთით ჩინეთს, ხოლო დასავლეთით თურქეთსა და შავ ზღვას აკავშირებს. საქართველო ჩინეთს ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფნის როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო სატრანზიტო მარშრუტებს სთავაზობს. საქართველო უზრუნველყოფს თურქეთთან სახმელეთო მიმოსვლას, განსაკუთრებით ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის დახმარებით. რკინიგზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, ბოსფორის სრუტეზე აზიის ევროპასთან დამაკავშირებელ იავუზ სულთან სელიმის ხიდთან ერთად საქართველოს ევროპასთან უწყვეტი სარკინიგზო კავშირი ექნება. საქართველოს ასევე შეუძლია ევროპაში საზღვაო გასასვლელის უზრუნველყოფა ბათუმის, ფოთის და ანაკლიის პორტების მეშვეობით. ამ შემთხვევაში, 2.5 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების ანაკლიის შავი ზღვის ღრმა წყლის პორტი განსაკუთრებით

ყურადსაღებია. პორტი, რომლის დასრულებაც 2020 წლისათვის იგეგმება, საქართველოს პირველ ღრმა წყლის (17 მეტრი სიღრმის) პორტი იქნება, რომლის გამტარობაც წლიურად 900,000 ი-ფუტის ეკვივალენტი (Twenty-Foot Equivalent Units – TEU) იქნება, რაც ამ ეტაპზე საქართველოს უდიდესი პორტის - ფოთის პორტის გამტარობაზე 50 %-ით მეტია. პორტის კომპლექსში ასევე იქნება თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რაც ბიზნესს პროდუქციის საექსპორტოდ წარმოებისას გადასახადისგან გაათავისუფლებს.

ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის დერეფანი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) მიერ შექმნილ სატრანსპორტო ხაზს ეფუძნება, რომლის წევრიც საქართველო 1993 წელს გახდა. ჩინეთის გადაწყვეტილება TRACECA-ს უკვე არსებული ინფრასტრუქტურის ჩანაცვლების მაგივრად, მისი გამოყენება ხაზს უსვამს „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის ფუნდამენტურ კონცეფციას: ჩინეთი ცდილობს შექმნას განსხვავებული და ინკლუზიური სატრანსპორტო დერეფნები, რომლებიც უკვე არსებულ ინფრასტრუქტურულ ინიციატივებს დაემატება და შეავსებს.

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივა საქართველოსათვის წარმოადგენს საშვალეებს გახდეს ორი ახლადშექმნილი რეგიონული ფორმატის GUAM-ისა და ამერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამხრეთი თანამშრომლობის ინიციატივის დამაკავშირებელი ცენტრი. GUAM-ის ფარგლებში საქართველოს უნიკალური ადგილმდებარეობა აქვს შესაბამისი პორტის საშვალეებით ჩინეთის უკრაინასთან და მოლდოვასთან დასაკავშირებლად. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან უკრაინა-ჩინეთის ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2013 წლის შემდეგ. 2015 წელს ჩინეთი უკრაინის სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო ნაწარმის უდიდესი მომხმარებელი და უკრაინის მთლიანი საექსპორტო პროდუქციის სიდიდით მესამე მომხმარებელი იყო. 2015 წელს უკრაინა ფორმალურად შეუერთდა SREB-ის ინიციატივას და ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტით (TITR), საქართველოსი, ამერბაიჯანისა და ყაზახეთის გავლით ჩინეთში მატარებელის გაგზავნა.

ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის ინიციატივაში (TITR) მონაწილეობით, საქართველომ უკრაინასთან ინფრასტრუქტურული კავშირები გააძლიერა. საქართველოში ღრმა წყლოვანი პორტების დასრულებამ ხელი შეუწყო ორმხრივი ვაჭრობის განვითარებას. ახალ პორტს შესაძლებლობა ექნება მოემსახუროს უკრაინიდან მომავალ და უკრაინაში გასაგზავნ 10,000 TEU საკონტეინერო გემს, რისი საშვალეებთანაც ბათუმისა და ფოთის პორტებს ამ ეტაპზე არ აქვთ. იმის გათვალისწინებით, რომ GUAM-ის ყველა ქვეყანა „სარტყელისა და გზის“ ინიციატივაში სხვადასხვა ხარისხით არის ჩართული, მათ ინფრასტრუქტურისა და ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისათვის დამატებითი სტიმული ეძლევათ.

საქართველოს შეუძლია, ასეთივე როლი ითამაშოს ამერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამხრეთი თანამშრომლობის ფორმატში. თანამშრომლობის ფორმატი 2012 წლის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნის შემდეგ ტრანზიტის დეკლარაციით შეიქმნა. შესაბამისად, ინიციატივა როგორც რეგიონული თანამშრომლობის შედეგი, ისე მისი მამოძრავებელი ძალაა.

სამხრეთი თანამშრომლობის ფორმატის პირველადი ფუნქცია ამერბაიჯანიდან და ცენტრალური ამიიდან ენერჯო რესურსების თურქეთში ტრანსპორტირების უზრუნველყოფაა, სადაც საქართველოს გეოგრაფიული ხიდის ფუნქცია აქვს. სამ ქვეყანას უკვე აკავშირებს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელიც ჩინეთი-ცენტრალური ამია-დასავლეთ ამიის დერეფნის ნაწილია. ამერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამხრეთი თანამშრომლობის ფორმატი ეკონომიკური თანამშრომლობის „გადაღრის“ ეფექტის გამოვლინებაა: 2014 წლიდან ქვეყნები ყოველწლიურ თავდაცვის მინისტერიალში იღებენ მონაწილეობას.

ჩინეთის მაღალჩინოსნები ცდილობენ „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა გეოპოლიტიკური წამოწყების ნაცვლად, ეკონომიკურ წამოწყებად წარმოაჩინონ. ეს წამოწყება მოიხსენიება, როგორც „ინიციატივა“ და არა როგორც „სტრატეგია“. როგორც ჩინეთის საგარეო მინისტრმა უანგ იმ 2015 წელს განაცხადა, აღნიშნული ინიციატივა არ არის „გეოპოლიტიკის ინსტრუმენტი“ [4, 17-18].

2015 წელს ჩინეთის ეროვნული განვითარებისა და რეფორმების კომისიის მიერ გამოქვეყნებულ თეთრ წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის მიზანი „ფართო და ღრმა რეგიონული თანამშრომლობაა“. თეთრ წიგნში წარმოდგენილია ხუთი „კავშირი“, რომელიც „სართყელისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში მოექცევა. ამ ხუთი „კავშირიდან“ სამი ეკონომიკური (ინფრასტრუქტურა, ვაჭრობა, ფინანსები), ხოლო ორი სტრატეგიულია (პოლიტიკის კომუნიკაცია და „ხალხის ამროვნებასთან დაკავშირება“). როგორც თეთრ წიგნშია აღნიშნული, ჩინეთის მთავრობის მიზანია, „სარტყელისა და გზის“ ინიციატივა სუვერენულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ღია და ინკლუზიური ფორმატის ინიციატივა იყოს, რომელიც კონკურენციას არ გაუწევს ინსტიტუციონალიზებულ რეგიონულ სტრუქტურებს. მაგალითად, ისეთებს, როგორიცაა ევროკავშირი და ევრაზიის ეკონომიკური კავშირი.

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივა ეკონომიკური ინიციატივაა. თუმცა, მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც თვალსაჩინოა. ვაჭრობა და ინვესტირება პოლიტიკურ ვაკუუმში არ ხორციელდება. ქვეყნები ვერ განახორციელებენ გეო-ეკონომიკურ საქმიანობას გეოპოლიტიკაში ჩართვის გარეშე. რობერტ გილპინის თქმით, „ეკონომიკური საქმიანობის მიზნები და ბაზრების როლიამიზნებისმისაღწევად განისაზღვრებაპოლიტიკური პროცესით და საზოგადოების მიერ სახელმწიფოსთვის დელეგირებული პასუხისმგებლობებით. კერძო ჩინური კომპანიების საბაზრო მოქმედებებიც კი პოლიტიკური შეხედულებების გავლენის ქვეშ ექცევა.

თეთრ წიგნში წარმოდგენილია კონკრეტული გეოპოლიტიკური მიზნები, რომლებიც „სარტყელისა და გზის“ ინიციატივას :მულტიპოლარული მსოფლიოს ტენდენციასთან მორგების“ საშუალებად წარმოაჩენს. ეს კი პირდაპირ უკავშირდება საერთაშორისო ასპარეზზე ჩინეთის, როგორც მზარდი ძალაუფლების მქონე ქვეყნის, სტატუსს და ამერიკის შეერთებული შტატების შედარებით დასუსტებას. ნებით თუ უნებლიეთ, ცენტრალურ ამიასა და სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური ჩართულობა ჩინეთის მთავრობას რეგიონის სტაბილურობის შენარჩუნების ინტერესს გაუღვიძებს. აშშ-ში ჩინეთის ინიციატივის საშუალებით გაზარდოს ჩინეთის ზეგავლენა ამიაში და მის მიღმა“.

2012 წელს, ჰეკინის უნივერსიტეტის საერთაშორისო სტრატეგიული კვლევების დეკანმა და ჩინეთის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა აკადემიკოსმა - ვანგ ძისმა ობამას ამიისკენ რეორიენტაციის სტრატეგიის საპასუხოდ, ჩინეთის „დასავლეთისაკენ მარშის“ სტრატეგიის შესახებ განაცხადა. ვანგის იდეას სტრატეგიის მიზანშეწონილობის და სხვა ქვეყნების მხრიდან შესაძლო რეაქციების დასადგენად ყურადღებით სწავლობდნენ ჩინეთის პოლიტიკოსები. ვანგს და დასავლეთისკენ მარშის სტრატეგიის სხვა მხარდამჭერებს ეს გზა აშშ-სთან ურთიერთობების მართვის მახვილგონივრულ სტრატეგიად მიაჩნიათ: ორ ქვეყანას რეგიონში საერთო ინტერესები აერთიანებს და ჩინეთის მეტი ჩართულობა დამატებით სტრატეგიული ბერკეტი აშშ-სთან ურთიერთობაში, რომელსაც ძლიერი მოკავშირეები ჭირდება ავღანეთისა და პაკისტანის სტაბილიზაციის პროცესში მხარდასაჭერად.

„სარტყელისა და გზის“ ინიციატივის გეოპოლიტიკური მიზნები ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. თუმცა, უდავოა, რომ პროექტს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური კომპონენტი ექნება ევრაზიაში ჩინეთის, როგორც დომინანტი სახელმწიფოს სტატუსის გასამყარებლად. ამას კი საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევრაზიის რეგიონის ტრადიციულ ჰეგემონთან-რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების გამო. ჩინეთის ურყვე ჩართულობას შეუძლია შეცვალოს რუსეთის სტრატეგიული გათვლები საქართველოში და მთლიანად რეგიონში [4, 19-20].

შესაბამისად, მაღალი ტემპით ვითარდება სატრანზიტო ინფრასტრუქტურაც:

**საავტომობილო გზები**

საქართველოში დახლოებით 22 000 კმ-ზე მეტი სიგრძის საავტომობილო გზაა.

ჩვენს მიერ ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი, რომელშიც მოცემულია საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი საფარის მიხედვით.

გზის დანიშნულება	საერთო სიგრძე	ასფალტოვანი საფარი	ლორლოვანი საფარი	ყამროვანი საფარი
	კმ	კმ	კმ	კმ
საერთაშორისო	1495	1467	28	-
შიდასახელმწიფოებრივი	5446	3477	1802	167
ადგილობრივი	1539	-	-	-
სულ	22380	4944	1830	167

წლის განმავლობაში საქართველოს საავტომობილო გზების საშუალებით დაახლოებით 25 მილიონი ტვირთის გადაზიდვა და 260 მილიონი მგზავრის გადაყვანა ხდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში გადაზიდული ტვირთების წილის 60 % მოდის საავტომობილო გადაზიდვებზე.

კანონით გათვალისწინებული ბაზა, განახლებული ინფრასტრუქტურა და სამხრეთ კავკასიის სწრაფად მზარდი ეკონომიკური წინ სვლა დაეხმარება ტრანსპორტით ტვირთთვადების დინამიურ ზრდას.

საქართველოს - აზია-ევროპის შემავრთველი დერეფნის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, ჭირდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა-განვითარება. პირველ რიგში ქვეყნის მთავარ ამოცანად რჩება გზების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და ახალი თანამედროვე, უსაფრთხო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

### სამოქალაქო ავიაცია

1994 წელს საქართველო გახდა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაცია ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2005 წლის აპრილში, საქართველო გახდა ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციის წევრი (ECAC), ხოლო 2007 წლის იანვარში საქართველო გახდა GAA-(გაერთიანებული საავიაციო ხელისუფლებები) წევრობის კანდიდატი.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლისთვის თბილისის აეროპორტმა მთლიანად გაატარა 820 000 მგზავრი, აქედან მხოლოდ ბათუმის აეროპორტმა დაახლოებით 88 000 მგზავრი. რაც შეეხება საჰაერო ტრანსპორტს - ყოველდღიურად დაახლოებით 1800-მდე მგზავრი გადაჰყავს და დაახლოებით 16.6 ტონამდე ტვირთი გადააქვს.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესება, თბილისი როგორც კავკასიის რეგიონალური საკვანძო ქალაქი განაპირობებს საქართველოს ავიაბაზრის მუდმივ ზრდას. დღეისათვის საქართველოს ავიაბაზარზე სხვადასხვა მარშრუტით 25 ავიაკომპანია დაფრინავს. მათ შორის რეგიონალური მიმართულებით 15 ავიაკომპანია ფუნქციონირებს.

2011-2015 წწ. ქვეყანაში დაგეგმილია შემდეგი ახალი ავიაკომპანიების შემოსვლა: Alitalia, el al, ata airlines, meridian fly, wiz air, qatar airways და სხვ [5, 74-76].

### საზღვაო ტრანსპორტი

საქართველოს ზღვის სანაპირო სიგრძე 300 კმ-ია. ამიტომ მისთვის მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს საზღვაო ტრანსპორტი. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტი წარმოდგენილია პორტებითა და საზღვაო ფლოტით.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტით დღეისათვის გადატანილი ტვირთების მოცულობა კრიტიკულად დაბალია. ასეთი სიტუაცია გამოიწვია საქართველოს საზღვაო ტრანსპორტში, პორტებსა და ტერმინალებში წლების განმავლობაში გამეფებულმა ქაოსმა და განუკითხავმა მდგომარეობამ, ასევე ხშირ შემთხვევაში საეჭვო პრივატიზაციამ და მისმა გადასვლამ უცხოური კომპანიების საკუთრებაში.

ძალზე სამწუხაროა, საქართველომ ბოლო პერიოდში თითქმის მთლიანად დაკარგა კონტროლი საზღვაო პორტებზე და ტერმინალებზე. ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები მთლიანად უცხოური კომპანიების საკუთრებაში აღმოჩნდა (თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და სხვა). ყოველივე ეს უდაოდ ასუსტებს საქართველოს როგორც სატრანზიტო დერეფნის მქონე ქვეყნის როლსა და ადგილს მსოფლიო სატრანზიტო სივრცეში.

აღსანიშნავია, რომ 2004 წელს დანყებული სრულიად ახალი ეტაპის პირველი მსხვილი პრივატიზაცია „საქართველოს საოკეანო სანაოსნო კომპანია “OSCO” ში განხორციელდა, რომლის მფლობელიც ბრიტანულ-ავსტრიული საოკეანო სანაოსნო კომპანია “MARINE CAPITAL“-ი გახდა, რომელსაც პირდაპირი მიყიდვის ფორმით 93 მილიონ დოლარად გადაეცა. ბათუმის პორტი კი 2006 წელს 92 მილიონ დოლარად გადაეცა „GREENOAK“ ჯგუფს (რომელიც ბათუმის ნავთობტერმინალის მფლობელიც იყო). მან კი 2008 წელს ბათუმის ნავთობტერმინალი და ბათუმის პორტი მიჰყიდა ყაზახეთის სახელმწიფო კომპანიას „ყაზმუნაიგაზს“. ცნობილი ქართველი ეკონომისტის, ლადო ჰაპავას აზრით: მოხდა ერთგავრი ნაციონალიზაცია. ბათუმის პორტი იყო კერძო საკუთრება, ახლა გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში. ოღონდ, არა საქართველოს, არამედ ყაზახეთის საკუთრებაში. ეს სახელმწიფო კომპანია ამ ქვეყნის ინტერესების გამტარებელი იქნება.

შემდგომში ყაზახეთის სახელმწიფო კომპანიამ აღნიშნული ობიექტები (ბათუმის პორტი, ნავთობტერმინალი) გადასცა რუმინულ კომპანია „რომპეტროლს“. მოგვიანებით, 2007 წელს „ყაზმუნაიგაზმა“ „რომპეტროლის“ აქციათა 75% შეიძინა.

ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური (ბათუმის პორტი) არის ფაქტიურად დამაკავშირებელი სატრანსპორტო ხაზი, რომელიც ხელს უწყობს ევროპისა და აზიის დაკავშირებას და პირიქით. ნავსადგურის მეშვეობით ხდება კავკასიის, ცენტრალური აზიის, უკრაინისა და თურქეთის ქვეყნების საავტომობილო და სარკინიგზო გზებით დაკავშირება. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მეშვეობით ხორციელდება “TPACECA“-ს მარშრუტზე გატარებული ენერგომატარებლების 94 %-ის გადატვირთვა. ბათუმში არსებული 5 ტერმინალიდან: ნავთობტერმინალი, მშრალი ტვირთის ტერმინალი, საკონტეინერო ტერმინალი, სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი და სამგზავრო ტერმინალს შეუძლია წელიწადში დაახლოებით ნავთობის 15-18 მლნ.ტონა გაატაროს, ხოლო მშრალი ტვირთები 2,3-2,5 მლნ- ტონა. აღსანიშნავია, რომ ნავსადგური ფლობს ISO 9001-2000 ხარისხის შესაბამისობის საერთაშორისო სერტიფიკატს.

რაც შეეხება ფოთის საზღვაო ნავსადგურს, რა თქმა უნდა თავისი ისტორიული, გეოგრაფიული და ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე ის კავკასიური დერეფნის ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია და შესაბამისად ევროპის სტანდარტებს სადაც ფუნქციონირებს ღია და დახურული სასაწყობე მეურნეობები, საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლის გზები, გამანაწილებელი ქვესადგური და სხვა ინფრასტრუქტურული დამხმარე ნაგებობები, ასევე გააჩნია რვა გადამტვირთავი კომპლექსი, რომლებიც გათვალისწინებულია - „ჩრდილოეთ ნავსადგურისა“ და „შიდააუზის“ 15 ნავმისადგომზე. დამატებით მოქმედებშია

სამგზავრო კომპლექსი, ნავსადგურის ფლოტი და თევზჭერის ფლოტის ნავმისადგომები.

ფოთის ტერმინალი 2000 წლიდან 2010 წლამდე საერთო შემოსავლები 38,088 მილიონიდან 73,859 მილიონამდე გაზარდა, ხოლო მოგება დაბეგვრამდე 4,9 მილიონიდან 32,5 მილიონამდე გაზარდა [5, 76-81].

ყულევის ნავთობტერმინალი ოფიციალურად 2008 წლის მაისში გაიხსნა, რომელსაც ფაქტიურად - საქართველოს მესამე საზღვაო კარიბჭე უნდა უწოდოთ. ყულევის ტერმინალს მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ერთდროულად შეუძლია 160 ვაგონ-ცისტერნის მიღება, ხოლო სარეზერვუარო პარკის საერთო მოცულობა 320000 კუბურ მეტრს შეადგენს. ტერმინალისთვის მიმდინარეობს 14 კილომეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობაც.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო დიდ იმედს ამყარებს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებაზე, ახალი აბრეშუმის გზის აღორძინებაზე და მათი საშუალებით მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესში ინტეგრაციაზე. ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნების (ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ალბანეთი) ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნილება დღის წესრიგში აყენებს ალტერნატიული ნავთობსადენებისა და ტრანსპორტირების სხვა საშუალებების გზების ძიებას. ამ მხრივ, გასათვალისწინებელი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის მხრიდან კონკურენცია, ექსპერტების შეფასებებით ჩინეთის სამომხმარებლო ბაზრის კონკურენციის გამო "TRACECA" -ს დერეფნით ყაზახეთის რეგიონებიდან ტრანსპორტირება არარენტაბელურადაა მიჩნეული. ამიტომ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება ტრანსპორტირების ისეთი საშუალებები, რომლებიც მოკლევადიან და უსაფრთხო მიწოდებას უზრუნველყოფს, ძალზე მნიშვნელოვანია სატრანსპორტო ხარჯების მინიმიზაცია. "TRACECA" -ს დერეფნით მიწოდებული ნედლი ნავთობისა და ტვირთების რაოდენობის გაზრდა ხელს შეუწყობს არა მარტო საქართველოში, არამედ რეგიონში ეკონომიკურ ზრდას, ქვეყნის პოტენციალის სრულად ათვისებას და უშუალოდ ნავთობქიმიურ მრეწველობაში ინვესტიციების მოზიდვას, მსხვილი ნავთობპროდუქტების მეტ დაინტერესებას ახალ პროექტებში მონაწილეობისათვის [5, 81-82].

ამ მიმართულებითაც უნდა ითქვას, რომ ახალი აბრეშუმის გზა „ერთი სარტყელი - ერთი გზა“ ინიციატივის ჩინური პროექტი გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე ევროკავშირის TRACECA. ის მეტად მრავალმხრივია თანამშრომლობის მიმართულებების მასშტაბისა და ამბიციური ამოცანების თვალსაზრისით. ასევე, ჩინეთი უფრო მეტ ფინანსურ რესურსს გაიღებს მისი განვითარებისათვის, რომ დაარწმუნოს სახელმწიფოები და არასახელმწიფო აქტორები, რომლებიც მოქმედებენ ამ პროექტის გარშემო - მის განვითარებაზე. ბაზრები დაახლოვდება და გახდება ადვილად ხელმისაწვდომი. ის თავისი ეფექტით შეიძლება შევადაროთ მსო-ს შექმნას სახელმწიფოებს შორის სატარიფო და არასატარიფო ბარიერების მოხსნისთვის. ფაქტია, რომ ზოგიერთი ქვეყანა წარსულში სარგებელს იღებდა მაღალი სატარიფო და არასატარიფო ბარიერისაგან. თუმცა, ზოგადად, გლობალური პროგრესი ზიანდებოდა და ნელ-ნელა მსო-ის წესები თითქმის ყველამ გაიზიარა. იგივე სეიდება მოხდეს აბრეშუმის გზის კონტექსტშიც. როგორც ნათქვამია, ზოგიერთი სახელმწიფო შეიძლება

არ იყოს დაინტერესებული კონკრეტული დერეფნის განვითარების იდეით, რომელიც ამცირებს პროდუქციის ტრანსპორტირების არაეფექტურ, მონოპოლიურ ფასს. ცხადია, გლობალური/ან მეგარეგიონული ინტერესი გაიმარჯვებს და ქვეყნები ხელს შეუწყობენ პროექტს იმ გაგებით, რომ პროგრესი საბოლოოდ დადებითად იმოქმედებს თავისუფალ კონკურენციასა და, ზოგადად, ეფექტიანობაზე [6, 12-13].

გემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა სრულებით არ არის რთული, ჰეკინის მიერ წამოწყებული ახალი გლობალური პროექტებიდან გამომდინარე. კერძოდ, იგულისხმება „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა“- რომლებიც ერთად ქმნიან „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ ინიციატივას - საყურადღებოა, რომ ეს გლობალური ინიციატივა მოიცავს აზია-წყნარი ოკეანეს, ევროპას, ცენტრალურ აზიას, სამხრეთ აზიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, დასავლეთ აზიას და აფრიკას.

თავიდანვე გლობალური პროექტი - „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ ითვალისწინებდა რამდენიმე ეკონომიკურ დერეფანს („ახალი ევრაზიული სახმელეთო ხიდი“, „ჩინეთ-მონღოლეთ-რუსეთის ეკონომიკური დერეფანი“, „ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის ეკონომიკური დერეფანი“, „ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ეკონომიკური დერეფანი“, „ჩინეთ-პაკისტანის ეკონომიკური დერეფანი“ და „ბანგლადეშ-ჩინეთ-ინდოეთ-მიანმარის ეკონომიკური დერეფანი“), რომელთა შორის კავკასიაზე გამავალი ეკონომიკური დერეფანი მკაფიოდ არ იყო გამოხატული, თუმცა ამას სულაც არ შეუძლია ხელი ჩინური კომპანიების ეკონომიკური აქტიურობისათვის კავკასიაში. გასათვალისწინებელი, რომ საქართველოს (ისევე, როგორც აზერბაიჯანის) მონაკვეთი მდებარეობს „ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის ეკონომიკურ დერეფანში“.

ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზის“ კონტექსტში საქართველო თავის მემობელ და სტრატეგიულ პარტნიორ აზერბაიჯანთან ერთად 20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან განიხილება. ამ იდეის რეალიზაცია მოხდა ევროკავშირის მიერ 1993 წელს ინიცირებული პროექტ TRACECA-ისა და მოგვიანებით აშშ-ის კონგრესის მიერ 1999 წელს მიღებული „აბრეშუმის გზის სტრატეგიის აქტის“ მხარდაჭერით. კერძოდ, დღეისათვის პრაქტიკულად ყველა ის პროექტი, რომელიც ჩაფიქრებული იყო „აბრეშუმის გზის“ სატრანსპორტო პროექტში, წარმატებით ფუნქციონირებს. ამ პროექტების ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ მათი საშუალებით კავკასიაზე გავლით უნდა შექმნილიყო ევროპის სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფანი, მხოლოდ ცენტრალური აზიის ქვეყნებთან დასაკავშირებლად, რომლებიც არ ითვალისწინებდა ამ დერეფნის ჩინეთამდე გაგრძელებას.

პროექტში „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ კავკასიის, კერძოდ კი, აზერბაიჯანისა და საქართველოს (როგორც „კავკასიური ტანდემის“) ჩართვას ხელს უწყობს „აბრეშუმის გზის სატრანსპორტო დერეფნის“ უკვე განხორციელებული პროექტი, რომლის განვითარების ახალ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რადგან ამ რკინიგზით არა მარტო აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი დაუკავშირდება ერთმანეთს, არამედ - კავკასიაზე გავლით, ზოგადად, აღმოსავლეთი და დასავლეთი. ხსენებული რკინიგზა, როგორც „რკინის აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვანი

შემადგენელი ნაწილი, „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ ინიციატივაში ლოგიკურად ჯდება.

თუკი ერთმანეთს შევადარებთ „აბრეშუმის გზის სატრანსპორტო დერეფნის“, ანუ TRACECA-ს და „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ „ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის ეკონომიკურ დერეფნის“ პროექტებს, აშკარა მსგავსება მხოლოდ რეგიონული („აბრეშუმის გზის“ ძირითადი ქვეყნები) კონტექსტით შემოიფარგლება. განსხვავება კი, სულ ცოტა, ორ მომენტშია: ჯერ ერთი, პირველი პროექტის ინიციატივა წამოვიდა დასავლეთიდან (კერძოდ, ევროკავშირიდან), ხოლო მეორე პროექტისა კი - აღმოსავლეთიდან (კერძოდ, ჩინეთიდან), მეორე (რაც, ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია) კი იმაში მდგომარეობს, რომ პირველი პროექტი, უწინარეს ყოვლისა, აშკარად გამოკვეთილად სატრანსპორტოა, ხოლო მეორე - უფრო კომპლექსური, რადგან ეკონომიკურია (ანუ ტრანსპორტის გარდა ეკონომიკის სხვა დარგებსაც მოიცავს). საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 2002 წელს გამოითქვა აზრი, რომ საქართველოსთვის სატრანსპორტო დერეფანი საბოლოოდ კომპლექსურ ეკონომიკურ პროექტში გადაიზრდებოდა, რადგან ხელს შეუწყობდა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებას.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ ინიციატივა პრინციპულად ცვლის მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს, რადგანაც წინა პლანზეა წამოწეული აღმოსავლეთის, კონკრეტულად კი, ჩინეთის როლი [7, 4-6].

ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა ევროკავშირის ყურადღება შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მიმართ. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნისა და ევროპაში ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისო ტრანსპორტირების პროექტები ყველაზე მეტად შეესაბამება ცენტრალური კავკასიის განვითარების ევროპულ თვალსაზრისს. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის რეალიზაცია განიხილება როგორც ევროპის ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. სუფრო მეტიც, შავი ზღვის რეგიონის ნავთობსადენების სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ევროკავშირის „ევროპის გაფართოების“ სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და ამ თვალსაზრისით ევროპისა და ტრანსატლანტიკური სტრუქტურების პოტენციალური პრეტენდენტების-საქართველოსა და აზერბაიჯანის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდი იქნება.

არსებობს მოსაზრება, რომ კასპიის ენერგეტიკული რესურსების გაზრდა განვითარებამ შეიძლება საერთო სარგებელთან ერთად საფრთხევ კი შეუქმნას რეგიონის ქვეყნებს, რაც განპირობებულია რუსეთის შიშით, რომ სავარაუდოდ გაიზრდება დასავლეთის გავლენა რეგიონზე, რომელიც, ვითომდა საფრთხეს შეუქმნის რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას და ინტერესებს.

მანც რა ძირითადი ეკონომიკური ინტერესები აქვს რუსეთს კასპიის ენერგეტიკული რესურსების რეგიონში? ისინი შემდგენიერად შეიძლება ჩამოვყალიბოთ: რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივ ხელსაყრელი სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება; მათ სატრანსპორტო შესაძლებლობათა გამოყენება; ენერგეტიკული რესურსების წარმოებასა და გადაზიდვაში მონაწილეობა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნავთობისა და გაზის ექსპორტისაგან რუსეთი ქვეყანაში მყარი ვალუტით მიღებული მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 50 პროცენტს იღებს. მსხვერპლია, რუსეთი არ არის დაინტერესებული, რომ კასპიის ენერგორესურსებისაგან მიღებული სხვა ქვეყნების შემოსავლები მისი კონტროლის მიღმა დარჩეს.

რუსეთის ექსპერტთა აღიარებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მშენებლობა რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი დასავლელი ექსპერტიც მხარს უჭერს რუსეთის პოზიციას ნავთობსადენების პროექტებთან დაკავშირებით და გამოირჩევა ანტიამერიკული კრიტიკით, თუმცა ეს არანაირად არ ასახავს რეალისტურ შეხედულებას რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, და, მით უმეტეს, დასავლეთის ოფიციალურ პოზიციას.

რუსეთის პოლიტიკოსებს არ ასვენებთ იმპერიის აღდგენის იდეა, მოდერნიზებული სახით მანც, რამაც ე.წ. „ლიბერალური იმპერიის“ შექმნის კონცეფციაში შოვა ასახვა, რომლის თანახმადაც რუსეთს ეკონომიკური ექსპანსიის გზით შეუძლია აღადგინოს და უნდა აღადგინოს კიდევ ეკონომიკური ზეგავლენა მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში.

„ლიბერალურ იმპერიის“ ჩამოყალიბების პროცესში კავკასიის ჩაბმის გეგმის განხორციელება რუსეთმა რეგიონში თავისი სტრატეგიული პარტნიორობით-სომხეთით დაიწყო: 2002 წლის დამლევისათვის დაიდო რუსეთ-სომხეთის შეთანხმება „ქონება ვალის სანაცვლოდ“. ამ შეთანხმების თანახმად, რუსეთმა სომხეთისაგან მიიღო სანარმოები, რომელთა საერთო ღირებულება საკმარისი აღმოჩნდა რუსეთისადმი სომხეთის 93 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალის სრული დაფარვისათვის. ამ მიმართულებით საქართველოში რუსეთის აქტიურობა, რომელიც ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ დაიწყო, რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, რასაც საქართველოს ხელმძღვანელობამაც შეუწყო ხელი, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში რუსეთის „ლიბერალური იმპერიის“ შექმნის გეგმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში უფრო გაადვილდება ამ იმპერიის სქემაში აზერბაიჯანის ჩართვაც, რადგან მისი ყველა ძირითადი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო არტერია, მათ შორის ძირითადი მილსადენები, საქართველოს ტერიტორიაზე გადის [2, 184-186].

შემოთქმულიდან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ რუსეთის მხარე არათუ დაინტერესებული არ არის საქართველოს გავლით სატრანსპორტო დერეფნის განვითარებით და კერძოდ, მის ტერიტორიაზე არსებული (გამავალი) მილსადენების მშენებლობით, არამედ ყველა შესაძლო მექანიზმსაც იყენებს ამ პროექტების რეალიზაციისათვის დაბრკოლებების შესაქმნელად.

რუსეთის ექსპერტთა გავრცელებული პოზიციის თანახმად, საქართველოში საზოგადოებრივი აზრი თითქოსდა გადაჭარბებით აფასებს საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციაში რუსეთის როლს, რომელიც მიზნად ისახავს შეაჩეროს შავ ზღვასთან და ხმელთაშუა ზღვასთან ბაქოს დამაკავშირებელი ნავთობსადენების მშენებლობა; ამავე დროს ეს ექსპერტები მანც აღიარებენ იმის დამადასტურებელი ფაქტების არსებობას, რომ რუსეთი ნეგატიურად მოქმედებს საქართველოს მიმართ.

ამ კონტექსტით საინტერესოდ მიგვაჩნია მოსაზრება, რომლის თანახმადაც რუსეთთან დასავლეთის მომავალ ურთიერთობას ბევრად განსაზღვრავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შედეგები: რას მიანიჭებს რუსეთი უპირატესობას-საქართველოს სახით განვითარებულ და სტაბილურ მემოზელს, თუ, "იმპერიული წარსულის ტუსაღის" შენარჩუნებას. სამწუხაროდ რუსეთის ზოგიერთი ექსპერტი როგორც საქართველოს, ისე მთლიანად ცენტრალური კავკასიის მიმართ მეორე ვარიანტს ანიჭებს.

რუსეთის ექსპერტთა აღიარებით, იმ საკითხში, რომელიც ეხება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ჩამოყალიბების წინააღმდეგ გამოსვლებს, რუსეთის სტრატეგიული პარტნიორები არიან ირანი და სომხეთი.

რეგიონში რუსეთისა და ირანის მთელი რიგი ინტერესების დამთხვევას და, კონკრეტულად, კასპიის ენერგეტიკულ რესურსებთან (და არა მხოლოდ) დაკავშირებით ხაზს უსვამენ როგორც რუსი ისე ირანელი ექსპერტები. პრაქტიკულად ისინი ერთსულოვანი არიან "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენის პროექტის ეკონომიკური (და არა მხოლოდ) მხარის სვეტიკურად შეფასებაში. ამ პოზიციას ზოგიერთი დასავლელი ექსპერტიც იზიარებს.

ირანი განსაკუთრებით შენუხებულია იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დაჟინებით მოთხოვნით ირანი გამოირიცხა აზერბაიჯანის ენერგეტიკული რესურსების და ტრანსპორტირების პროექტიდან.

ასევე უსაფუძვლოდ არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც ირანს არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, ვინაიდან კასპიის ენერგეტიკული რესურსების ძირითადი მომხმარებლები უფრო მეტად დაინტერესებული არიან აღმოსავლეთ-დასავლეთის ინფრასტრუქტურით, ვიდრე სპარსეთის ყურის გავლით ნავთობის ტრანსპორტირებით.

ამ თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს მიმართ ირანს რეალური ინტერესი აქვს: საქართველო ირანის ევროპასთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელოვანი მონაკვეთია.

ამასთან გაოცებას იწვევს იმ ტიპის მსჯელობა, რომლის თანახმადაც კასპიის აუზის ნავთობი და მთლიანად ენერგეტიკული რესურსები რეგიონის ქვეყნებისათვის პროგრესის საფუძველი უნდა გახდეს და ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა ნავთობსადენების სქემიდან ირანის გამოირიცხვის თაობაზე თითქოს ამ პროცესს ამუხრუჭებს. ჯერ ერთი, მეტი წილი ქვეყნების მაგალითი ცხადყოფს, რომ ნავთობი და სხვა ენერგეტიკული რესურსები ყოველთვის როდი უზრუნველყოფს მათ პროგრესს, რაც მოკლედ ზემოთაც აღინიშნა; მეორე, დასაბუთებულად ვერ მიიჩნევა, რომ ნავთობსადენის მარშუტებიდან ირანის გამოირიცხვა და მათში ახალი ქვეყნების ჩართვა ხელს უშლის ამ უკანასკნელთა პროგრესს.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ირანი მიესალმება რეგიონალ კოოპერაციას, როგორც რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ინსტრუმენტს, რასაც თავისთავად პოზიტიური მნიშვნელობა აქვს.

ზემოთ აღინიშნა, რომ საქართველოსა და სომხეთის ეკონომიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა

აქვს საქართველოს, სომხეთისა და ირანის გავლით სატრანსპორტო დერეფნის პროექტის რეალიზაციას, რაც უფრო მასშტაბური პროექტის-"ჩრდილოეთ-სამხრეთის" სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელ ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ, ამასთან ამ პროექტს თავისი სირთულეებიც გააჩნია.

"ჩრდილოეთ-სამხრეთის" სატრანსპორტო დერეფანი ბუნებრივად გულისხმობს რუსეთის მონაწილეობასაც და რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანის სატრანსპორტო კავშირის ამოქმედებას. ეს პრობლემა უშუალოდ უკავშირდება როგორც საქართველოს ფოთის ნავსადგურსა და რუსეთის კავკასიის ნავსადგურს შორის საბორნე მიმოსვლის ამოქმედებას, ისე რუსეთსა და საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის, უფრო ზუსტად საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის აღდგენას: - ამ მონაკვეთზე მოძრაობა 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემდეგ შეწყდა.

ამ სარკინიგზო კავშირის განახლება, რა თქმა უნდა სტრატეგიული პარტნიორების - რუსეთისა და სომხეთის ინტერესებშია. საქართველოსთვის-აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მონესრიგებაში რეალური წინსვლა თუ არ მოხდა - ამ პროექტმა შეიძლება მოლაპარაკებაში მეტ-ნაკლებად ქმედითი მექანიზმის დაკარგვა გამოიწვიოს, რომლის თანახმადაც რუსეთსა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა შეიძლება განხორციელდეს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული რეინტეგრაციის ხელშეწყობის სანაცვლოდ. ამასთან, არ უნდა დაგავინწყდეს რომ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის შესაძლებლობა შექმნის პრეცედენტს, რომელსაც შეიძლება სომხეთისთვის უარყოფითი საერთაშორისო ეფექტი მოჰყვეს მთის ყარაბაღის მომავალ სტატუსთან დაკავშირებით.

ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სომხეთის ოფიციალურ წრეებში ირანისაკენ რკინიგზის მშენებლობის რამდენიმე პროექტს განიხილავენ, რომელთა ღირებულება 700 მილიონიდან 1 მილიარდ დოლარამდეა, მითუმეტეს, რომ ეს პროექტები საქართველოს გავლით რუსეთთან სარკინიგზო კავშირის განახლების შესაძლებლობასთან ერთად კონტექსტში განიხილება. ამასთან, არსებობს მოსაზრებანი, რომ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნა გააძლიერებს საქართველოსთან დაპირისპირებულ რუსეთ-სომხეთი-ირანის კოალიციას და გამოიწვევს რუსეთი-სომხეთი-ირანის ღერძის ფიზიკურ შეპირისპირებას და რეგიონში შეერთებული შტატების შესუსტებას, რაც რუსეთ-ირანის თანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

თეორიული თვალსაზრისით რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანის რკინიგზამ ხელი უნდა შეუწყოს ამ ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერებას, მაგრამ იმ მზარდი საფრთხის გათვალისწინებით, რომელსაც მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს, უწინარეს ყოვლისა, ირანი უქმნის, ამკარა პარტნიორთა-რუსეთთან ერთად, რა თქმა უნდა მისი სარკინიგზო კავშირის მიზანშეწონილობა ნამდვილად სათუო გახდება.

ის, რომ სომხეთი და საქართველო ვერ იყენებენ "ჩრდილოეთ-სამხრეთის" პოტენციალური სატრანსპორტო დერეფნის შედარებით უპირატესობებს, კიდევ ერთხელ

მონმობს, რომ რეგიონის ქვეყნები ეკონომიკურ დანაკარგებს განიცდიან მთელ კავკასიაში პოლიტიკური სირთულეების გამო.

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების მომავალი დამოკიდებულია რეგიონში კონფლიქტების მონესრიგებასთან. თუ ცენტრალური კავკასიის ეკონომიკური მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება მაშინ, რეგიონში ინვესტირებით - მსხვილი საერთაშორისო

კაპიტალის დაინტერესება აუცილებლად შეუწყობს ხელს ეკონომიკურ განვითარებას [2, 186-191].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვრწმუნდებით რომ საქართველოს უნიკალური სატრანზიტო პოტენციალი გააჩნია, რომლის გონივრული გამოყენება ქვეყანას ბევრ დივიდენდებს შესძენს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ჩიტაძე, ნიკა (2011). გეოპოლიტიკა- თბილისი - გამომცემლობა „უნივერსალი“.
2. ისმაილოვი - ელდარ პაპავა, (2007). ცენტრალური კავკასია. გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბილისი - გამომცემლობა „დიოგენე“.
3. მაისაია ვახტანგ - „აბრეშუმის გზის“ გეოპოლიტიკური განვითარების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები. ხედვა საქართველოდან.  
<https://www.kvirispalitra.ge/vakhtang-maisaias-blogi/38143-qabreshumis-gziszq-geopolitikuri-ganvitharebis-istoriuli-dathanamedrove-aspeqtbi-khedva-saqarthvelodan.html> ონლაინთარიღი: 2017 წლის, 15 ნოემბერი, 14:38
4. ლარსენი ჯოზეფ (2017). საქართველო-ჩინეთის ურთიერთობები. „სარტყელისა და გზის“ გეოპოლიტიკა - პოლიტიკის დოკუმენტი - თბილისი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
5. პავლიაშვილი, სოლომონ გარაყანიძე, ზურაბ (2014). საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი - პრობლემები და პერსპექტივები - თბილისი, შპს „მნიგნობარი“;
6. გოგოლაშვილი, კახა (2017). ახალი აბრეშუმის გზა. ევროკავშირისა და ჩინეთის თანამშრომლობის ეტაპი - ექსპერტის აზრი 86. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.
7. პაპავა ვლადიმერ (2017). „ერთი სარტყელ - ერთი გზის ინიციატივა“ და საქართველო. ექსპერტის აზრი 93. თბილისი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

### **REFERENCES:**

1. Chitadze, Nika (2011). Geopolitics - Tbilisi - Universal - Publishing House.
2. Ismailov - Eldar Papava, (2007). Central Caucasus. Essays on Geopolitical Economics. Tbilisi – Diogene - Publishing House.
3. Maisaia Vakhtang - Historical and Contemporary Aspects of the Geopolitical Development of the Silk Road. Vision from Georgia.  
<https://www.kvirispalitra.ge/vakhtang-maisaias-blogi/38143-qabreshumis-gziszq-geopolitikuri-ganvitharebis-istoriuli-dathanamedrove-aspeqtbi-khedva-saqarthvelodan.html> Online date: November 15, 2017, 14:38 pm
4. Larsen Joseph (2017). Georgia-China relations. The Geopolitics of the Belt and Road - Policy Document - Tbilisi, Georgian Institute of Politics.
5. Pavliashvili Solomon, Garakanidze Zurab (2014). The transport corridor in Georgia - Problems and Perspectives - Tbilisi, Ltd «Mtsignobari»;
6. Gogolashvili Kakha (2017). The New Silk Road. EU-China Cooperation Stage - Expert Opinion 86. Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies
7. Papava Vladimer (2017). «One Belt - One Road Initiative» and Georgia. Expert Opinion 93. Tbilisi - Georgian Foundation for Strategic and International Studies.



# სამხედრო ხიდები

## ჯამბულ ზალოშვილი

სსიკ-სარაქტივლოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

### აბსტრაქტი

ხიდი კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი გამოგონებაა, მან საშუალება მისცა ადამიანებს გადაეღობათ გზად შეხვედრილი დაბრკოლებები, თავი დაეღწიათ შემოვლის რთული და ხანგრძლივი პროცესისთვის, შეამოკლა გზა, დაზოგა გადაადგილებისთვის აუცილებელი დრო და ენერჯია. არავინ იცის სად და როდის აშენდა პირველი ხიდი, როგორი ფორმის ან რა ზომის იყო ის, ან ვის გაუჩნდა პირველად იდეა მისი საშუალებით გადაეღობა ბუნებრივი დაბრკოლებები, თუმცა ერთი რამ ფაქტია, ეს ძველისძველი საინჟინრო კონსტრუქცია XXI-ე საუკუნეშიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანთა ყოფაში.

## MILITARY BRIDGE

### JAMBUL ZALOSHVILI

LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY,  
PHD STUDENT DOCTORAL PROGRAM IN MILITARY ENGINEERING

The bridge is one of the oldest and most important inventions of humanity. Bridges help people to overcome an obstacle, save time and energy needed to move around, shortened the path. No one knows where and when the bridge was built at first, which shape or size it was, or who came up with an idea. The fact is that this ancient engineering construction in the XXI century plays the significant role in human lives.

კაცობრიობის ისტორია, რომელიც შეისწავლის, წარსულში საზოგადოების განვითარების ყოველგვარ პროცესს მთელი მისი კონკრეტული ფორმებითა და მრავალფეროვნებით, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების და ომების ისტორიაცაა. ადამიანები უძველესი დროიდან უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს მრავალი მიზეზის გამო, ცნობიერების ამაღლების და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ეს დაპირისპირებები უფრო სისხლისმღვრელი და სასტიკი ხდებოდა, მხარეები მუდმივად ცდილობდნენ (ეხლაც ცდილობენ) გაეუმჯობესებინათ საბრძოლო იარაღი, უფრო ძლიერი და მომავლდინებელი გაეხადათ იგი, რათა მარტივად მიეღწიათ დასახული მიზნისათვის. ასეთი ომების დროს კი გამაგრებული ადგილებისა თუ ფორთიფიკაციული ნაგებობების დაპყრობა-განადგურებისთვის, აუცილებელი ხდებოდა საინჟინრო ხასიათის ახალი მექანიზმებისა და კონსტრუქციების გამოგონება, დახვეწა, განვითარება. ეს პროცესი შეეხო ხიდებსაც, თუ თავდაპირველად ხიდებს აშენებდნენ ხისგან, შემდგომში სამშენებლო მასალად ქვა იქნა გამოყენებული, ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში

დაიწყო ლითონის, ბეტონის და ფოლად-რკინაბეტონის ხიდების მშენებლობა, თუმცა ამით მისი ძირითადი ფუნქცია (ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციის უწყვეტობის შენარჩუნებას) არ შეცვლილა და დღესაც, ისევე როგორც ძველად წარმოადგენს ისეთი ტიპის საინჟინრო ნაგებობას რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ადამიანთათვის ომშიც და მშვიდობის დროსაც.

პირველყოფილი თემური წყობილებიდან მონათმფლობელური წყობილების ფორმაციაზე გადასვლის შემდეგ, როდესაც წარმოიქმნა პირველი სახელმწიფოები და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები უფრო ინტენსიური და მრავალფეროვანი გახდა, ხიდები გზების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად იქცა, როგორც სავაჭრო, ასევე სამხედრო თვალსაზრისითაც. ამის ვარგი მაგალითია ე.წ. პომპეუსის ხიდი, რომელიც ქალაქ მცხეთის შესასვლელთან მდებარეობს, ისტორიკოსების ვარაუდით აქ ხიდი ფუნქციონირებდა ელინისტური ხანიდან (ძველი ნელთადრიცხვის დაახლოებით IV-III საუკუნეები), როდესაც ვაჭრობამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო. საქართველოს ძველი სატახტო

ქალაქი, სწორედ რომ საერთაშორისო სავაჭრო გზების (ჩინეთიდან მომავალი აბრეშუმის დიდი გზა) გასაყარზე მდებარეობდა და აღმოსავლეთიდან დაძრული სავაჭრო ქარავნები ამ ხიდის გავლით შავი და ხმელთაშუაზღვის ნაპირებისკენ მიემართებოდა. ძველი წელთაღრიცხვის 65 წელს რომაელების სარდლობით რომაელთა ლეგიონების ქართლში შემოსვლისას ხიდს სავაჭრო ურთიერთობების გარდა უდიდესი სამხედრო მნიშვნელობაც მიეცა ვინაიდან არმაზის ციხის დაკავების შემდეგ ის იყო ყველაზე მარტივი საშუალება რომაელთათვის ქართლის მეფის დევნისა და ქალაქ მცხეთაში გადასვლისთვის, სწორედ ამიტომ არტაკ მეფის ბრძანებით, მცხეთაში გადასასვლელი ხის ხიდი ჯერ გადაწვეს (ამან რომაული ლეგიონების წინსვლას სერიოზული დაბრკოლება შეუქმნა) და შემდეგ რომაელთა ზეწოლით, მისივე ბრძანებით იმავე ადგილზე ქვის თაღოვანი ხიდი აღაშენეს. ხიდმა საშუალება მისცა რომაელების ლეგიონებს მარტივად გადაეღახათ ისეთი დაბრკოლება, როგორცაა მდინარე მტკვარი (გაზაფხულის პერიოდი იდგა და წყალუხვობით გამოირჩეოდა მდინარე) და მოკლე დროში ბრძოლით დაეპყროთ ქალაქი მცხეთა. აღნიშნული ფაქტი კარგად მიუთითებს ამ ძველისძველი ხიდის როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ, ასევე სამხედრო მნიშვნელობაზეც, მის გარეშე წყალუხვობის პერიოდში, მცირე დანაკარგებით მდინარის ფორსირება რომაელთათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

დღევანდელ რეალობაშიც მკაცრი დეფინიცია სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულების ხიდების შესაძლებლობებს შორის ალბათ არ არსებობს, ვინაიდან როგორც სამხედრო სექტორი იყენებს სამოქალაქო დანიშნულების ხიდებს ჯარებისა და შეიარაღება/ტექნიკის გადაადგილება/გადაყვანისთვის, ასევე აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო ხიდები გამოიყენება სამოქალაქო დანიშნულებით (სტიქიური უბედურებები, დაზიანებული ან დანგრეული ხიდების დროებით ჩანაცვლება, მისასვლელი ახალი გზების გაჭრა) კომუნიკაციების ურღვევობისთვის და სოციალური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია.

სამხედრო ხიდების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ფაქტორებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით: ტექნიკური დანიშნულების მიხედვით, ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, მალის მდებარეობის მიხედვით წყლის ზედაპირთან მიმართებაში, გადასალახი წინააღობების მიხედვით, შუალედური ბურჯების მიხედვით, ზომების მიხედვით, სავალი ნაწილის სიგანის მიხედვით, მალის ნაშენში გამოყენებული მასალის მიხედვით, ტვირთამწეობის მიხედვით, საექსპლუატაციო ხანგრძლივობის მიხედვით.

სამხედრო ხიდები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს დღევანდელ რეალობაშიც, როდესაც ქვეყანას დაკარგული აქვს ტერიტორიები და ამასთანავე არსებობს საფრთხე (ვარაუდი, რისკი), რომ მონინალმდეგემ თავისი პოლიტიკური და/ან ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე სამხედრო ინტერვენცია განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე. მოვლენების ასეთი სცენარით განვითარების შემთხვევაში მათი ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა იქნება საკომუნიკაციო ხაზების კონტროლი. მნიერი შესაძლებლობებიდან გამომდინარე თავდაცვის ძალები დოქტრინული (ფრონტალური, კონვენციური) ბრძოლის პირობებში სავარაუდოდ ვერ შეძლებენ მონინალმდეგის ჯარბე ძალებთან გამკლავებას

და ის ხელში ჩაიგდებს მრავალ ობიექტს, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან საინჟინრო ნაგებობებს, როგორცაა ხიდები. ასეთ დროს ტოტალური ომის პრინციპებიდან გამომდინარე, ქვეყნისა და თავდაცვის ძალების წინაშე დადგება რთული ამოცანა, მოიძიოს ალტერნატიული საკომუნიკაციო საშუალებები, როგორც სამხედრო დანიშნულებისთვის (მონინალმდეგემ მუდმივი ზეწოლის შესანარჩუნებლად ჩასაფრებების, რეიდების მოწყობა და სხვა), ასევე ჰუმანიტარული (ტვირთების მიღება და დანიშნულების ადგილამდე მიტანა) და ლოჯისტიკური (მოსახლეობის და ჯარების მომარაგება) თვალსაზრისით, რა დროსაც სამხედრო ხიდებმა (განსაკუთრებით გასაშლელმა სამხედრო ხიდებმა) შესაძლებელია გადაწყვეტი როლი ითამაშოს საბოლოო წარმატების საქმეში, ამასთანავე მშვიდობიან პერიოდში ქვეყნის რთული ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე სამხედრო ხიდებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს სამოქალაქო სექტორს სხვადასხვა სახის გაუთვალისწინებელი მოვლენების განვითარებისას და დროებით, სრულფასოვნად ჩანაცვლოს მწყობრიდან გამოსული სამოქალაქო ხიდები.

სამხედრო ხიდები მრავალი ქვეყნის საინჟინრო ჯარების განუყოფელი ნაწილია, მათი უპირველესი დანიშნულებაა სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი (მდინარე, ღელე, ხევი) და ხელოვნურ (არხი, თხრილი) დაბრკოლებაზე გადაატაროს სამხედრო ტექნიკა. დაბრკოლებების გადალახვა სამხედრო ხიდებით, უმეტეს შემთხვევაში ხდება განსაკუთრებულ სიტუაციებში (სამხედრო მოქმედებების დროს), ამიტომ მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად აუცილებელია ეს მოხერხდეს დროის ძალიან მცირე მონაკვეთში.

არსებობს არასტაციონალური სამხედრო ხიდების რამოდენიმე სახეობა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი და ხელოვნური დაბრკოლებების ტიპებით, მათი განივკვეთის ფორმისა და ზომების გათვალისწინებით. შედარებით მცირე ზომის დაბრკოლებებზე გამოყენება მექანიზებული ხიდდამწყობი, რომელიც მცირე დროში უზრუნველყოფს ბუნებრივ დაბრკოლებაზე სამხედრო ტექნიკის გადაყვანას. საშუალო სიდიდის ბუნებრივ დაბრკოლებებზე გამოიყენება ფოლადის ასანყოფი ხიდი, რომელიც ლითონის ზესავლელ ნაშენებთან კონსტრუქციას წარმოადგენს (ამ ხიდებს CAPM-ის ტიპის ხიდებს უწოდებენ). მდინარეებზე, რომელთაც დიდი სიღრმე და მნიშვნელოვანი სარკის ზედაპირი აქვთ, გამოიყენება პონტონის ხიდები, რომლებიც ტივტივა ხიდების სახეობას მიეკუთვნებიან.

სატრანსპორტო საშუალებაზე (თვლიანი ან მუხლუხა) დამონტაჟებულ მალის ნაშენს მექანიზებულ ხიდდამწყობებს უწოდებენ. ლითონის მალის ნაშენი შეიძლება იყოს მთლიანკვეთიანი ან წარმოადგენდეს ლითონის ნაშენებს (ორივე შემთხვევაში მიიღება ზესავალი მალის ნაშენი). აწყობილ მდგომარეობაში მალის ნაშენის სისტემა ჭრილ-კოჭურია. როგორც წესი მექანიზებულ ხიდდამწყობებზე დამონტაჟებულია მალის ნაშენის რამდენიმე სექცია, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში სრულად (მთელი კომპლექტი) გამოიყენება.

რთული ფორმის კალაპოტის შემთხვევაში იწყობა ჯერ ერთი მალი, რომელსაც დაეფუძნება მეორე მალი, დაეფუძნებული (ზედა) მალის მეორე კიდე კი ეყრდნობა კალაპოტის ტერასას.

მსგავსი სამხედრო ხიდები გამორჩეულია იმით, რომ მონტაჟის პროცესი მცირე დროს (რამოდენიმე წუთი)

და მომსახურე პერსონალის მინიმალური რაოდენობას მოითხოვს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კრიზისულ სიტუაციებში.

CAPM-ის ტიპის ხიდები უნიფიცირებული ლითონკონსტრუქციებისაგან ეწყობა. უნიფიცირებულია როგორც ლითონის ბურჯები, ისე მალის ნაშენი. ბურჯების ტანი ღეროვანი სისტემის სივრცული ჩარჩოსია, რომელიც ასევე ლითონის ხიმინჯოვან საძირკველს ეფუძნება, მალის ნაშენი ზესასვლელი წამწებებისაგანაა შედგენილი. CAPM-ის ტიპის ხიდებს რიგ შემთხვევაში არ გააჩნიათ განაპირა ბურჯები და მალის ნაშენის ბოლო ნაწილი (ასასვლელები) უშუალოდ ტერასაზეა განლაგებული. ამ ტიპის ხიდების მალის ნაშენი უჭრ-კოჭური სისტემისაა და მალის ნაშენს აქვს მექანიკური სიგრძე. მალეების რაოდენობა ცვალებადია და დამოკიდებულია კონკრეტული სახიდე გადასასვლელის გეომეტრიულ ზომებზე, რომლის მოსაწყობად CAPM-ის ტიპის ხიდების გარკვეული რაოდენობის კომპლექტია საჭირო.

CAPM-ის ტიპის ხიდები ფართოდ გამოიყენება და მათი მონტაჟი (სახიდე გადასასვლელების ზომების მიხედვით) ხორციელდება რამდენიმე დღის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საკმაოდ ხშირად დგება დღის წესრიგში CAPM-ის ტიპის ხიდების გამოყენების საკითხი, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა რთული მთიანი რელიეფისა და კლიმატური თავისებურებების გამო, სტიქიური მოვლენების მასშტაბურობით და სიხშირით ხასიათდება, უარყოფითი შედეგების მასშტაბები კი საგრძნობია. უკანასკნელ ათწლეულში სტიქიური, ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური, მოვლენების ინტენსივობისა და სიხშირის მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება, ამის კარგი მაგალითია მეწყერული პროცესების შედეგად მომხდარი ღვარცოფული მოვლენები ქალაქ თბილისში მდინარე ვერეს ხეობაში (2015 წლის ივნისი), ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დევდორაკის ხეობაში (2014 წლის მაისი, აგვისტო, 2016 წლის ივნისი), ასევე ძლიერი წყალმოვარდნები ყაზბეგში მდინარე თერგზე (2019 წლის ზაფხული) და სვანეთში მდინარე ნენსკარაზე (2018 წლის ივლისი). ყველა ეს მოვლენა გამოირჩეოდა თავისი მასშტაბურობით, დამანგრეველი ძალით, რამაც გამოიწვია მსხვერპლი ადამიანთა შორის და პრაქტიკულად სრულად გაანადგურა მიმდებარედ არსებული ინფრასტრუქტურა.

მსგავსი პროცესების განვითარების დროს სტიქიასთან ბრძოლაში და სალიკვიდაციო სამუშაოებში საჭიროების შემთხვევაში სამოქალაქო ხელისუფლებასთან ერთად ჩართულია თავდაცვის სამინისტროც, ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავდაცვის ძალების საინჟინრო ქვედანაყოფების აქტიური ჩართულობა და მხარდაჭერა, ვინაიდან სამხედრო ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა, გადაწყვეტილების მიღების და შესრულების ტემპი ძალიან მაღალია.

ზემოთ ჩამოთვლილი ბუნებრივი მოვლენების დროსაც თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებმა მონაწილეობა მიიღეს პრაქტიკულად ყველა სალიკვიდაციო ღონისძიებაში. სვანეთში კერძოდ კი ჭებერში 2019 წლის ზაფხულში თავდაცვის ძალების საინჟინრო ბატალიონის მიერ მდინარე ნენსკარაზე სამ დღეში მოხდა 50 მეტრამდე სიგრძის სამხედრო ხიდის მონტაჟი, რითაც მოხდა წყალდიდობის დროს დაზიანებული 6 სამოქალაქო ხიდის ჩანაცვლება და

აღდგა სამანქანო კომუნიკაცია მდინარის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს შორის, ამ ფაქტმა კი მდინარის მარცხენა სანაპიროზე მყოფი მოსახლეობა პრაქტიკულად იხსნა ჰუმანიტარული კრიზისისაგან. მდინარე ნენსკარაზე სამხედრო ხიდი დღესაც ფუნქციონირებს და იქნება მანამ სანამ სამოქალაქო ხელისუფლება სრულად არ მოახდენს დაზიანებული სამოქალაქო ხიდების აღდგენას. 2019 წლის ზაფხულში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში აღიდებულმა მდინარე თერგმა დანგრია სოფლების გორისციხისა და ვარდისუბნის დამაკავშირებელი ხიდი, ამ შემთხვევაშიც თავდაცვის ძალების ჩართულობით, საინჟინრო ბატალიონის ძალისხმევით უმოკლეს ვადაში დამონტაჟდა 33 მეტრის სიგრძის სახიდე გადასასვლელი მდინარე თერგზე, რითაც სოფლების გორისციხის, ფხელუმესა და ტყარშეტის 1000-მდე მოსახლე გადაურჩა დანარჩენ საქართველოსთან მოწყვეტას.

სამხედრო ხიდის გამოყენება სამოქალაქო მხარდაჭერის თვალსაზრისით, მხოლოდ კატაკლიზმების დროს არ ხდება, და აბსოლუტურად მშვიდ გარემოშიც ხორციელდება. რამდენიმე წლის უკან ქალაქ ქუთაისთან მწყობრიდან გამოვიდა (ჩამოინგრა) საავტომობილო ხიდი რამაც შეაფერხა საავტომობილო გადაადგილება და გზის აღსადგენად სამხედროების მიერ დამონტაჟებული იქნა 15 მეტრის სიგრძის პანელური ხიდი, რომელიც ახლაც ფუნქციონირებს.

სამხედრო ხიდების კიდევ ერთი სახეობა პონტონის ხიდები ძირითადად გამოიყენება ისეთ მდინარეებზე, რომელთაც ფართო სარკის ზედაპირი და დიდი სიღრმე გააჩნიათ, ისინი ტივტივა ხიდების სახეობას წარმოადგენენ. პონტონის ხიდების მონტაჟი დიდ დროს არ მოითხოვს და გადასასვლელის სიდიდის მიხედვით, რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე შეიძლება გაგრძელდეს. ტივტივა ხიდების საექსპლოატაციო ვადა მათი ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე განისაზღვრება და შეიძლება იყოს რამდენიმე დღე, სეზონი ან სულაც რამდენიმე წელი (მაგალითად დიდი მშენებლობების დროს სატრანსპორტო ნაკადის გასატარებლად).

ტივტივა ხიდების მნიშვნელობაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ცნობილი ქართველი არქიტექტორის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილის, საბჭოთა კავშირის გმირის ბატონ ირაკლი ციციშვილის ხელმძღვანელობით ოთხ დღე-ღამეში აგებულ 360 მეტრის ხიდით მდინარე დნეპრზე, რომელის საშუალებითაც საბჭოთა ჯარებმა შეძლეს მდინარის გადალახვა და ბრძოლის კონკრეტულ მონაკვეთზე უპირატესობის მოპოვება, მართალია საქართველოში მდინარე დნეპრის მსგავსი წყალუხვი და ფართო სარკის ზედაპირის მდინარეები საქართველოში არ გვხვდება, თუმცა ის მდინარეები რომლებიც შავ ზღვას უერთდება, შესართავთან ქვემო წელში, საკმაოდ წალუხვი და ფართო სარკის ზედაპირის მქონეა, და აუცილებლობის შემთხვევაში ტივტივა ხიდები შესაძლებელია იყოს ერთადერთი საშუალება ორი ნაპირის ერთმანეთთან დაკავშირებისა.

ტივტივა ხიდის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია ხიდების სანაპირო ნაწილები (მოწყობილია ორივე სანაპიროზე), გადასასვლელი ნაწილი (შუა რგოლი სანაპირო ნაწილსა და სამდინარო ნაწილს შორის) და სამდინარო ნაწილი, რომელიც ამ ტიპის ხიდების უდიდესი ნაწილია.

განასხვავებენ ორი ტიპის ტივტივა ხიდებს, ხიდები ცალკეულ მცურავ ბურჯზე და ლენტური ტივტივა ხიდები.

ცალკეულ მცურავ ბურჯებზე მონყობილ ხიდებს აქვთ მალის ნაშენი, რომელიც უნიფიცირებული ლითონკონსტრუქციაა და ეფუძნება მცურავ ბურჯებს. ლენტურ ტივტივა ხიდებს არ გააჩნიათ მალის ნაშენი, რადგან ტივტივა ბურჯები მიბრტყნილი არიან განთავსებული. ორივე შემთხვევაში (მალის ნაშენით და მის გარეშე) ხიდების ეს ნაწილი ტივტივა ხიდების ძირითადი ნაწილია.

ზოგჯერ აუცილებელია ტივტივა ხიდების ბურჯები მოეწყოს არა ცალკეულ პონტონებზე, არამედ რამოდენიმე პონტონისაგან შედგენილ კონსტრუქციაზე ე.წ. პლაშკოუტზე.

პონტონი წარმოადგენს ლითონკონსტრუქციას (ლითონის ყუთს), რომლის ზედა ფილა (ორთოტროპული ფილა), ფსკერიც და ბორტებიც ნიბოებითაა შემავრებული, რაც უზრუნველყოფს კონსტრუქციის სიმტკიცესა და მდგრადობას.

პონტონის ხიდი რამდენიმე სექციისაგან (ცალკეული პონტონებისაგან) შედგება, რომელთა შორის მონყობილია მოქნილი კავშირები.

საინჟინრო ჯარების შემადგენლობაში მყოფი პონტონის პარკი აღჭურვილია შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით (ბორბლებიანი ან მუხლუხა სატრანსპორტო საშუალებები), რომლებზეც დამონტაჟებულია პონტონების ერთი კომპლექტი. მდინარის ნაპირზე პონტონების მიზიდვას, მათ მდინარეში შეცურებას და პონტონების მონტაჟს ახორციელებს შესაბამისად აღჭურვილი სპეციალიზებული ნაწილები.

მოყვანილი მაგალითები საკმარისია იმის გასააზრებლად, რომ კრიზისულ სიტუაციებში რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საინჟინრო ქვედანაყოფების ფუნქციონირებას, რადგან სამხედრო ხიდები საინჟინრო

ჯარების განუყოფელი ნაწილია და ისეთ კრიტიკულ სიტუაციებში, როგორშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩენილა და ბუნებრივი პირობების თუ სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ალბათ კიდევ არაერთხელ აღმოჩნდება, მათ ეფექტურ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

სწორედ ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნის და თავდაცვის ძალების ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა იყოს საინჟინრო მიმართულების გაძლიერება, ქართული ქვედანაყოფებს თავის არსენალში უნდა გააჩნდეთ როგორც მექანიზებული ხიდდამწყობები, ასევე პანელური (CAPM-ის ტიპის) და პონტონის ხიდებიც, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოსაყენებელი იქნება ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი (ხეობებში, გადასასვლელებზე პანელური ხიდები, ფართო სარკის ზედაპირის მქონე მდინარეებზე პონტონის ხიდები, რთულად მისასვლელ ხევებზე, მდინარის კალაპოტებზე, არხებზე - მექანიზირებული ხიდდამწყობები), რაც გულისხმობს სამხედრო ოპერაციების უზრუნველყოფისთვის პირადი შემადგენლობის და ტექნიკის შეუფერხებელ გადაადგილებას, ასევე გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში სამოქალაქო უწყებების მხარდაჭერას. ამრიგად საინჟინრო ქვედანაყოფების გაძლიერება და სამხედრო ხიდებით აღჭურვა კრიზისული სიტუაციების დროს გაცილებით უფრო ეფექტურს გახდის პროცესების მართვას, რაც პრაქტიკულად გარანტიაა იმისა, რომ სამხედრო კონფლიქტის ან ბუნებრივი მოვლენების დროს საავტომობილო თუ სარკინიგზო სამოქალაქო ხიდების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ქვეყანა არ აღმოჩნდება ეკონომიკური და ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე, ხოლო თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები მანევრის შესაძლებლობის გარეშე.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საინჟინრო-სამშენებლო ხელოვნების სპეციალური ზოგადი კურსი, III ნაწილი ხიდების კლასიფიკაცია გვ. 99-101, გვ. 131-135. - ე. მეძმარიაშვილის საერთო რედაქციით ქ. თბილისი 2005;
2. Terry L. Koglin, Movable Bridge Engineering, 2003;
3. J. H. Joiner, One More River To Cross, 2001;
4. Боевой устав иржинерных войск: часть II. Рота, взвод, отделение. /Минск: МО РБ, 2005;
5. Боевой устав сухопутных войск: часть III. взвод, отделение, танк/ Борисов, МО РБ, 2005;
6. Колибернов В.И. Инженерное обеспечение боя: учебное пособие/ Колибернов В.И. – М., воениздат, 1988;
7. „Военные мосты на жестких опорах“. Руководство. Военное издательство, 1982;
8. Инженерное обеспечение форсирования рек. И.Ф. Лысухин. Военное издательство МО СССР 1968.

# სამხედრო უპილოტო საფრენი აპარატების ბუნდური გამოყენების პრობლემები

**მამუკა ზოიძე**

წრთვებისა და სამხედრო ბანათლების სარდლობის  
აპირაჟისა და საჰაერო თავდასვის სკოლა

**გივი სანაძე**

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს  
ეროვნული თავდასვის აკადემია

## აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატების თავისებურებები, პერსპექტივები, ინტეგრირებული საბრძოლო ნაწილის მქონე უპილოტო საავიაციო სისტემების განვითარების მიმართულებები. გაანალიზებულია უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფური გამოყენების შესაძლებლობები და თანამედროვე გამოწვევები. მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატების, ინტეგრირებული საბრძოლო ნაწილის მქონე აპარატების და უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფური გამოყენების კონცეფციების გაერთმობლიანებით იქმნება ისეთი უპირატესობათა სფერო, სადაც ასეთ უპილოტო საფრენ აპარატებს ექნებათ გამოყენების აშკარა პრიორიტეტები. იკვეთება ავტონომიურ მართვის პრინციპზე მოქმედი მცირე ზომის უპილოტოს საფრენი აპარატების ჯგუფში გამოყენების ახალი ტექნოლოგიების მიმართულება. ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ჯგუფში მართვის და კავშირის უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტასთან, რასაც ჯგუფური ინტელექტის მეთოდების გამოყენებასთან მივყავართ. წარმოდგენილია უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფში ურთიერთქმედების ორგანიზების ალგორითმი და განხილულია შესაბამისი ამოცანები.

საკვანძო სიტყვები: უპილოტო საფრენი აპარატი, მცირე ზომა, უპილოტო საავიაციო სისტემა, დრონი, ინტეგრირებული საბრძოლო ნაწილი, საფრენი აპარატების ჯგუფი, მართვა, საავიაციო ტექნოლოგიები.

## PROBLEMS OF GROUP USE OF MILITARY UNMANNED AERIAL VEHICLES

**MAMUKA ZOIDZE**

AVIATION AND AIR DEFENSE SCHOOL OF TRAINING AND  
MILITARY EDUCATION COMMAND

**GIVI SANADZE**

DAVID AGMASHENBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

The article discusses the peculiarities of small unmanned aerial vehicles, perspectives, development of unmanned aerial vehicles with integrated combat elements. The possibilities and modern problems of group use of unmanned aerial vehicles are analyzed. Combining the concept of small-scale unmanned aerial vehicles, integrated combat units and unmanned aerial vehicles creates a pre-existing space there, where such unmanned aircraft will fly. New technologies are being developed for use in a group of small unmanned aerial vehicles, operating on the principle of autonomous management. Basic problems related to the solution of the task of group management and communications, which lead to the use of the method of group intelligence. A representative algorithm of organizations interacting in a group of unmanned aerial vehicles and explaining the corresponding tasks.

Keywords: unmanned aerial vehicle, small size, unmanned aerial vehicle system, drone, integrated combat units, group of aircrafts, control, aviation technology.


**შესავალი**

ბოლო პერიოდში აქტიურად ვითარდება ინტეგრირებული საბრძოლო ნაწილის მქონე მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატებისაგან შემდგარი სისტემის კონცეფციები. აღნიშნული ტექნოლოგიები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თანამედროვე მიღწევებზე მიკრო და ნანო სისტემებში, მათვაში, ნავიგაციაში, კავშირგაბმულობაში და სხვა. ასეთ აპარატებს პერსპექტივა გააჩნია სამხედრო საქმეში. მაგალითად როგორცაა ახლო დაზვერვა მჭიდრო დასახლებაში სარისკო საბრძოლო დავალებების შესრულების დროს, მიზნებზე ზუსტი იერიშის მიტანის ამოცანები და სხვა. მცირე ზომის უპილოტო საფრენ აპარატებს შეუძლიათ შეამცირონ სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდებაზე ლოდინის დრო სამხედროებისთვის. ასეთი მარტივი საფრენი აპარატი შეიძლება იყოს ინდივიდუალურ სარგებლობაში და გამოიყენებოდეს უშუალოდ მებრძოლის მიერ. მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფური გამოყენების მიდგომები გასა უხსნის ახალ პერსპექტიულ მიმართულებებს განსაკუთრებით სადაზვერვო-მოიერიშე დავალებების შესრულების მიზნით.

**ძირითადი ნაწილი**

ცნობილია, რომ სამხედრო უპილოტო საფრენი აპარატები ყველაზე წარმატებით სადაზვერვო მიმართულებით განვითარდნენ. ისინი ოპერატიულ რეჟიმში ინფორმაციის მიღების და სხვა საბრძოლო საშუალებებით სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას იძლევიან. ცხადია „დაზვერვისა“ და „იერიშის“ კომპონენტების ერთ მოდულში ინტეგრირება კიდევ უფრო მეტად ამცირებს რეაგირების დროს და ზრდის მობილურობას. მაგრამ ასეთი საბრძოლო აღჭურვილობის მასა და სიმძლავრე შეზღუდულია. მეორეს მხრივ სამხედრო ტექნოლოგიებში კარგადაა ცნობილი ფრთოსანი რაკეტა, რომელიც თავისი ფრენის პრინციპით უპილოტო საფრენი აპარატის ანალოგიურია. მიუხედავად ამისა იგი მაინც წარმოადგენს საბრძოლო რაკეტას, რომელსაც მხოლოდ ერთი მარშრუტით ფრენისათვის არის გათვალისწინებული.

ფიგ. 1. ინტეგრირებული საბრძოლო ნაწილის მქონე მოიერიშე უპილოტო საავიაციო სისტემის კონცეფციის სქემა




გემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების შემცირების შესაძლებლობას იძლევა ისეთი უპილოტო საფრენი აპარატის შექნა, რომელიც კორპუსში ინტეგრირებული იქნება სასურველი სიმძლავრის საბრძოლო ნაწილი (ფიგ. 1). ასეთი „უპილოტო კამიკაძე“ საფრენი აპარატისადმი წაყენებული იქნება ორი ძირითადი მოთხოვნა: დაზვერვა და მიზნის აღმოჩენის შემთხვევაში მასზე პიკირებით განადგურება.

ინტეგრირებული საბრძოლო ნაწილის მქონე უპილოტო საფრენი აპარატი, საბრძოლო-სადაზვერვო უპილოტო საფრენ აპარატთან შედარებით უნდა განსხვავდებოდეს: ამოქმედების სისწრაფით, კომპაქტურობით, სიმარტივით და საბრძოლო ნაწილის გამრდილი კუთრი მასით. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით მიზანშეწონილია დასაკვიცი ფრეთების კონსტრუქციის მქონე საფრენი აპარატის განთავსება ერთჯერად გამშვებ კონტეინერში. ასეთი უპილოტო საფრენი აპარატების მაგალითებს წარმოადგენენ: AeroVironment Switchblade, Uvision Hero-120, STM Alpagu 2, Pprioria Maveric UAS და სხვა. აღნიშნული უპილოტო საფრენი აპარატების კონცეფცია განსაკუთრებულ დაინტერესებას ჰყოლობს ქვეითის ქვედანაყოფებში ტაქტიკური ამოცანების შესრულების მიზნით.

ქვეითი ქვედანაყოფებისათვის ტაქტიკური დავალებების წარმატებით შესრულებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მიზნის განადგურების ალბათობა. ამ ამოცანის საუკეთესო პასუხია უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფური გამოყენება.


მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატების, ინტეგრირებული საბრძოლო ნაწილის მქონე აპარატების და უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფური გამოყენების კონცეფციების გაერთმთლიანებით იქმნება ისეთი უპირატესობათა სფერო, სადაც ასეთ უპილოტო საფრენ აპარატებს ეწეებათ გამოყენების ამკარა პრიორიტეტები (ფიგ.2).

ფიგ. 2. ინტეგრირებული საბრძოლო ნაწილის მქონე ჯგუფური გამოყენების მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატებისაგან შემდგარი მოიერიშე უპილოტო საავიაციო სისტემის კონცეფციის უპირატესობის სქემა



უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების საინტერესო ტექნოლოგიური გადანაცვებებია, როდესაც ერთი ან რამოდენიმე აპარატი იმართება საკომანდო ცენტრიდან, ხოლო დანარჩენები კი იმართებიან წამყვანი უპილოტო აპარატიდან მიღებული შედარებით სუსტი სიგნალების მეშვეობით (ფიგ. 3).

ფიგ. 3. მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფის მართვის პრინციპი



ასეთი საავიაციო სისტემის მოდელი იძლევა ერთის მხრივ კავშირგაბმულობის სისტემის გამართვებისა და რადიოელექტრონული შემჩნევადობის შემცირების, მეორეს მხრივ კი მიზანში ან მიზნებში მოხვედრის ალბათობის გაზრდის შესაძლებლობას. საავიაციო სისტემის ღირებულების შემცირების მიზნით შესაძლებელია წამყვანი უპილოტო საფრენი აპარატი შესრულებულ იქნას საბრძოლო ნაწილის გარეშე უკან დაბრუნების შესაძლებლობით. დაბალი რადიოელექტრონული შემჩნევადობა და მაღალი მანევრულობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საჰაერო თავდაცვის დაბრკოლებების გადალახვას. გარდა ამისა ასეთი უპილოტო საფრენი აპარატებმა შესაძლებელია განახორციელონ ცეცხლის გამოძახებას „თავის თავზე“, რითაც გამოააშკარავებს მონინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის საშუალებების განლაგებას. ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგიის პრაქტიკული რეალიზაციის ერთ-ერთი მაგალითია ისეთი სისტემის შექმნა, სადაც გავრთიანებულ ოპერაციებში ერთი ოპერატორის მეშვეობით შესაძლებელი იქნება რამოდენიმე უპილოტო საფრენი აპარატის მართვა. ასეთი პროგრამის განხორციელება გულისხმობს ისეთი სისტემის შექმნას, სადაც უპილოტო საფრენი აპარატს გააჩნია ფართო ავტონომიურობა და გამართვებული ჯგუფური გამოყენება რთულ გეოგრაფიულ პირობებში. მთავარი მიზანია, რომ საფრენი აპარატს გამოუმუშავდეს „ერთობლივი ავტონომიურობის“ განვითარების შესაძლებლობები. ეს გულისხმობს უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფის

შიგნით ინფორმაციის სინქრონიზაციას, ერთობლივ მოქმედებებს და მათ კორექტირებას ვითარების ცვლილების შესაბამისად. ოპერატორი ირჩევს მხოლოდ მისთვის შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთს. ასეთ სისტემაში გაიზრდება უპილოტო საფრენი აპარატის სიცოცხლის უნარიანობა, რადგან ჯგუფის წევრებს რომელიმე სისტემის დაზიანებისას, შესაძლებლობა ექნებათ გაინაწილონ ინფორმაცია ერთმანეთში.

როგორც აღვნიშნეთ მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებას წარმოადგენს ოპერატორთან კავშირის სირთულე. ვინაიდან მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატს გააჩნია მცირე ენერგორესურსები, რომელიც მას ჭირდება მიმღები-გადამცემი აპარატურის მუშაობისათვის. ასევე იზღუდება ანტენის ზომები. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ შესაძლებლობად განიხილება „იერარქიული მართვის“ პრინციპის გამოყენება, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კავშირი მართვის ცენტრალურ პუნქტთან აქვს მხოლოდ ერთ ან რამოდენიმე უპილოტო საფრენი აპარატს, რომელიც გადასცემს კომანდებს თავის ქვეჯგუფის აპარატებს. ცხადია ჯგუფში საფრენი აპარატებს შორის კავშირის დისტანცია მცირეა და შესაბამისად მცირეა ენერგოდანახარჯები კავშირის უზრუნველყოფაზე. ინფორმაციის გაცვლისათვის უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფის შიგნით საჭიროა ჯგუფური ინტელექტის მეთოდების გამოყენება, რომელიც დაფუძნებულია თვითორგანიზებულ დეცენტრალიზებულ მართვაზე. ასეთი მეთოდები ეფუძნება მწერების, თევზების ან ფრინველების გუნდში მოძრაობის და კავშირის თვითორგანიზების ანალოგების მოდელელებზე.

ჯგუფში უპილოტო საფრენი აპარატებს შორის კავშირი მყარდება მხოლოდ უახლოეს მანძილზე მყოფებთან გარკვეული დროის მომენტში. აპარატები იღებენ გადანაცვებლებას მიმდინარე მოქმედებებზე თავის მიერ შეგროვებული და მეზობლად მყოფი აპარატებიდან მიღებული მონაცემების საშუალებით.

უპილოტო საფრენი აპარატებს შორის ჯგუფური ურთიერთქმედება შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი ალგორითმის სახით:

- ჯგუფში მყოფი ყველა უპილოტო საფრენი აპარატი მართვის პუნქტიდან ღებულობს  $k$  ტიპის დავალებას;
  - ჯგუფში მყოფი თითოეული  $R_i$  უპილოტო საფრენი აპარატი განსაზღვრავს ან ღებულობს ინფორმაციას ხედვის არეში მოხვედრილი ჯგუფის უპილოტო საფრენი აპარატის მიმდინარე მდგომარეობის და ლოკალური მოქმედებების შესახებ;
  - მიღებული მონაცემების საფუძველზე  $R_i$  უპილოტო საფრენი აპარატი განსაზღვრავს  $S_i^{min}$  მდგომარეობას, სადაც  $Y_k^i$  ფუნქცია ღებულობს მინიმალურ მნიშვნელობას;
  - $R_i$  უპილოტო საფრენი აპარატი განსაზღვრავს  $a_i$  მოქმედებას, რომელიც მიმართულია მისი  $S_i$  მიმდინარე მდგომარეობის  $S_i^{min}$  მდგომარეობაში გარდაქმნაზე;
  - $R_i$  უპილოტო საფრენი აპარატი ახდენს  $a_i$  ლოკალური მოქმედების რეალიზებას.
- განვიხილოთ ჯგუფში ერთმანეთის მიმართ თანაბრად დამორებული უპილოტო საფრენი აპარატების განლაგების ამოცანა. ჩავთვალოთ, რომ  $m$  - აპარატებს შორის მინიმალური დასაშვები დისტანციაა,  $d$  - მიმდინარე დისტანციაა  $R_i$  და  $R_j$  დისტანცია აპარატებს შორის,  $L$  - თითოეული  $R_i$  აპარატის ხედვის ზონაა. მაშინ  $m < d < L$  პირობის შემთხვევაში  $F_{ij}(k)$  რეზულტატური ძალის

ვექტორი იქნება მიმართული აპარატზე და  $d$  დისტანციის პროპორციული  $F_{ij}(k) \sim d$ .

უპილოტო საფრენი აპარატების მთლიანი ჯგუფის გადაადგილების დროს ყველა აპარატს არ აქვს ინფორმაცია მიზნის მიმართულებით მოძრაობის შესახებ. ის აპარატები, რომლებიც ყველაზე ახლოს აღმოჩნდებიან მიზანთან და აღმოაჩენენ მას იწყებენ მისკენ მოძრაობას. ასეთი წამყვანი აპარატის რეზულტატურ ძალას დაემატება კიდევ ერთი  $F_M$ -მოძრაობის ვექტორი. მაშინ რეზულტატური ძალის ფორმულა ღებულობს შემდეგ სახეს

$$F_i(k) = \sum_{j=1}^n F_{ij}(k) + F_{ib}(k) + F_{iM}$$

ამ დროს მიმყოფი აპარატი მოძრაობს ისევ იგივე მიზიდულობის და განზიდულობის კანონებით. საერთო ჯამში მთელი ჯგუფი მოძრაობს მიზნის მიმართულებით.

იმ შემთხვევაში თუ უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფს წაეყენება დაბრკოლებების გარსემყოფლის მოთხოვნა, მაშინ აპარატზე მოქმედი რეზულტატური ძალის ფორმულაში უნდა დაემატოს კიდევ ერთი მდგენელი  $F_{iH}$  - რომლის ვექტორი მიმართულია დაბრკოლების სანინააღმდეგოდ. შესაბამისად აპარატზე მოქმედი რეზულტატური ძალის ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს

$$F_i(k) = \sum_{j=1}^n F_{ij}(k) + F_{ib}(k) + F_{iM} + F_{iH}$$

ჯგუფში მყოფი ერთ-ერთი უპილოტო საფრენი აპარატის მიერ მიზნის აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია რომ ინფორმაცია გადაეცეს ყველა

აპარატს, მაგრამ შემზღვეული კავშირის შემთხვევაში ნაცვლად ინფორმაციის გადაცემისა შესაძლებელია რომ ამ აპარატმა დაიწყოს მოძრაობა მიზნის მიმართულებით, გაიყოლოს მთლიანი ჯგუფი, რათა სხვა აპარატებიც მოხვდნენ მიზნის ხედვის ზონაში.

### დასკვნა

ჩატარებული ანალიზის გვიჩვენებს, რომ მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატების განვითარების ტენდენციები პრიორიტეტულად განპირობებულია მიღწევებით მიკრო და ნანო ტექნოლოგიებში, აეროდინამიკასა და მათვაში ახალი მიდგომებით, დიდი ენერგოტევადობის და სიმძლავრის კვების წყაროებისა და ძრავების შექმნით, შეთანწყობის ინტეგრირებული კონცეფციების გამოყენებით, სანავიგაციო და კავშირგაბმულობის ავტონომიური მიკრო და ნანო სისტემების შექმნით. მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატების, ინტეგრირებული საბრძოლო ნაწილის მქონე აპარატების და უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფური გამოყენების კონცეფციების გაერთმთლიანებით იქმნება ისეთი უპირატესობათა სფერო, სადაც ასეთ უპილოტო საფრენ აპარატებს ექნებათ გამოყენების აშკარა პრიორიტეტები. იკვეთება ავტონომიურ მართვის პრინციპზე მოქმედი მცირე ზომის უპილოტოს საფრენი აპარატების ჯგუფში გამოყენების ახალი ტექნოლოგიების მიმართულება. ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ჯგუფში მართვის და კავშირის უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტასთან, რასაც ჯგუფური ინტელექტის მეთოდების გამოყენებასთან მივყავართ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ.სანაძე, მ.ზოიძე, დ.ბესტავაშვილი. მოიერიშე უპილოტო საავიაციო სისტემა. ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა. 2018. #2(42). 81-87 გვ.
2. Douglas M. Marshall, Richard K. Barnhart, Eric Shappee, Michael Thomas Most. Introduction to Unmanned Aircraft Systems. CRC Press. 2016. 395 p. ISBN-10: 1482263939; ISBN-13: 978-1482263930.;
3. Paul Gerin Fahlstrom, Thomas James Gleason. Introduction to UAV Systems. 2012 John Wiley & Sons, Ltd. SBN 978-1-119-97866-4;
4. Collaborative Microdrones: Applications and Research Challenges. Markus Quaritsch, Emil Stojanovski, Christian Bettstetter, Gerhard Friedrich, Hermann Hellwagner, Bernhard Rinner, Michael Hofbaur, Mubarak Shah. Conference Paper "Collaborative microdrones: Applications and research challenges" January 2008;
5. В.А. Лупандін, Г.В. Мегельбей, О.Й. Мацько, Т.Л. Куртсеітов, П.О. Міроненко. Основні тенденції створення та застосування груп безпілотних літальних апаратів. Наука і техніка Повітряних Сил Збройних Сил України. 2019. № 2(35). С. 88-96.



# ასიმეტრიული ომის წარმოების თავისებურებები

ლევან მაისურაძე

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი,  
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

## აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ასიმეტრიული ომის ძირითადი მახასიათებლები და მისი პერსპექტივა ისეთი თანამედროვე ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დროს, როდესაც მონინალმდევგეთა სამხედრო ძალებში დისბალანსია, ე.ი. ერთ-ერთ მებრძოლ ძალას საგრძნობი უპირატესობა აქვს. პარტიზანული ომის, როგორც ასიმეტრიული ომის ერთ-ერთი სახეობის, მაგალითზე ყურადღება გამახვილებულია კონვენციური და არაკონვენციური ძალების მოქმედებების კოორდინაციის მნიშვნელობაზე, მოსახლეობის მხარდაჭერის განსაკუთრებულ როლსა და პარტიზანთა შეტევითი ბრძოლის ეფექტიანობაზე. განხილულია კონკრეტული რეკომენდაციები ასიმეტრიული ომის მთლიანი ციკლის თანმიმდევრული ფაზების (თავდაცვა, წონასწორობა, თავდასხმა) მიხედვით. ასიმეტრიული ომის მახასიათებლების ანალიზი გვაჩვენებს, რომ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის შეკავება შესაძლებელია საქართველოს თავდაცვის ძალების ასიმეტრიული ბრძოლის წარმოების შესაძლებლობების გაზრდით და მოსახლეობის მიერ პარტიზანული მოქმედებების წარმოებით.

## PECULIARITIES OF ASYMMETRIC WARFARE

LEVAN MAISURADZE

LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY, STUDENT DOCTORAL  
PROGRAM ON MILITARY ENGINEERING

In this article is discussed the peculiarities of asymmetrical war, its perspectives in a modern broad scale military actions when there is disbalance in opposing military forces. One of the combat forces has extensive privilege. In partisan war, as kind of asymmetrical war, the great attention is paid to coordination actions of conventional and unconventional force. It emphasizes the great role of population support and effectiveness of partisan attacks. This article discusses the specific recommendations of consistent phases (defend, balance, attack) of the whole cycle of asymmetrical warfare. The analysis of asymmetrical war characteristics depict, that it is possible to retain vast military aggression if Georgia develops the ability of making asymmetrical war and people are involved in partisan movement.

სამხედრო ძალების საბრძოლო მზადყოფნის მაღალი დონე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მისი მისიაა უზრუნველყოს ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული თავდაცვა. ზოგჯერ ამ ძირითადი ფუნქციის შესრულებას აფერხებს ისეთი ვითარება, როდესაც პატარა და შედარებით მწირი რესურსების მქონე ქვეყანა იძულებულია ჩაერთოს სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით მასზე ბევრად ძლიერ სახელმწიფოსთან ომში. თანამედროვე ტექნოლოგიებით სრულყოფილად აღჭურვილი ძალების პირისპირ საომარ მოქმედებებში ნაკლები პოტენციალით ჩაბმა ასიმეტრიული ომის წარმოების საფუძველს ქმნის, რამაც მნიშვნელოვნად შეიძლება შეამციროს თანამედროვე შეიარაღებისა და ტექნოლოგიების გავლენა საომარ მოქმედებებზე. ამ

გარემოების გათვალისწინებით, საფრთხეებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის მიზანშეწონილია სახელმწიფოს თავდაცვითი ძალების ისე აღჭურვა და მომზადება, რომ მან საჭიერების შემთხვევაში შეძლოს ასიმეტრიული ომის წარმოება და ოკუპანტი სახელმწიფოს წინააღმდეგ მოსახლეობის ფართო მასების ჩართვა.

ომი ასიმეტრიულია სწორედ მაშინ, როდესაც მონინალმდევგეთა სამხედრო ძალებში მნიშვნელოვანი დისბალანსია ან საბრძოლო მოქმედებები რადიკალურად განსხვავებული სტრატეგიითა და ტაქტიკით მიმდინარეობს. ტრადიციული საომარი საშუალებების დისბალანსის კომპენსაციისთვის ასიმეტრიული ომის სუსტი მხარე ირჩევს ისეთ არატრადიციულ საშუალებებს, როგორცაა: პარტიზანული ომი, პასიური წინააღმდეგობა, ტერორისტული აქტი, ფსიქოლოგიური ომი და სხვ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ე. მეძმარიაშვილი, თავდაცვის გარემო და შეიარაღებული ბრძოლის საფუძვლები სამხედრო ინჟინრებისთვის, თბ.; 2018, გვ. 80-84.

ტერმინი „ასიმეტრიული კონფლიქტის“ პოპულარიზაცია დაიწყო 1975 წლიდან, როდესაც ენდრიუ მაკმა აკადემიურ ჟურნალში „World Politics“ (მსოფლიო პოლიტიკა) გამოაქვეყნა სტატია: „რატომ მარცხდებიან დიდი სახელმწიფოები პატარა ომებში: ასიმეტრიული კონფლიქტის პოლიტიკა“. სიტყვაში „ასიმეტრიული“ ავტორი გულისხმობს კონფლიქტის მონინალმდეგე მხარეებს შორის ძალთა მნიშვნელოვან დისბალანსს, სიტყვაში „ძალა“ კი მოიაზრება მატერიალური ძალა, მაგალითად, დიდი არმია, დახვეწილი იარაღი, მონინავე ეკონომიკა და ა.შ. მისი აზრით, სამხედრო ძალაში უპირატესობა არ იძლევა გამარჯვების სრულ გარანტიას და სათანადო ისტორიული მაგალითებით ამყარებს თავის მოსაზრებას.<sup>2</sup> მაკის მიერ გამოყენებული ტერმინი დამკვიდრდა სამხედრო თეორიაში და დღეს ომის ამ სახეობის მახასიათებლებს, მისი პერსპექტივის ანალიზს არაერთი სამხედრო თეორეტიკოსი გვთავაზობს.

Described the program for the development of radio frequency spectrum SC2 - in which radio networks cooperate autonomously at the moment of determining the use of effective spectrum.

This paper presents crisis prevention in the "World Modeling" Program. DARPA's World Modelers program aims to use sophisticated, dynamic comprehensive national security technology that enables analysts to create models to provide quantitative predictions in the shortest possible time.

**შესავალი**

დღეისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამხედრო და პოლიტიკური ამოცანების მიღწევის სფეროებში. სწორედ საინფორმაციო სფერო, რომელსაც არ გააჩნია გამოკვეთილი ნაციონალური საზღვრები, წარმოადგენს იმ საშუალებას, რომელსაც შეუძლია ფარული მემოქმედება მოახდინოს არა მარტო კრიტიკულად მნიშვნელოვან საინფორმაციო ინფრასტრუქტურაზე, არამედ ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობაზე და შედეგად – ქვეყნის უსაფრთხოებაზეც.

«ომის ნისლის» პირისპირ, ბრძოლის ველზე სხვადასხვა ძალების კონტროლის სირთულე IT რევოლუციის შემდეგ უფრო სრაფად განვითარებადი საინფორმაციო სისტემებისავე არის მიმართული [1].

IT- საშუალებებით აღჭურვილ სამხედრო ძალებს არსებული რეალური დროის სენსორების გამოყენებით გააჩნიათ კონტროლის მეტი შესაძლებლობები მცირე მანძილიდან მოულოდნელი თავდასხმისას.

გაუმჯობესებული ISR(ინტელექტი, მეთვალყურეობა, დაზვერვა) ტექნოლოგიები და კომუნიკაციები იძლევა მაღალი ადაპტირების საშუალებას ფიქსირებულ პროცედურებთან შედარებით.

ამრიგად, სამხედრო კონტროლის განხორციელება ინფორმაციული სისტემების საშუალებით შეიარაღებული სისტემის მქონე ძალებიდან უფრო სწრაფად გადადის დაგეგმვის, კოორდინაციისა და სწორად შეტევის მაღალი შესაძლებლობის მქონე ძალებზე[2].

**შეერთებული შტატების თავდაცვის კვლევითი პროექტების სააგენტოს (DARPA)-ს ინვესტიციების ფორმირების ფაქტორები**

თავდაცვის სფეროს მრავალი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ აშშ-ს წამყვან სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას დღეს RMA (რევოლუცია სამხედრო საქმეებში) უდგას სათავეში. RMA ნიშნავს ომის ფუნდამენტურ ცვლას - თანმიმდევრულ ტრანსფორმაციას, რომელიც მოიცავს სამხედრო ტექნოლოგიებს,

ოპერაციებს, ორგანიზაციებს, ტრენინგებს, კულტურასა და სტრატეგიას.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს კამათი განვითარებადი RMA- ს განსაზღვრისა და მასშტაბების შესახებ, მიკროელექტრონიკისა და სხვადასხვა "ინფორმაციული ტექნოლოგიების" (IT) ფართო გავლენა აშკარად მთავარი ფაქტორია.

როგორც დიაგრამაზე ნაჩვენებია DARPA მოქმედებს, როგორც კატალიზატორი ახალი ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვით სამეცნიერო საზოგადოებაში.

DARPA -ს ინვესტიციები ტექნოლოგიებში აძლიერებს გაფართოებულ კომერციულ წვდომას უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მასთან დაკავშირებული ფაქტორებია:


- მეცნიერებისა და ტექნოლოგიების (S&T) გლობალიზაცია;
- S&T განვითარებადი პოტენციური სფეროები, რათა შეცვალოს ომის ხასიათი, მაგალითად, ჰიპერსონიკური ფრენა, მცირე სატელიტები, საყოველთაო ავტონომია და გამოყენებული ხელოვნური ინტელექტი.
- სამხედრო კვლევისა და განვითარების შედარებითი მატება (R&D) ინვესტიციების და შესაძლებლობების მიღწევები.

• ევოლუციური საბრძოლო კონსტრუქციების განვითარება, რომელიც ძირითადად ეყრდნობა მონოლითურ, მაღალი ღირებულების აქტივებს. ესენია გემები, თვითმფრინავები და კოსმოსური სისტემები.

DARPA ზრდის ახალ პარტნიორებთან და მოკავშირებთან თანამშრომლობის შესაძლებლობას უნიკალური, რევოლუციური გამოგონებებით ტექნოლოგიებში.

თავდაცვა არის DARPA- ს არსებობის მთავარი მიზანი, ის ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

- კიბერუსაფრთხოება;
  - თავდაცვა მასობრივი ტერორისა და განადგურების იარაღისგან;
  - ბიო-საფრთხეების გამოვლენა და შერბილება.
- DARPA რამდენიმე წლის განმავლობაში განაგრძობს



სურ.1. DARPA- ს კავშირი გარე ორგანიზაციებთან



სურ. 2. DARPA-ს Smart Weapons პროგრამის კონცეფცია

მუშაობას UAV (უპილოტო საფრენი აპარატები) პროგრამის კონცეფციების შემუშავებაზე [3]. იგი ასევე მუშაობს მინიატურული სენსორების, სანინააღმდეგო შეჩერების მონაცემთა ბმულების, საკომუნიკაციო ნავიგაციის ინტეგრირებული სისტემისა (ICNS) და დაზვერვის კლასიფიცირებული ტექნოლოგიების სააგენტოების შესაძლებლობების განვითარებაზე.

1985 წელს DARPA-მ შექმნა ჭკვიანი შეიარაღებულ მოდულური იარაღის პროგრამა, რომელშიც შედიოდა სხვადასხვა ინტელექტუალური საბრძოლო მასალა და ავტონომიური საპაერო მანქანა, ჭკვიანი ავტობუსები, რომლებსაც შეუძლია დიდ ტერიტორიებზე ავტონომიური ძებნა და საბრძოლო მასალების სამიზნე ადგილებში მიტანა.

1983 წელს DARPA-მ შექმნა ავტომატური ტერმინალის პროგრამა (ATH). ATH-ს გააჩნია დემონსტრირებული დღე / ღამის გამოსახულების სენსორები და დამუშავების ალგორითმები, რომლის შესრულებითაც შესაძლებელია რელიეფის ფართო ველებზე ხედვა და სამიზნეების ამოცნობა ბოლო კილომეტრებზე ფრენისას. ნახაზი 2 ასახავს “Smart Weapons” პროგრამის კონცეფციას, რომელიც გამოიყენება მობილური რაკეტებით შეტევის დროს[4].

**ავტომატიზირებული ინსტრუმენტები  
კიბერ შედეგების აღმოსაჩინად და  
წინააღმდეგობის გასაწევიად**

ინტერნეტის ინფრასტრუქტურაში მავნე კიბერ კამპანიების იდენტიფიცირება, დღევანდელი მიდგომით ძალიან ხშირად დამნაშავეებს საშუალებას აძლევს თავი აარიდონ დაცვით ინსტრუმენტებს და განაახლონ ოპერაციები მათი შედაპირული შეცვლით და ტაქტიკის, ტექნიკისა და პროცედურების სხვადასხვა ასპექტებით.

მაღალი საიმედოობის ხილვადობის გათვალისწინებით ყველა ასპექტში, DARPA-ს გაძლიერებული ატრიბუციის პროგრამა მიზნად ისახავს გამჭვირვალე გახადოს მავნე კიბერ ოპერატორის ქმედებები თავდასხმებისას.

DARPA-ს კიბერ-თავდაცვითი მასშტაბის (CHASE)

პროგრამა ამ პრობლემის გადასაჭრელად ცდილობს ქსელის მონესრიგებას მასპინძელი სენსორების საშუალებით. პროგრამა არის აქცენტირებული ავტომატიზებული ინსტრუმენტების განვითარების ხელშეწყობაზე, რათა შეაგროვოს კონტექსტური მონაცემები და მიიღოს დამცავი ზომები.

CHASE პროგრამა აქცენტს აკეთებს დამცავი ზომების კუთხით, რომლებიც უნდა მართოს ქსელის მფლობელმა საკუთარ გარემოში უფლებამოსილების შესრულებისას და ასევე გააჩინა საფრთხის სიზუსტისა და ეფექტურობის გამოშვების ტექნიკა. ამ ტექნიკის კომპონენტები ქსელის მფლობელს საშუალებას აძლევს სენსორების კონფიგურაციისა და დამცავი ზომების მიღების.

DARPA-ს შემდგომი განვითარების პროგრამა აქცენტირებულია R&D საზოგადოების ავტომატიზირებულ კიბერ თავდაცვაზე.

**ჰიპერსონიკების რეალობად ქცევა**

DARPA ავითარებს ტექნოლოგიას - ჰიპერსონიკური ფრენა მაღალი სიჩქარით, რომელიც ხმის სიჩქარეზე ხუთჯერ მეტია. ეს ტექნოლოგია ეფექტურია განსაკუთრებით სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად. მაგალითად, ჰიპერსონიკური ტექნოლოგიების „Weapon Concept“ (HAWC) პროგრამის ეფექტურობის დემონსტრირებაა ჰიპერსონიკური კრუიზის რაკეტა. პროგრამა ხაზს უსვამს ეფექტურ, სწრაფ და მაღალტექნოლოგიურად ხელმისაწვდომ ფრენის ტესტირებას.

დიზაინერები ასევე გეგმავენ დამხმარე სისტემების განვითარებას, ისინი აპირებენ ეფექტურობის გაზრდას მრავალი თანამედროვე დონის ტექნოლოგიების ინტეგრირებით, მათ შორის ადრე შემუშავებული DARPA, NASA და USAF. ეს იქნება მნიშვნელოვანი გარდამავალი ეტაპი აშშ-ს საზღვაო ძალების პარტნიორებთან ერთად.

**წყალქვეშა პლატფორმების ქსელში ჩართვა**

DARPA-მ წამოიწყო პროგრამა Hydra, რომელიც ბევრად უახლოვდება აშშ-ს საზღვაო ძალების განაწილებული წყალქვეშა ქსელის განვითარების უპილოტო პლატფორმებს.

სისტემა ინოვაციურად აერთიანებს არსებული და განვითარებადი ტექნოლოგიების შესაძლებლობებს ოკეანის ზედაპირზე, სინერგისტულად დაკომპლექტებულ პლატფორმებთან ერთად, Hydra- ს კომუნიკაციების ნაკრები გაზრდის მათ ეფექტურობას და მნიშვნელოვნად გააფართოვებს ოპერაციულ შესაძლებლობებს დისტანციური მართვის საშუალებით შორ მანძილზე.

#### საკუთრის ბუმონჰევა

2016 წელს DARPA- მ დაიწყო რადიოსიხშირული სპექტრის SC2- შემუშავების პროგრამა, რომელშიც რადიო ქსელები ავტონომიურად თანამშრომლობენ ეფექტური სპექტრის გამოყენების განსაზღვრის მომენტში.

SC2 განმავით გუნდები იყენებენ ხელოვნური ინტელექტის (AI) ბოლოდროინდელ მიღწევებს კრიზისების თავიდან აცილება მსოფლიოს მოდელირებით

DARPA-ს „World Modelers“ პროგრამა მიზნად ისახავს რთული, დინამური ყოვლისმომცველი ეროვნული უსაფრთხოების ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც აერთიანებს თვისებრივ მიზეზ-შედეგობრივ ანალიზებს რაოდენობრივ მოდელებთან შედარებით. „World Modelers“ პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიების განვითარებას, რომლებიც ანალიტიკოსებს მისცემს მოდელების შექმნის საშუალებას, რომ უზრუნველყონ უმოკლეს დროში რაოდენობრივი პროგნოზები.

DARPA-ს „Squad X“ პროგრამა ითვალისწინებს მომხმარებლის მეგობრულ სისტემებში ინტეგრაციის ტექნოლოგიებს, ეს გააუმჯობესებს გუნდის ინფორმირებულობას და ჩართულობის შესაძლებლობებს ფიზიკური და შემეცნებითი დაკისრების გარეშე.

მიზანი არის ახალი, მსუბუქი, ინტეგრირებული სისტემების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ქვეითთა რაზმების უპრეცედენტო ინფორმირებულობას, ადაპტაციას და მოქნილობას რთულ გარემოში. ასევე საშუალებას იძლევა ჯარისკაცების განვითარების, უფრო ინტუიციურად გაიგონ და გააკონტროლონ მათი რთული მისია.

DARPA აგრძელებს სწრაფვას ხელოვნური ინტელექტისაკენ დაზვერვის (AI) ტექნოლოგიებით, რომლებიც ქმნიან ძლიერ თავდაცვითი განვითარების შესაძლებლობებს.

AI პროექტები მოიცავს კომერციული ტექნოლოგიების გამოყენების კონცეფციას თავდაცვისთვის მიზნებისათვის, აგრეთვე განვითარებას, დიზაინს, ტექნიკურ და საოპერაციო დემონსტრირებას ან მათ კომბინაციებს.

#### დასკვნა

AI ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა DARPA R&D პროექტების განვითარებისა, მათ შორის ელექტრონული აღორძინების ინიციატივა (ERI), დახვეწილი კიბერშეტევების ანალიზი რეალურ დროში, თაღლითური თავდასხმის გამოვლენა ყველა დომენის მიმართ, ადამიანური ენობრივი ტექნოლოგიები, მიზნის ამოცნობის მრავალმოდულური ავტომატიკა, ბიოსამედიცინო მიღწევები და პროთეზირებული კიდურების კონტროლი[5].

ამგვარად, DARPA მოწოდებულია უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავს სამომავლო საფრთხეებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ნაციონალური უსაფრთხოების სრულყოფის საკითხებში მთელს მსოფლიოში.

### ბამოყენებული ლიტერატურა:

1. William J. Perry, “Desert Storm and Deterrence,” Foreign Affairs, Fall 1991, pp. 66–82.
2. Richard Van Atta, Seymour Deitchman, and Sidney Reed, DARPA Technical Accomplishments, Volume III, IDA Paper P-2538 (Alexandria, VA: Institute for Defense Analyses), July 1991.
3. US Congress, testimony before the Senate Armed Services Committee, April 1974, Y4.Ar5/3:P94/6/1975/pt. 6. p. 3036.
4. <http://www.fas.org/irp/program/collect/jstars.htm>>
5. Richard H. Van Atta, Project Leader and Michael J. Lippitz with Jasper C. Lupo Rob Mahoney Jack H. Nunn, Transformation and Transition: DARPA’s Role in Fostering an Emerging Revolution in Military Affairs Volume 1 – Overall Assessment , 2003.

# სასურსათო უსაფრთხოება - როგორც ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი

**შალვა კვეჯერელი**  
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს  
ეროვნული თავდაცვის აკადემია  
მენეჯმენტის სკოლა / ასისტენტ პროფესორი

## აბსტრაქტი

ნაშრომში: „სასურსათო უსაფრთხოება - როგორც ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი“ განხილულია ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკითხი - სასურსათო უსაფრთხოება. ნაშრომის შესავალში აღწერილია ის ზოგადი გამოწვევები სასურსათო უსაფრთხოების კუთხით, რომლის წინაშეც დგას ზოგადად კაცობრიობა და მათ შორის ჩვენი ქვეყანა.

ნაშრომის ძირითად ნაწილში განხილულია სასურსათო უსაფრთხოების მცნება და მისი შემადგენელი საკითხები: სურსათის არსებობა, სრულფასოვანი (ბალანსირებული) სურსათი, სურსათის უვნებლობა და სურსათზე, როგორც ეკონომიკური, ასევე ტერიტორიული ხელმისაწვდომობა. თითოეული საკითხის შესახებ განხილული არის, როგორც სახელმწიფო უწყებების მონაცემები, ასევე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების და ექსპერტების შეფასებები. ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე შევეცადათ ცხადად წარმოგვეჩინა ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება დღეს ჩვენი ქვეყანა სასურსათო უსაფრთხოების საკითხში.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში გადმოცემულია ის ძირითადი საკითხები, რომელთა გათვალისწინებასაც მივიჩნევთ მეტად საყურადღებოდ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

## FOOD SECURITY - AS ONE OF THE IMPORTANT CORNERSTONES OF THE COUNTRY'S SECURITY

**SHALVA KVEZERELI**  
DAVID AGMASHENEBELI NATIONAL DEFENSE ACADEMY OF GEORGIA  
SCHOOL OF MANAGEMENT / ASSISTANT PROFESSOR

The paper: «Food Security - as one of the important cornerstones of the country's security» discusses food security, an essential and important issue for the country's independence and sustainable development. The introduction of the paper describes the general challenges in terms of food security facing humanity in general and our country in particular.

The main part of the paper discusses the commandment of food security and its constituent issues: the existence of food, complete (balanced) food, food safety and access to food, both economic and territorial. The data of each state, as well as the assessments of authoritative international organizations and experts are discussed on each issue. Based on all the above, we tried to clearly present the situation in which our country is today in terms of food security.

The concluding part of the paper sets out the key issues that we consider to be of the utmost importance in ensuring the country's food security.



„გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ დატაკნი ვართ, არამედ დატაკნი იმიტომ ვართ, რომ გლახები და მონები ვართ!“

**დემიტრი უზნაძე**

## შესავალი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით ყოველდღიურად მსოფლიოში შიმშილისაგან იღუპება დაახლოებით 40.000 ადამიანი, რაც ერთ წამში დაახლოებით ერთი ადამიანის გარდაცვალებას ნიშნავს! დღის განმავლობაში შიმშილით დაღუპულთა შორის არის 19.000 ბავშვი! რაც წელიწადში დაახლოებით 7 მილიონი ბავშვის შიმშილით გარდაცვალებას ნიშნავს!

გაეროს ბავშვთა ფონდის - იუნისეფის (unicef) 2018 წლის მონაცემების მიხედვით საკვების მწვავე დეფიციტის, ან მასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზეზებით, საქართველოში ყოველწლიურად 800 ბავშვი იღუპება, აქედან 700 იღუპება დაბადებიდან პირველი 12 თვის განმავლობაში. ეს არის ევროპის მასშტაბით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

როგორც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია იუწყება, მსოფლიოში გავრცელებულ დაავადებათ ნახევარზე მეტი არასრულფასოვანი კვებიდან არის „აღმოცენებული“. ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობაა „2014 წლის მონაცემებით საქართველო მოხვდა ყველაზე ღარიბი ქვეყნების ხუთეულში სირიის, ავღანეთის, ჰაიტის, უგანდის კვალდაკვალ.“<sup>1</sup> იმავე წლის გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 80% ღარიბ-ღატაკს შეადგენს, მათი დღიური სასურსათო მოხმარება 1600 – 2100 კილოკალორიის ფარგლებში (1800 კილოკალორია წარმოადგენს შიმშილის ზღვარს). მდგომარეობის რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არც ბოლო წლებში არ შეინიშნება.

## სასურსათო უსაფრთხოება - ძირითადი დებულებანი

იმისათვის, რომ ქვეყანა იყოს დამოუკიდებელი, თვითმყოფადი, მყარად იდგეს ფეხზე და განვითარდეს საჭიროა მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ქვეყნის უსაფრთხოება თავ ის მხრივ მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ საკითხთა ფართო ჯგუფს. აღნიშნულ ჯგუფში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ამავდროულად სოციალურად ალბათ ყველაზე მგრძობიარე საკითხს განეკუთვნება ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფა.

1996 წლის მსოფლიო სასურსათო სამიტზე (FAO) მიღებულ იქნა სასურსათო უსაფრთხოების შემდეგი განმარტება: „სასურსათო უსაფრთხოება ეს არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე.“

ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებას გააჩნია პასუხისმგებლობა ქვეყნის უსაფრთხოების, მათ შორის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში, უპირველესად საკუთარი მოსახლეობის წინაშე. მოცემული

საკითხები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებშიც წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს და მისი წევრების მხრიდან გარკვეული ვალდებულებების შესრულებასთანაა დაკავშირებული. გამოვყოფთ 3 ორგანიზაციას, რომლის წევრობაც საქართველოს სხვა საკითხებთან ერთად აკისრებს სასურსათო უსაფრთხოების გარკვეულ ვალდებულებებს: საქართველო გაეროს „სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის“ (FAO)-ს წევრი გახდა 1995 წელს; 1999 წლიდან არის NATO-ს პროგრამის: „თანამშრომლობა მშვიდობისათვის“ წევრი, სადაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს წევრი ქვეყნების სასურსათო უზრუნველყოფა და გლობალური სასურსათო უსაფრთხოება; ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება (ხელი მოეწერა 2014 წელს), რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს უჭირავს.

„სურსათით უზრუნველყოფა წარმოადგენს ადამიანის უფლებას, რომელზეც სახელმწიფო უნდა იყოს პასუხისმგებელი. მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდისა და გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, თითოეული ქვეყნის წინაშე მწვავედ დადგა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები. აქედან გამომდინარე, ისეთი მასშტაბის ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, მნიშვნელოვანია არსებული აგროსასურსათო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება და მიზანმიმართული განვითარება.“<sup>2</sup>

ქვეყნის დონეზე არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტაციაში სასურსათო უსაფრთხოების საკითხები გამოჩნდა მხოლოდ 2015 წლიდან, თუმცა არაჯეროვნად არის განვრცობილი და რაც ძალზედ საყურადღებოა მისი შემადგენელი საკითხები გაფანტულია სხვადასხვა უწყებასა და საკანონმდებლო აქტებში. ასევე შორსაა ქვეყნის შიგნით დღეს არსებული სასურსათო უსაფრთხოების საკითხები (სასურსათო კალათა - /სამომხმარებლო კალათაში/, საარსებო მინიმუმი, სურსათის დღიური ნორმა, სურსათის უვნებლობა ...) საერთაშორისო დონეზე მიღებული ნორმებისაგან.

თავის მხრივ **სასურსათო უსაფრთხოება შედგება 4 ძირითად საკითხისგან:**

- 1) - სურსათის არსებობა;
- 2) - სრულფასოვანი (ბალანსირებული) სურსათი;
- 3) - სურსათის უვნებლობა და
- 4) - სურსათზე ხელმისაწვდომობა (ეკონომიკური, ტერიტორიული)

მსოფლიო სასურსათო სამიტის (1996) საყოველთაოდ მიღებული განმარტების მიხედვით „იმისათვის, რომ სურსათის უსაფრთხოება იყოს გარანტირებული, საჭიროა ოთხივე საკითხის არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოკიდებლობა, ინდივიდი ან ქვეყანა შეიძლება დადგეს სასურსათო უსაფრთხოების რისკის წინაშე.“

## 1) სურსათის არსებობა

მოცემული საკითხი თავის თავში აერთიანებს, როგორც სასურსათო პროდუქციის ადგილობრივ წარმოებას, ასევე მის იმპორტს. გავეცნოთ მონაცემებს

<sup>1</sup> შ. ჩხეიძე, მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა საქართველოში, აგრონიუს.ჯი, 09.12.2017 - <http://agronews.ge/mosakhleobis-sasursatho-usaphrthkhoebis-datsvis-mdgomareoba-saqarthveloshi/>

<sup>2</sup> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა 2017 წლის ანგარიში, გვერდი 4.

იმის შესახებ თუ რას მოვიხმართ და აქედან რამდენი არის ადგილობრივი წარმოების წილი და რამდენი შემოტანილი.

1991 წლიდან, როდესაც ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა დღემდე, ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ბრუნვის მაჩვენებელი სამწუხაროდ არის უარყოფითი. ასევე სამწუხაროდ უარყოფითი მაჩვენებლით ხასიათდება სასურსათო ექსპორტ-იმპორტის სალდო. ცხრილ 1-ში მოცემულია საქართველოდან განხორციელებული პროდუქციის გატანის და ქვეყანაში შემოტანილი პროდუქციის ბოლო წლების მაჩვენებლები, მათ შორის ცალკე გამოყოფილია სასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები აშშ დოლარში.

განხილული მონაცემები ცხადყოფს, რომ ქვეყნის შიგნით მოხმარებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის სასურსათო პროდუქცია

არის იმპორტირებული. ცხრილ 2-ში მოცემულია ძირითადი სასურსათო პროდუქტების ბოლო წლების თვითმზრუნველყოფის მაჩვენებელი პროცენტებში.

ცხრილი 1 და 2 ცხადყოფს, რომ ქვეყანა დიდწილად დამოკიდებულია შემოტანილ სურსათზე. არსებული გათვლებით მოხმარებული სურსათის 70%-ზე მეტი არის იმპორტირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან სხვადასხვა სახელმწიფო პროექტების ამოქმედებით და სოფლის მეურნეობის გაზრდილი ბიუჯეტით შეინიშნება აღნიშნული დინამიკის შემცირება, თუმცა ეს ყველაფერი მაინც ზღვაში წვეთია და ჯერ-ჯერობით ხელშესახები სიკეთე ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე არ მოუხდენია. „FAO-ს 2017 წლის მონაცემებით საქართველოში სურსათის წარმოება 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით არის წევრ 194 ქვეყანას შორის ყველაზე დაბალი.“<sup>3</sup>

ცხრილი 1: ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები (აშშ დოლარი)

ექსპორტი (მილიონი აშშ დოლარი)									
წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
მთლიანი ექსპორტი	2 186.4	2 376.6	2 910.3	2 861.0	2 204.2	2 117.1	2 745.4	3 379.9	3 798.4
სურსათის ექსპორტი	194.7	209.4	327.3	299.4	280.1	305.8	246.8	263.9	244.6
სურსათის წილი (%)	8.9	8.8	11.2	10.5	12.7	14.4	9.0	7.8	6.4
იმპორტი (მილიონი აშშ დოლარი)									
მთლიანი იმპორტი	7 072.3	8 056.4	8 022.5	8 601.8	7 304.2	7 341.9	8 056.6	9 361.6	9 516.9
სურსათის იმპორტი	978.8	1 039.5	1 037.6	1 012.7	863.4	835.9	923.5	980.4	980.9
სურსათის წილი (%)	13.8	12.9	12.9	11.8	11.8	11.4	11.5	10.5	10.3
სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის - სალდო (მილიონი აშშ დოლარი)									
მთლიანი სალდო	-4 885.9	-5 678.8	-5 112.2	-5 740.8	-5 100.0	-5 224.8	-5 311.2	-5 981.7	-5 718.5
სასურსათო პროდუქციის სალდო	-784.1	-830.1	-710.3	-713.3	-583.3	-530.1	-676.7	-716.5	-736.3

ცხრილი 2: ძირითადი სასურსათო პროდუქციის თვითმზრუნველყოფის კოეფიციენტი (%)

პროდუქცია	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ხორბალი	6	13	9	12	8	17	19	15	15	15
კარტოფილი	103	85	89	100	89	91	92	109	102	93
ყურძენი	133	129	127	130	141	117	150	183	151	152
ბოსტნეული	77	73	78	75	70	67	64	65	59	62
ხორცი	48	41	36	39	41	47	48	46	52	47
რძე და რძის პროდუქტები	93	93	92	91	91	88	82	82	81	81
კვარცხი	98	99	100	95	96	102	100	98	99	96

წყარო: ცხრილები შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

## 2) სრულფასოვანი (ბალანსირებული) სურსათი

სასურსათო უსაფრთხოების მეორე კომპონენტი არის სრულფასოვანი, ბალანსირებული საკვები. ადამიანის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კვება, არამედ სრულფასოვანი კვება და ამ ორ მცნებას შორის არის დიდი განსხვავება. ადამიანის ფიზიოლოგიური აგებულება მოითხოვს ცხიმებით, ცილებით, ვიტამინებით, ნახშირწყლებით და სხვა მიკროელემენტებით დაბალანსირებულ საკვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში

ინცეა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა გართულებები.

ცხრილ 3-ში მოცემული მონაცემების თანახმად სამწუხაროდ საკანონმდებლო დონეზე ჩვენს ქვეყანაში უგულვებელყოფილია კვების საერთაშორისოდ დადგენილი ნორმები. აღნიშნული პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ქვეყანაში მოქმედ ყველაზე მნიშვნელოვან იურიდიულ დოკუმენტთან - კონსტიტუციასთან, რომლის ძალითაც დაცულია (უნდა იყოს დაცული) ადამიანის სიცოცხლის უფლება!

<sup>3</sup> შ. ჩხეიძე, მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა საქართველოში, აგონიუს.ჯი, 09.12.2017 - <http://agronews.ge/mosakhleobis-sasursatho-usaphrthkhoebis-datsvis-mdgomareoba-saqarthveloshi/>

ცხრილი 3: საკვების ნორმა დღეში - კილოკალორიებში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის №111/ნ ბრძანების შესაბამისად.	
მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდებული შემადგენლობა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის იძლევა ჯამში:	2300 კილოკალორია
<b>საერთაშორისო სტანდარტი</b>	
მსუბუქი შრომით დაკავებულმა საშუალო ასაკის მამაკაცმა დღეში უნდა მიიღოს:	2700 – 3000 კილოკალორია
საშუალო სიმსუბუქის მშრომელმა საშუალო ასაკის მამაკაცმა დღეში უნდა მიიღოს:	3950 – 4200 კილოკალორია
მძიმე შრომით დაკავებულმა საშუალო ასაკის მამაკაცმა დღეში უნდა მიიღოს:	3900 – 4500 კილოკალორია
ძალიან მძიმე შრომით დაკავებულმა საშუალო ასაკის მამაკაცმა დღეში უნდა მიიღოს:	4500 კილოკალორიაზე მეტი
<b>2500 კილოკალორია დღეში წარმოადგენს არასრულფასოვან კვებას!!</b>	
<b>1800 კილოკალორია დღეში წარმოადგენს შიმშილის ზღვარს!!</b>	
<b>1750 კილოკალორია დღეში ადამიანს ესაჭიროება მხოლოდ ორგანიზმში ნივთიერებათა ნორმალური ცვლისათვის!!</b>	
<b>250 კილოკალორია დღეში ადამიანს სჭირდება მიღებული საკვების გადამუშავებისათვის!!</b>	

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მსოფლიო ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემების მიხედვით

ცხრილი 4: საშუალო წლიური საარსებო მინიმუმი (ლარი/თვე)

გასაშუალებული საარსებო მინიმუმი (ლარი/თვე)	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
<u>შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი</u>	157.8	151.1	149.0	154.5	161.1	160.1	170.8	174.3	187.6
<u>ორსულიანი ოჯახი</u>	223.6	214.1	211.2	219.0	228.3	226.8	242.0	247.0	265.9
<u>ოთხსულიანი ოჯახი</u>	279.5	267.7	264.0	273.7	285.3	283.5	302.5	308.7	332.4
<u>ექვსსულიანი ოჯახი და მეტი</u>	371.7	356.0	351.1	364.1	379.5	377.1	402.3	410.6	442.1

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

ცხრილი 5: სამომხმარებლო კალათა 2020 და მისი გადანაწილება 4 სულიანი ოჯახის მაგალითზე 2019 წლის სარსებო მინიმუმის ბაზაზე ლარი/თვე

დასახელება	წილი კალათაში (2020 წ.) %	ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 2019 წლის სამომხმარებლო კალათის მიხედვით (ლარი/თვე)
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	31.3%	104
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	6.4 %	21,4
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.9 %	13
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0 %	30
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.9 %	19,7
ჯანმრთელობის დაცვა	7.8 %	25,9
ტრანსპორტი	12.1 %	40,3
კავშირგაბმულობა	3.8 %	12,6
დასვენება, გართობა და კულტურა	3.8 %	12,6
განათლება	5.0 %	16,6
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4 %	17,9
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.5 %	18,4

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

მე-4 ცხრილში მოცემულია საარსებო მინიმუმი, ხოლო მე-5 ცხრილში მოცემულია 2020 წლის სამომხმარებლო კალათის შემადგენელი ნაწილები (შედგება 12 სხვადასხვა ნაწილისაგან), მათი წილობრივი (პროცენტული) მოცულობით მთლიან სამომხმარებლო კალათაში. ასევე ამ ცხრილში ავიღეთ 2019 წლის საარსებო მინიმუმი ოთხსულიანი ოჯახისათვის, რომელიც შეადგენს 332.4 ლარს თვეში და სამომხმარებლო კალათის შესაბამისი წილობრივი მოცულობები გამოვსახეთ ლარებში. მივიღეთ, რომ 4 სულიანი ოჯახისათვის თვეში საარსებო მინიმუმი სურსათზე არის 104 ლარი. რა თქმა უნდა 104 ლარად არათუ სრულფასოვანი, არამედ უბრალოდ შიშხილის ზღვარის დაძლევა დღეს მიგვაჩნია მიუღწევლად.

ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის „ოქსფამის“, ACT და ელკანას მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ:

- „საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საკვებს „კრედიტით“ ყიდულობს; ოჯახების უმრავლესობა (58%) აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში განიცადეს რომელიმე ჯგუფის სურსათის ნაკლებობა; მოსახლეობის მხოლოდ 1/3 მოიხმარს რკინით მდიდარ საკვებს, რომელსაც ძირითადად იღებს ცხოველური წარმოშობის პროდუქციიდან. რკინით მდიდარი საკვების მოხმარება განსაკუთრებით დაბალია ქალებსა და ბავშვებში და წარმოადგენს 33–34%-ს; ყოველ მე-3 ოჯახს არ აქვს საკმარისი თანხა სასურველი სურსათის შესაძენად (ძირითადად ხორცეული, თევზი ...); განსაკუთრებით საყურადღებოა მოზარდების და მეძუძური დედების კვების რაციონი, რადგან კვლევის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები დაუბალანსებელი საკვების მიღების, რაც შემდგომ ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს“<sup>4</sup>

ძალზედ საყურადღებოდ მიგვაჩნია ბატონი შოთა ჩხეიძის (ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი NATO–ში /1999– 2005წ.წ./, ექსპერტი სასურსათო უსაფრთხოების საკითხებში) შეფასება:

„აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 2003 წელს მაშინდელმა ხელისუფლებამ რეალური სურსათის დაფარვის მიზნით „იოჯა გამოსავალი“ და „კორექტივები შეიტანა“ საქართველოს მოსახლეობის ფიზიოლოგიურ ნორმებში, კერძოდ, შეამცირა ძვირადღირებული პროდუქციის ნორმები: ხორცის მოხმარების მაჩვენებელი 80 გრამი/დღე ჩათვალა ნორმად, რომელიც 2,5-ჯერ ჩამორჩება ნორმას (200 გრ/დღე), რძისა და რძის პროდუქტების ნორმა შეამცირა 4,5-ჯერ 960 გრამიდან 215 გრამამდე, ბოსტნეულის გაანახევრა 370 გრამიდან 182 გრამამდე, შაქარი შეამცირა 100 გრამიდან 55 გრამამდე, ხოლო იაფფასიანი პროდუქტის - პურის ნორმა 350 გრ, რომელიც ისედაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა საერთაშორისო ნორმას (200 გრ/დღე) გაზარდა 400 გრამამდე, რის შედეგადაც საკვები რაციონის თითქმის ნახევარი პურზე მოდის (1092 კკალ/დღ.).“


აღნიშნული ოპერაციის ჩატარების შედეგად საკვებ რაციონში ადამიანის ორგანიზმის ნორმალური

ცხოველმოქმედებისთვის აუცილებელი ინგრედიენტების: ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების შემცველობაც მნიშვნელოვნად შეკვეცილია, კერძოდ, ცილა უნდა იყოს 100-120 გ/დღე და არის 72 გ/დღე, ცხიმი - 90-100 გ/დღე და არის 72,2 გ/დღე, ნახშირწყლები - 400- 450 გ/დღე და არის 334,3 გ/დღე, თანაც მათ მიერ რეკომენდებული ენერგეტიკული ღირებულება შეადგენს 2300 კკალ/დღეში, რაც სრულიად შეუსაბამოა FAO-ს მიერ დადგენილ ნორმებთან, რომლის თანახმად 2500 კკალ-ზე დაბალი მაჩვენებელი არასრულფასოვან კვებად ითვლება.“<sup>5</sup>

### 3) სურსათის უვნებლობა

ქვეყნის შიგნით სურსათის უვნებლობის საკითხზე პასუხისმგებელ უწყებას წარმოადგენს სურსათის ეროვნული სააგენტო. ეს უწყება ახორციელებს გეგმიურ, არაგეგმიურ და გადამონმებითი სახის ინსპექტირებებს. მათი მოცულობები 2012-2018 წლებში მოცემულია დიაგრამა 1-ზე.

დიაგრამა: 1 2012-2018 წლების ინსპექტირებების სტატისტიკა



წყარო: 2018 წელს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში გატარებული ღონისძიებები. სურსათის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიში

აღნიშნული ორგანიზაცია ყოველწლიურად იღებს სხვადასხვა სურსათის და სასმელი წყლის ნიმუშებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ლაბორატორიული კვლევებისათვის, რათა მოხდეს მათი შედარება ქვეყანაში მოქმედ შესაბამის სტანდარტებთან. დიაგრამა 2-ზე მოცემულია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ აღებული ნიმუშების რაოდენობა 2013-2018 წლებში. ნიმუშების და არსებული სტანდარტების შეუსაბამობის შემთხვევაში ხდება ვანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება (გაფრთხილება, დაჯარიმება, საქონლის ამოღება და განადგურება).

დიაგრამა 2: აღებული და ლაბორატორიულად შემოწმებული ნიმუშების რაოდენობა 2013-2018 წლებში (მათ შორის სასმელი წყლის სინჯები)



წყარო: 2018 წელს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში გატარებული ღონისძიებები. სურსათის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიში

<sup>4</sup> <https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2018/11/3-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf>

<sup>5</sup> ქართული ერთობის დარბაზი, გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ, კონგრესის დებულებანი, თბილისი 2018, გვ.: 63-64. <https://kartuliertobisdarbazi.files.wordpress.com/2018/06/programa3.pdf>

სასიხარულოა დიაგრამა 1-ზე და დიაგრამა 2-ზე მოყვანილი მონაცემების მხარე დინამიკა, თუმცა თუ აღნიშნულ მონაცემებს შევადარებთ ევროკავშირში ჩვენი სიდიდის ქვეყნებს და ვინახავთ უზარმაზარ განსხვავებას. მაგალითისათვის ლატვიაში ყოველწლიურად დაახლოებით ნახევარი მილიონი სინჯის აღება ხდება, ჩვენთან კი 2018 წელს მხოლოდ 5 ათასი სინჯის აღება განხორციელდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება რაც ევროკავშირის ქვეყნების და ჩვენი ქვეყნის სურსათის კონტროლის ორგანოებს შორის არის, არის ის, რომ ჩვენთან ხდება ძირითადად პროცესში კონტროლი (ქსელებში არსებული პროდუქტის, როდესაც პროდუქტისა და მომხმარებლის შეხება უკვე განხორციელდა), ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში არის ამოქმედებული მძლავრი მექანიზმი პროცესამდევ (სანამ პროდუქტი მომხმარებელამდე მივა) პროდუქციის გადამოწმების. რა თქმა უნდა ეს არის ძირითადი ტენდენციები და ისე არ უნდა ჩავთვალოთ თითქოს ჩვენთან მომხმარებელამდე პროდუქტია დღეს საერთოდ არ მოწოდდება. ამის მაგალითია არის 2020 წლის პირველი სამი კვარტლის საბაჟოს მონაცემები, რომლის მიხედვითაც „მოხდა 769896.381 კგ-ი, საერთო ჯამში 28 სასაქონლო აგროპროდუქციის გაბრუნება ექსპორტიორ ქვეყანაში. აღნიშნული არასრული წლის მონაცემები თითქმის 3-ჯერ აღემატება 2019 წლის მონაცემებს, რომლის დროსაც ექსპორტიორ ქვეყანას ჯამში დაუბრუნდა 276739 კგ პროდუქტია 12 სასაქონლო ჯგუფიდან“.<sup>6</sup> გაბრუნებული პროდუქციის ძირითად ჩამონათვალს განეკუთვნება ბოსტნეული და ხილი, დაბრუნების მიზეზი კი არის ფიტოსანიტარული კონტროლის დროს აღმოჩენილი დარღვევები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებიდან 2006 წლამდე სურსათის კონტროლი ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხორციელდებოდა. 2006-დან 2012 წლამდე კი პრაქტიკულად აღარ ხორციელდებოდა. შესაბამისად მრავალი წლის განმავლობაში ქვეყანის მოსახლეობა მოხმარებული სურსათის უვნებლობის საკითხში ბედისინაბარა იყო მიტოვებული. 2012 წლიდან მცირედით, თუმცა უნდა ითქვას, რომ სურსათის უვნებლობის კუთხით ქვეყანაში მდგომარეობა სწორდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვეყანაში 10-ზე მეტი ამოქმედებული საერთაშორისო სტანდარტების მქონე სახელმწიფო ლაბორატორია.

ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის - ოქსფამის, მიერ ჩატარებული კვლევის „საქართველოში კვების ეროვნული კვლევა“ მიხედვით „საქართველოში მოსახლეობის 25%-ი დარწმუნებულია, რომ გასული წლის განმავლობაში საკვებით მოინამლა, ხოლო აქედან 7%-ს მონამვლა კლინიკურადაც დაუმტკიცდა“.

სურსათის უვნებლობის კუთხით ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სუფთა-უვნებელი სასმელი წყალი. ამ კუთხით ჩვენს მიერ ოპერატიულად მოპოვებული მონაცემებით ქვეყანაში სუფთა-უვნებელი ორჯანის წყალი არის მხოლოდ სამ ქალაქში: თბილისში, რუსთავში და მცხეთაში. ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ ხერხდება მრავალი დასახლებული ადგილის 24 საათიანი წყალმომარაგება, განსაკუთრებით მცირე ქალაქების და

სოფლების, ასევე არის დასახლებული პუნქტები სადაც ორჯანის წყალი არ არის და მოსახლეობას უხდება მისი სხვადასხვა ადგილებიდან ტრანსპორტირება.

სურსათის უვნებლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვეტერინარიას, რათა ქვეყანაში საიმედო ეპიზოოტიური მდგომარეობა იყოს. სამიში დაავადების გამოვლენის შემთხვევაში ხდება პირუტყვის განადგურება, თუმცა არ არის გათვალისწინებული მისი მფლობელის ეკონომიკური ინტერესები რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ასეთი შემთხვევების დროულად გამოვლენის შესაძლებლობას.

4) სურსათზე ხელმისაწვდომობა (ეკონომიკური, ტერიტორიული)

სასურსათო უსაფრთხოების მე-4 კომპონენტს წარმოადგენს სურსათზე მოსახლეობის ეკონომიკური და ტერიტორიული ხელმისაწვდომობა.

2019 წლის მონაცემებით ქვეყანაში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია 307694 ოჯახი, აქედან 119582 ოჯახი იღებს სოციალურ დახმარებას, რომლის ყველაზე მაღალი ჯერი არის 60 ლარი თვეში ოჯახის თითოეულ წევრზე. ქვეყანაში გვყავს 762.6 ათასი პენსიონერი - საპენსიო თანხა (ბაზისური) შეადგენს თვეში 220 ლარს. უმუშევართა რაოდენობა არის 235.9 ათასი კაცი. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში შეადგენს 19.5%-ს. აღნიშნულს ემატება ინფლაციის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, ლარის გაცვლითი კურსის გაუარესება განსაკუთრებით აშშ დოლართან მიმართებაში, როდესაც იმპორტირებული სურსათის წილი მაღალია.

ოქსფამის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით „მოსახლეობის 58%-ი, ძირითადად თანხების უქონლობის გამო მთელი წლის განმავლობაში განიცდის მნიშვნელოვან საკვებზე ხელმისაწვდომობის დეფიციტს.“

გარდა სურსათზე ეკონომიკური ხელმისაწვდომობისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საგანგაშოდ გამოიყურება, მნიშვნელოვანია საკვების ტერიტორიული ხელმისაწვდომობა. ამ მხრივ დაბრკოლებები რეგიონებში, ძირითადად მაღალმთიან რეგიონებში გვხვდება. ასევე საყურადღებოა ზამთრის პერიოდი როდესაც ათეულობით სოფელი გარკვეული დროით მოწყვეტილია გარე სამყაროს.

როგორც გამოჩნდა სასურსათო უსაფრთხოების ოთხივე კომპონენტი მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული და რომელიმეს დარღვევა აისახება სხვაშიც.

#### რეკომენდაციები

- სასურსათო უსაფრთხოების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის ჩამოყალიბება;

- მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული კვების ნორმები გაუთანაბრდეს საერთაშორისოდ დადგენილ ნორმებს (მათ შორის სამომხმარებლო კალათა);

- აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან, სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობი (როგორც წარმოების კუთხით, ასევე ბაზრის დაცვის მექანიზმები) ღონისძიებების კიდევ უფრო გააქტიურება. ჩვენის აზრით ეს აქტიობა უნდა

<sup>6</sup> თ. მუკბანიანი, 3-ჯერ მეტი, ვიდრე 2019 წელს, 22.10.2020, bpn. <https://www.bpn.ge/article/74605-3-jer-meti-vidre-2019-cels-ra-moculobis-agroprodukti-daubruna-sakartvelom-eksportior-kveqnebs>

დაიგეგმოს იმ ფორმით, რომ მაქსიმალურად მოხდეს მცირე ოჯახური მეურნეობების ხელშეწყობა და არა მსხვილ წარმოებებზე გადართვა. აუცილებლად მიგვაჩნია სოფლის შენარჩუნება;

- ასევე მნიშვნელოვანია სასურსათის ექსპორტიორთა ზომიერი წახალისება ისე, რომ ჯერ გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილება და მხოლოდ ამის შემდგომ საექსპორტო ღონისძიებები;

- ზომიერად უნდა მოხდეს სასურსათო პროდუქციის იმპორტიორთა ხელშეწყობა, ისე, რომ დაცული იყოს ადგილობრივი მოსახლეობის და სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესები;

- განათლების ხელშეწყობა - სასურსათო უსაფრთხოების მომცველ სფეროებში სათანადო კვალიფიციური კადრების მომზადება;

- სამეცნიერო და აკადემიური წრეების მაღალი ჩართულობა სასურსათო უსაფრთხოების სახელმწიფო პროგრამებში;

- სიახლეების, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა;

- სასურსათო უსაფრთხოების საკითხებში მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა;

- სასურსათო პროდუქციის მწარმოებელთა შრომის დაფასება - პოპულარიზება საზოგადოებაში.

### **ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. პ. კოლეაშვილი, ჰ. გიორგაძე, ბ. რამიშვილი, სასურსათო პრობლემიდან - სასურსათო უსაფრთხოებამდე, თბილისი
2. გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ! ქართული ერთობის დარბაზი, მეცნიერთა კონგრესი - ეროვნული თანხმობისთვის, თბილისი 2018
3. საქართველოში კვების ეროვნული კვლევა, კვლევა მომზადდა ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის „ოქსფამის“, ACT და ელკანას მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით, თბილისი 2016
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა, თბილისი 2017
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები
6. სურსათის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიში 2018
7. შ. ჩხეიძე, მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა საქართველოში, აგრონიუს.ჯი, 09.12.2017
8. თ. მუკბანიანი, 3-ჯერ მეტი, ვიდრე 2019 წელს, 22.10.2020, bpn.

# თანამედროვე ეპოქით გამოწვეული სტრესი და მისი მენეჯმენტი

## თინათინ კროპაძე

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი (ფსიქოლოგიის მიმართულებით),  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, იუნკერთა სასწავლო  
ბატალიონის ფსიქოლოგი.

## აბსტრაქტი

მსოფლიოს ქვეყნები თანამედროვე ეპოქაში კიდევ ერთხელ დადგნენ გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების გამონვევების წინაშე. ამ მხრივ არც საქართველო აღმოჩნდა გამონაკლისი. „COVID-19“-ით გამოწვეული პანდემია, მისი გავლენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და ადამიანთა ჯანმრთელობაზე, კავკასიის რეგიონში არსებული საომარი ვითარება - დღეს ჩვენ წინაშე არსებული პრობლემების მცირე ჩამონათვალია. ძალოვანი სტრუქტურები და მათ შორის, თავდაცვის ძალები ერთ-ერთ მნიშვნელოვანი რგოლია რეგიონალური უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში. სიტუაციის სწრაფ ცვლილებებთან შეგუება, სწორი და დროული გადაწყვეტილების მიღება, ცხოვრების და საქმიანობის სტილის შეცვლა სწორედ ძალოვან უწყებათა პრეროგატივაა. ქვეყნის პოლიციამ და თავდაცვის ძალებმა საზოგადოებას თავდაუზოგავი მუშაობის შესაშური მაგალითი აჩვენეს. თუმცა, პანდემიის პირობებში ცხოვრება და საქმიანობა თანაბრად სტრესულია როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირებისათვის. შეიცვალა ცხოვრების სტილი, სწავლების და პრაქტიკული საქმიანობის ფორმები, რასაც ბუნებრივად მოჰყვა ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესამჩნევი ცვლილებები.

# STRESS CAUSED BY THE MODERN ERA AND ITS MANAGEMENT

## TINATIN KROPADZE

DOCTOR OF SOCIAL SCIENCES (PSYCHOLOGY), NATIONAL DEFENSE ACADEMY  
OF GEORGIA, PSYCHOLOGIST AT THE JUNKER'S TRAINING BATTALION

Countries all over the world are facing regional and global safety issues once again, and Georgia is no exception. The pandemic caused by "Covid-19" and its effect on the economy of the country and human health, also the war situation in the Caucasian region, are a small list of the problems we are facing today. Law enforcement agencies, including The Defense Forces, are one of the main, that managed to maintain regional safety. Adapting with the fast changes, making the right decisions at the right time, changing the lifestyle and the way we work to fit in the pandemic, was handled by them without hesitation. The police and the Defense Forces have done an outstanding job of overcoming these challenges. But working under the pandemic conditions is very stressing, as a citizen and as a military. The lifestyle, the way we educate, the practical activities, all of this has changed, which naturally caused changes in the psychological conditions.

შესავალი. ადამიანი, თავისი არსებობისა და საქმიანობის პერიოდში, გარემოსთან შეთანხმებულად მოქმედებს ცდილობს. ამ პროცესში ისინი, ადამიანი და გარემო ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედებენ. ყოველი ინდივიდი არსებობს ანმყოფი, ითვალისწინებს წარსულში მიღებულ გამოცდილებას და გეგმავს მომავალს. თუმცა, არსებობენ ე.წ. „არასასურველი“ მოვლენები, რომლებიც თავისი გამოჩენით, არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში აყენებენ ადამიანს. ასეთი მოვლენებია:

ბუნებრივი კატაკლიზმები, ომები, შიმშილი, კატასტროფები და ა.შ. დღევანდელ რეალობაში საქართველოს სერიოზულ საფრთხეს უქმნის კავკასიის რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებები მემობელ ქვეყნებს შორის. არასასურველ მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნება კიდევ ერთი მოვლენა, რომელშიც ჩვენ გვინვს ცხოვრება და რომელიც „კორონა ვირუსის“, იგივე „COVID-19“-ით სახელით არის ცნობილი. კორონავირუსის გავრცელება მსოფლიოს არაერთი ქვეყნის საერთო, და მათ შორის,

საქართველოს სერიოზული გამოწვევაა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ პანდემიას, საკმაოდ მოულოდნელი და ამასთან, განგრძობითი ხასიათი აქვს.

ძირითადი ნაწილი. ომების მიმდინარეობა თუ კორონავირუსის ფართო გავრცელებისა და მისით ინფიცირების საფრთხეები, მრავალ ჩვენგანში იწვევს ღელვას, შეშფოთებას, შიშსა და დაბნეულობას. აღნიშნული განცდები წარმოადგენს გამოწვევას ჩვენი ფსიქიკისათვის. ეს არის რეაქცია შეცვლილ სოციალურ რეალობაზე, რომელიც ახლებურ ადაპტაციას საჭიროებს. როგორც ჩვენთვის ცნობილია „საზოგადოების სრულყოფილებიან და ღირსეულ წევრად ჩამოყალიბება სოციალიზაციის პროცესის შედეგს წარმოადგენს“ [2.360]. იზოლაციის პირობებში კი, ამგვარი ემოციების წარმოშობა ყოფითი რეალობის, რუტინის ცვლილების საპასუხოდ, ბუნებრივ რეაქციას წარმოადგენს. ადამიანის წინაშე მოულოდნელად გაჩენილი უსიამოვნებებია ისეთი ფაქტები, როგორცაა: საზღვრების ჩაკეტვა, უარყოფითი ინფორმაციის სიჭარბე, მუშაობისა და სწავლის ონლაინ სივრცეში გადატანა, ჩვეული საქმიანი თუ პირადი ინტერპერსონალური ურთიერთობების ფორმისა და ხარისხის შეცვლა, ფინანსური საფრთხეები და ა.შ. ინდივიდისათვის ამ რეაქციის მართვა თითოეული ჩვენგანის მხრიდან, ფსიქოლოგიური წონასწორობისა და კეთილდღეობის განცდის შესანარჩუნებლად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. უმართავი განცდები შესაძლოა პანიკაში გადაიზარდოს, რაც ადამიანს ვირუსისგან თავდაცვაში ვერ დაეხმარება. მეტიც, ეს უფრო ართულებს პრევენციული ზომების მიღებას. უპირველეს ყოვლისა, პირადი და გარემომყოფთა უსაფრთხოების დაცვისათვის, დაავადების გავრცელების რისკის შესამცირებლად, დაფიქრებული და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა საჭიროა.

როგორც ვიცით, ნებისმიერი მოულოდნელი მოვლენა, ადამიანში შიშის გრძობას და შფოთვის იწვევს. ეს განცდა არის იმის პასუხი, რაც ადამიანში წარსული გამოცდილებიდან მიღებული ნაცნობობის განცდას არ იწვევს და არც მომავალთან არის დაკავშირებული. ამ მდგომარეობას სტრესი ეწოდება. სტრესი სასიამოვნო მოვლენებთანაც არის დაკავშირებული და ადამიანის განვითარებას ეწყვემდებარება. თუმცა, მიმდინარე მოვლენებს „კარგ“ სტრესს ვერ დავარქმევთ - ის დისტრესი, „ცუდი“ სტრესია და დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს.

ანმყოფი მიმდინარე მოვლენისადმი ჯანსაღი და რაციონალური დამოკიდებულება, წინასწარი განჭვრეტა ხელს უწყობს მოცემულობასთან ადაპტაციას. ეს ყოველივე კი, წარსულში ჩვენი გამოცდილებით გვაქვს მიღებული და შეთვისებული. ქართველი მეცნიერის, ბ.მარნევიშვილის (Martskvishvili, Kh. (2006) ნაშრომში ვკითხულობთ: „კოგნიტური შეფასება არის პროცესი, რომლითაც ინდივიდი აფასებს გარემოს სტრესულ მოვლენას. განასხვავებენ კოგნიტური შეფასების ორ სახეს: პირველადი და მეორადი კოგნიტური შეფასება. პირველადი შეფასებით, ინდივიდი აფასებს, არის თუ არა რამე საფრთხეში ამ კონკრეტული პრობლემური სიტუაციის გამო. მეორადი შეფასებით კი ინდივიდი აფასებს, შეუძლია თუ არა გააკეთოს რაიმე სტრესისაგან მიყენებული ზიანის თავიდან ასაცილებლად და დასაძლევად“ [4]. სწორედ კოგნიტური აზროვნებით ორიენტირდება ადამიანი ანმყოფ მომენტზე. მის წინაშე დაისმის კითხვა: რა შემთხვევა გვაკავთ ისეთი, რაც ამ მდგომარეობას შემიმსუბუქებს?

ვირუსის გავრცელების მასშტაბების, მისი თავისებურებების და გავრცელებასთან ბრძოლის კუთხით, მნიშვნელოვანია თითოეული ინდივიდის პირადი პასუხისმგებლობა. ჰიგიენის დაცვა ხელს უწყობს ვირუსის პრევენციას და გავრცელების რისკის შემცირებას. ამასთან, მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისაგან მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენა, რაც ნიშნავს ზრუნვას როგორც უახლოეს გარემომყოფებზე: ოჯახის წევრებზე, ნათესავებსა და მეგობრებზე, ასევე საზოგადოების ჩვენთვის უცნობ ნაწილზე. ვირუსული ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, ექიმისთვის მიმართვა და თვითიზოლაცია კი, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითია.

რაც შეეხება მომავალს, ჩვენ მასთან გვაკავშირებს მხოლოდ ერთი, ჩვენი თავისუფალი არჩევანი, პირადი პასუხისმგებლობა - რა არის ჩემზე დამოკიდებული? აქ აუცილებელია ადამიანმა გამიჯნოს ფუჭი ღელვა იმისა, რაც მასზეა არის ან არ არის დამოკიდებული. შედეგად, პროცესის არაპროგნოზირებადი ხასიათის მიუხედავად, ადამიანის აზროვნებაში მეტ სიციხადეს შეიტანს და გარკვეულ სიმშვიდეს მოგვრის. გაანალიზების შემდეგ, მნიშვნელოვანია მოქმედების გეგმა, რაც აუცილებლად გაიყვანს ადამიანს გარკვეულ შედეგზე.

ის ადამიანი, რომელიც, როგორც სასიამოვნო, ისე უსიამოვნო მოვლენების მიმართ განწყობილია, როგორც მალე დასრულებადი მოვლენებისა, უფრო სტრესგამძლეობას ამჟღავნებს. სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ღრმად წინასწარგანწყობილ ადამიანს ლამის იმუნიტეტი აქვს გამომუშავებული იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც მის ნალოლიავებელ სტრესოტიკს არ შეესაბამება“ [1.291]. შედეგად, თუ ადამიანს აქვს განცდა, რომ „ესეც ჩაივლის“, და შიშის განცდა მარტივად გადავა შემეცნების (გააზრების) ფაზაში, ეს ყოველივე ლოგიკურად დასრულდება პიროვნული ზრდის ფაზით.

როგორც აღვნიშნეთ, მოულოდნელი მოვლენის აღმოცენების პროცესში, ადამიანში სრულიად ბუნებრივად აღმოცენდება შიშის განცდა. უარყოფითი გავლენისაგან დასაცავად, ადამიანს გააჩნია ბუნებრივად არსებული თავდაცვის მექანიზმები, რომლებიც ეხმარება პროცესის კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი მხარეების განსაზღვრაში. სწორედ ამ მექანიზმების დახმარებით, ადამიანი მიმართავს შესაბამის სტრატეგიებს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გაიწერა რეკომენდაციები. სტრატეგიები, თავის თავში, „მეს“ პასუხისმგებლობას და სხვა ადამიანების მიზანმიმართულ დახმარებას მოიაზრებს.

სტრესის გამკლავების სტრატეგიის კლასიკური მიდგომა არსებულ მოვლენაში კარგი მხარის დანახვას გულისხმობს. ადამიანისათვის სტრესი დგება მაშინ, როცა მის მიერ მოვლენა, როგორც სტრესული, ისე აღიქმება. ეს მდგომარეობა მყისიერად აჩენს ადამიანში გარკვეულ ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ სიმპტომებს, რითაც არსებულ სტრესზე შეგვიძლია მსჯელობა. სტრესის სიმპტომებია: მოჭარბებული ღელვა როგორც საკუთარ, ისე ახლობელ ადამიანებზე, ძილის რეჟიმის დარღვევა და ჭამის მადის მოატება ან დაკარგვა, არსებული ქრონიკული დაავადებების გამწვავება, უკმაყოფილება საკუთარი თავით ან/და გარემომცველი სამყაროთი, ალკოჰოლისადმი ლტოლვის გაზრდა და ა.შ. ეს ყველაფერი არსებული სტრესის დაუყოვნებლივი გადაჭრის საჭიროებაზე მიუთითებს.



ბევრ ენაში არსებობს ანდაზა „ზოგი ჭირი მარგებელია“, რომელიც მოიაზრებს, რომ არსებობს „ჭირი“, რომელიც შეიძლება სასარგებლოც კი იყოს. ამ კუთხით თუ განვიხილავთ მიმდინარე მოვლენებს, მართლაც დავინახავთ ჩვენთვის არსებულ სარგებელს. ესეთი შეიძლება იყოს: ოჯახის წევრებთან დიდი დროის გატარების საშუალება, დასვენების და გამოძინების დიდი დრო, საყვარელი საქმიანობით დაკავება, საკუთარ თავში ჩაღრმავების ფუფუნება და ა.შ. მით უფრო, ისეთი პროფესიები, როგორებიცაა პოლიცია და თავდაცვის ძალები, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი დროის გატარება უწევთ ოჯახების გარეთ. არსებულმა სიტუაციამ კი მათ ხელი შეუწყო საკუთარ ოჯახთან და შვილებთან უფრო მეტი დროის გატარებაში. თუმცა, სტუდენტებს, ჩვენ შემთხვევაში კი, იუნკერებს, როგორც მომავალ ოფიცრებს, საქმიანობის ათვისების პროცესში, სოციალური კონტაქტი და პრაქტიკული დეტალებით გაჯერებული სწავლებები უჩვენიათ.

როცა საუბარია შებლუდულ ურთიერთობებზე, ზოგადად, და განსაკუთრებით თვითიზოლაციის პროცესზე, გასათვალისწინებელია ადამიანთა გარკვეული ტიპები. ტიპისათვის, რომელსაც ფსიქოლოგიაში „ინტროვერტს“ უწოდებენ, მართლაც ყოფნა და კონტაქტის შეზღუდვა სასიამოვნოდაც კი განიცდება. ამის მიზეზი ადამიანთა ბუნებაში, მათ ტემპერამენტშია. ამ ტიპის ადამიანები „იმუხტებიან“ მართლაც ყოფნით, საკუთარი კომფორტით და საკუთარ განცდებში ჩაღრმავებით.

მათგან განსხვავებით, ადამიანთა ის კატეგორია, რომელიც ე.წ. „ექსტრავერტების“ ჯგუფს მიეკუთვნება, მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სხვა ადამიანებთან პირისპირ კონტაქტი, გრძნობების და ემოციების გაზიარება, კომუნიკაცია და ა.შ. ამ ადამიანებისათვის თვითიზოლაციის და კარანტინის პროცესი ნამდვილად არ არის მარტივად გადასატანი.

გარდა ამისა, მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე სტრესული სიტუაციის სამართავად, მნიშვნელოვანია გარემოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების საკითხში ზომიერების დაცვა. შიშის გავლენით, ადამიანები მოზღვავებული ინფორმაციის ქვეშ, ამასთან, ხშირ შემთხვევაში არასანდო და მყარ არგუმენტებს მოკლებული ინფორმაციის გავლენით, ვეღარ ახერხებენ ფსიქიკური წონასწორობის შენარჩუნებას. უარყოფითი ინფორმაციის პარალელურად, მასმედიისა და აურონალისტების მხრიდან მეტად მნიშვნელოვანია აქცენტის გაკეთება დამაიმედებელი გარემოების შესახებ. მითუმეტეს, როცა საქმე ეხება ბავშვებს, რადგან „ბავშვები

გაცილებით უფრო მორჩილნი არიან გავლენების მიმართ, ვიდრე უფროსები“[1.271]. ვირუსით დაავადება თუ ქვეყნებს შორის საომარი მდგომარეობა არ არის ცხოვრების დასასრული. მით უმეტეს, საქართველოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მდგომარეობა მართლაც ექვემდებარება ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნის სამსახურების მიერ. სახელმწიფოს მმართველი ორგანოებისა და ექიმთა მიმართ მაღლიერების გრძნობა კი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანტისტრესორია, რადგან ხალხზე ზრუნვის ელემენტები გარკვეული უსაფრთხოების განცდას ბადებს თითოეულ ადამიანში.

დასკვნა. ამდენად, თანამედროვე ეპოქაში არსებული გამოწვევებიდან, კორონავირუსის გამკლავება საკმაოდ რთული აღმოჩნდა მთელი მსოფლიოსათვის. ამ გამოწვევას სხადასხვა ქვეყნებმა სხვადასხვა სირთულით უპასუხეს. ამ მხრივ, საქართველოში მდგომარეობა დიდხანს, თუმცა არც თუ ისე დიდი სიმძაფრით განვითარდა. გახანგრძლივებულ თვითიზოლაციასა და კარანტინის ადამიანთა დიდ ნაწილში სტრესის გამოწვევა ახლავს თან. არსებული ფსიქიკური მდგომარეობის წონასწორობის შენარჩუნებაში ადამიანებს პოზიტიური აზროვნება დაეხმარებათ. კერძოდ, სტრესის განხილვა, როგორც პიროვნული ზრდის საშუალება, ყველაზე სარგებლიანი მიდგომაა. არსებული მდგომარეობიდან მაქსიმალური სარგებლის მიღება და სიტუაციის, როგორც გარკვეული გამოცდილების მომტანის განხილვა, პიროვნებაში კმაყოფილების განცდის გაჩენას იწვევს. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ რეალურმა ყოფამ ადამიანებს საშუალება მისცა, უფრო მეტი დრო გაატარონ საყვარელ ადამიანებთან და სახლში ყოფნა გახადონ განსაკუთრებით სარგებლიანი. ამისათვის მიზანშეწონილია დღის განრიგის შედგენა, სადაც განვირეოთ იქნება გარკვეული ერთობლივი აქტივობების ან ავტონომიური ტერიტორიების დაგეგმვა. პიროვნების მიერ ყოველი დღის შეჭამება კი, კმაყოფილების განცდის მომგვრელია. შეუსრულებელი აქტივობების მიზეზების გაანალიზება და ხელის შეშლელი ფაქტორების განხილვა კი, პიროვნების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა.

ამრიგად, სტრესის გონივრული გააზრება და სათანადო მოქმედებების გაგეგმვა, ხელს შეუწყობს ადამიანებს დაიმორჩილონ სტრესი მანამ, სანამ ის არ დაიმორჩილებს მათ. ამაში კი, ადამიანებს ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ინფორმირებულობა და ზოგადი ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს.

### ბამოყენებული ლიტერატურა:

1. არონსონი ე., სოციალური ცხოველი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2017, გვ.521;
2. იმედაძე ი., ფსიქოლოგიის საფუძვლები, მნიგნობარი, თბ.2007, გვ.429;
3. მარწყვიშვილი ხ., ემოციური ინტელექტის, დაძლევის სტრატეგიების და პოსტტრავმული სტრესის ურთიერთმიმართება (2008 წლის აკვიტოს რუსეთ-საქართველოს კონფილქტის შედეგად იძულებით ადგილნაცვალნი პირების მაგალითზე), სადისერტაციო ნაშრომი, თბ. 2010;
4. Martskvishvili, Kh. (2006) Stress coping strategies, Caucasology, 10, 90-110;
5. <http://dictionary.css.ge/content/coping>

# ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაცია და მისი გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაზე

ლევან გეგეშიძე  
ეროვნული თავდაცვის აკადემია  
ასისტენტ-პროფესორი

## აბსტრაქტი

ამ კვლევაში განხილულია ჩინეთის სამხედრო ძალების მოდერნიზაცია და მისი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე. ჩინეთი ზრდის სამხედრო ბიუჯეტს, ახდენს სამხედრო ძალების მოდერნიზაციას და ავითარებს ახალ შესაძლებლობებს. ჩინეთი აწარმოებს უხმო თვითმფრინავებს, წყალქვეშა ნავებს და სარაკეტო სისტემებს. 2008 წელს ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტი 86 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 2017 წელს - 228 მილიარდ დოლარს. ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტი თითქმის 2.6-ჯერ გაიზარდა.

კვლევის მიზანია ჩინეთის სამხედრო ძალასა და რეგიონალურ უსაფრთხოებას შორის კავშირის შესწავლა. რა კავშირი აქვს ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაციასა და სამხედრო ძალაუფლების ზრდას რეგიონულ კონფლიქტებთან? როგორია შეერთებული შტატების საპასუხო რეაქცია ჩინეთის სამხედრო აღმავლობაზე? კვლევის მიზანია გამოავლინოს, რომ საფრთხის შეგრძნება აიძულებს სახელმწიფოებს კონცენტრირება მოახდინონ თავდაცვის შესაძლებლობებზე; ერთი მხრივ, მათი სამხედრო შესაძლებლობების განმტკიცებაზე და, მეორე მხრივ, სხვა ქვეყნებთან კავშირის გამყარებაზე.

ძალთა ბალანსის, საფრთხეების ბალანსისა და თავდასხმითი რეალიზმის თეორიის საფუძველზე, კვლევა შეისწავლის რეგიონული სახელმწიფოების საპასუხო რეაქციებს ჩინეთის სამხედრო აღმავლობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ჩინეთის სამხედრო და საზღვაო ძალების ზრდა გამოწვევის ქვეშ აყენებს რეგიონის ქვეყნებს და აშშ-ს ინტერესებს, მაგრამ ეს არ იწვევს გარდაუვალ შეიარაღებულ კონფლიქტს. ჩინეთი ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფოა, ამიტომ ბირთვული შეკავება მნიშვნელოვან როლს ასრულებს დიდი სტანდარტული კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

ჩინეთის მეგობრები, იაპონია და სამხრეთ კორეა აძლიერებენ სამხედრო უსაფრთხოებას და კავშირს შეერთებულ შტატებთან. ჩინეთი აქტიურად თანამშრომლობს რუსეთთან; ირანი და პაკისტანი, კავშირი ამ სახელმწიფოებს შორის შეიძლება გამოყენებულ იქნას აშშ-სა და მისი მოკავშირეების გლობალურ და რეგიონალურ დონეზე დაბალანსებისთვის.

## CHINA'S MILITARY MODERNIZATION AND ITS IMPACT ON REGIONAL SECURITY

LEVAN GEGESHIDZE

ASSISTANT PROFESSOR AT NATIONAL DEFENSE ACADEMY OF GEORGIA

In this research has been analyzed modernization of China's military power and its influence on regional security. China is increasing military budget, making modernization of military forces and developing new capabilities. China is producing Stealth airplanes, submarines and missile systems. In 2008 China's military budget was 86 billion dollars, in 2017 - 228 billion dollars. Last ten years China's military budget has risen almost 2.6 times.

The aim of the research is to study the connection between China's military power and regional security. What is the connection between the China's military modernization and rise of military power and regional conflicts? What is the United States responsive reaction to the China's military rise? The research is aimed to reveal that the sense of threat forces states to concentrate on their defense capabilities; On the one hand, to strengthen their military capacities and, on the other hand, to tighten alliances with other countries.

Based on the balance of power, balance of threats and offensive realism theory, the research studies the responses of regional states to the China's military rise. The research has revealed that rise of China's military and navy power challenge regional countries and US interests, but it does not lead to unavoidable armed conflict. China is a nuclear state so nuclear deterrence plays the significant role to avoid big conventional conflict.

China's neighbors, Japan and South Korea, are strengthening their military security and alliance with United States. China is actively collaborating with Russia; Iran, and Pakistan, ties between these states might be used to balance USA and its allies on global and regional Level.

## შესავალი

ბოლო ორი ათწლეულია ინტენსიურად მიმდინარეობს ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაცია. ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმია (中国人民解放军, შემდგომში - სგა) ტრანსცფორმაციის პროცესში იმყოფება. ყოველწლიურად იზრდება სამხედრო ბიუჯეტი. სამხედრო მოდერნიზაცია გააზრებული უნდა იქნეს ჩინეთის ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში. წინმავალი ცვლადი, არის ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობა, ეკონომიკის ყველა სფეროს სწრაფი მოდერნიზაცია და განვითარება.

ისტორიულად, სგა შეიქმნა, როგორც პარტიზანული არმია, რომელიც მთლიანად ჩინეთის კომუნისტურ პარტიას ემორჩილებოდა. 1976 წელს, მათ ძედუნის გარდაცვალების დროს, სგა იყო დიდი და არაფექტური ძალა, რომლის დანიშნულება იყო "სახალხო ომის" წარმოება. ოთხმოციან წლებში რეფორმები ფოკუსირებული იყო სგა-ს რაოდენობის შემცირებასა და კონვენციური ომების წარმოების შესაძლებლობების ზრდაზე. 1996-2015 წლებში სამხედრო ბიუჯეტი ყოველწლიურად საშუალოდ 11% იზრდებოდა.<sup>1</sup> ჰეგინი აქტიურად აწარმოებს სტელსის ტიპის თვითმფრინავებს, წყალქვეშა ნავებს, სარაკეტო სისტემებს. ასევე დაიწყო ავიაშიმდების წარმოება.<sup>2</sup> SIPRI - ის მონაცემებით 2008 წელს ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტი დაახლოებით 86 მილიარდი აშშ დოლარი იყო, ხოლო 2017 წელს კი, 228 მილიარდი.<sup>3</sup>

ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო მოდერნიზაციის ზოგადი ტენდენციები. ასევე განვსაზღვროთ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას რეგიონის უსაფრთხოებაზე? სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაცია და მისი შესაძლებლობების ზრდა რა საპასუხო რეაქციას იწვევს ჩინეთის მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან?

ჯ. მირშაიმერი ფიქრობს, რომ ჩინეთის მეზობლების უმეტესობა აირჩევს დაბალანსების პოლიტიკას, ვინაიდან ჩინეთი წარმოადგენს უფრო სერიოზულ საფრხეს ამის ქვეყნებისთვის, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. ამის ერთ-ერთი მიზეზი ჩინეთის გეოგრაფიაა. ის აზიური ქვეყანაა, მაშინ როდესაც აშშ რეგიონიდან შორს

მდებარეობს და არ გააჩნია ტერიტორიული პრეტენზიები.<sup>4</sup> ძალა ბალანსის და საფრთხის ბალანსის თეორიების დაშვებების საფუძველზე შევცვდებით ავხსნათ ჩინეთის სამხედრო მოდერნიზაციის გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაზე. ანალიზი მოიცავს სახმელეთო და საჰაერო, სარაკეტო და საზღვაო ძალებში გატარებული რეფორმების და მოდერნიზაციის შედეგებს.

შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია პრეზიდენტ სი ძინპინის გეგმა ითვალისწინებს, რომ ჩინეთმა 2035 წელს დაასრულოს მისი შეიარაღებული ძალების სრული მოდერნიზაცია. 2049 წელს, კომუნისტური რევოლუციის 100 წლის თავზე კი, იქცეს მსოფლიო კლასის შეიარაღებულ ძალებად.<sup>5</sup> სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად სგა-ს ოთხი გენერალური დეპარტამენტი (ოპერაციების, პოლიტიკური, ლოჯისტიკის და შეიარაღების) დაიშალა 15 ფუნქციურ დეპარტამენტად და უშუალოდ დაექვემდებარა ცენტრალურ სამხედრო კომისიას.<sup>6</sup> რეგიონალურ დონეზე სგა-მ შექმნა ხუთი თეატრის დონის სარდლობა, რომლითაც ჩაანაცვლა მანამდე არსებული შვიდი სამხედრო რეგიონი. 2016 წელს ჩამოყალიბდა, ოპერაციული დონის დამოუკიდებელი ერთეული - სტრატეგიული მხარდაჭერის ძალები. (SSF) იგი ორიენტირებულია კოსმოსური, კიბერ, ელექტრონული და ფსიქოლოგიური ომის მისიამზე.

ჩინეთის საჰაერო და საზღვაო ძალების ავიაციის მოდერნიზაციის მიზანია განათავსოს და შეინარჩუნოს სამხედრო ძალები ჩინეთის ტერიტორიიდან შორს. მისი ავიცია ყველაზე დიდია რეგიონში, დაახლოებით 2 700 საფრენი აპარატი. აქედან დახლოებით 2000 საბრძოლო საჰაერო ხომალდია. მიმდინარე რეფორმების შედეგად სულ უფრო და უფრო მცირდება სხვაობა ჩინეთისა და აშშ-ს საჰაერო ძალების შესაძლებლობებს შორის.<sup>7</sup> ჩინეთს პროგრესი აქვს ჰაერი-ჰაერი ტიპის მართვადი რაკეტების წარმოებაში. შეიარაღებაში მიღო PL-10 AAM და PL-15 AAM მართვადი რაკეტები.<sup>8</sup> აშშ-ს საჰაერო ძალების ყოფილმა სარდალმა, ჰოვ კარლაილმა, 2015 წელს განაცხადა, რომ ეს რაკეტები იწვევს მათ შემფოთებას.<sup>9</sup>

2015 წლის ბოლოს ჩინეთმა მეორე არტილერიის ძალებს შეუცვალა სახელი და მას სარაკეტო ძალები უწოდა. მეორე არტილერიის ძალები შეიქმნა 1960 წელს.

<sup>1</sup> Heginbotham, E., Nixon, M., Morgan, F., Heim, J., Hagen, J., Li, S., . . . Morris, L. (2015). Different Paths: Chinese and U.S. Military Development, 1996–2017. In The U.S.-China Military Scorecard: Forces, Geography, and the Evolving Balance of Power, 1996–2017 . RAND Corporation. Retrieved from [http://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR392.html](http://www.rand.org/pubs/research_reports/RR392.html) p. xx.

<sup>2</sup> brius jentelsoni, amerikis sagreo politika 2015. gv 513-514.

<sup>3</sup> China Power Team. «What does China really spend on its military?» China Power. December 28, 2015. Updated August 6, 2019. Accessed October 6, 2019. <https://chinapower.csis.org/military-spending/>

<sup>4</sup> MEARSHEIMER, John J., The Tragedy of Great Power Politics, W. W. Norton & Company, New York, London, 2014, p 389

<sup>5</sup> Developments, Security. 2019. "OFFICE OF THE SECRETARY OF DEFENSE Annual Report to Congress: Military and Security Developments Involving the People's Republic of China ANNUAL REPORT TO CONGRESS000 in DoD Labor. Generated on 2019May02 RefID: E-1F4B924." Accessed October 1, 2019, [https://media.defense.gov/2019/May/02/2002127082/-1/-1/1/2019\\_CHINA\\_MILITARY\\_POWER\\_REPORT.pdf](https://media.defense.gov/2019/May/02/2002127082/-1/-1/1/2019_CHINA_MILITARY_POWER_REPORT.pdf). p31

<sup>6</sup> Wuthnow, J. Saunders, P. Chinese Military Reforms in the Age of Xi Jinping: Drivers, Challenges, and Implications. 2017. p 10-11

<sup>7</sup> Developments, Security. 2019. "OFFICE OF THE SECRETARY OF DEFENSE Annual Report to Congress: Military and Security Developments Involving the People's Republic of China ANNUAL REPORT TO CONGRESS000 in DoD Labor. Generated on 2019May02RefID:E-1F4B924." Accessed October1, 2019, [https://media.defense.gov/2019/May/02/2002127082/-1/-1/1/2019\\_CHINA\\_MILITARY\\_POWER\\_REPORT.pdf](https://media.defense.gov/2019/May/02/2002127082/-1/-1/1/2019_CHINA_MILITARY_POWER_REPORT.pdf). p 40

<sup>8</sup> Chuanren C. New Chinese Weapons Seen On J-10C Fighter. <https://www.ainonline.com/aviation-news/defense/2017-07-20/new-chinese-weapons-seen-j-10c-fighter> Accessed 1/09/2019

<sup>9</sup> Asia, In, and Saudi Arabia. 2018. "The Military Balance 2018." The International Institute for Strategic Studies. p7.

იმ დროისთვის იგი იყო პატარა და მოწყვლადი ბირთვული ძალები.<sup>10</sup> ჩინეთის ბირთვული შეკავება აშშ-ს წინააღმდეგ დაფუძნებული იყო რაკეტებზე, რომლებიც იყენებდნენ თხევად საწვავს, და განთავსებული იყო სტაციონალურ ადგილებში, რაც ჩინეთს თეორიულად მოწყვლადად აქცევდა პირველი პრევენციული დარტყმის შემთხვევაში.<sup>11</sup> 1996 წლიდან დაიწყო ამ ძალების მოდერნიზაცია, მისი ერთ-ერთი მისია გახდა კონვენციური დარტყმების განხორციელება, პარალელურად მიმდინარეობდა ბირთვული შესაძლებლობების ზრდაც. სგა-მ შეირაღებაში მიიღო კონვენციური მოკლე რადიუსის მქონე ბალისტიკური რაკეტები (SRBM). მოდერნიზაციის შედეგად გაუმჯობესდა ამ რაკეტების მოქმედების მანძილიც და სიზუსტეც. ასევე, სარაკეტო ძალებს შეირაღებაში აქვთ საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტები (150 - 450 ცალი), ეს რაკეტები მათ საშუალებას აძლევს იმოქმედონ კუნძულების მეორე ჯაჭვის მიღმა და შეტევა მიიტანონ საზღვაო ხომალდებზე. 2019 წლის მონაცემებით, ჩინეთის სარაკეტო ძალებს აქვთ გაზრდილი სიშორის ბალისტიკური რაკეტები, რომლის მოქმედების რადიუსი 3 000-დან 5 500 კილომეტრამდეა. ჩინეთის სგა-ს შეუძლია ზუსტი სარაკეტო, კონვენციური და ბირთვული დარტყმები მიიტანოს ჩინეთიდან და კუნძულების მეორე ჯაჭვიდან შორს.<sup>12</sup> ასევე 2015 წლის მონაცემებით ჩინეთს ჰქონდათ დაახლოებით 500 ერთეული ხომალდსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა, რომლის მოქმედების რადიუსი 2 000 კილომეტრია.<sup>13</sup>

სარაკეტო ძალებს აქვთ კრიტიკული მნიშვნელობა ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და უსაფრთხოებისთვის. ის მოიცავს ბირთვულ რაკეტებს, კონვენციურ რაკეტებს, დამხმარე ძალებს და სარაკეტო ბაზებს. ის ავითარებს ბირთვული შეკავებისა და კონტრშეტევის შესაძლებლობებს, აძლიერებს გაზრდილი სიშორისა და შორი მანძილის ბალისტიკური სარაკეტო ძალების დარტყმის სიზუსტეს. ჩინეთი თვლის, რომ სტრატეგიული კონტრ-ბალანსის შესანარჩუნებლად საჭიროა ძლიერი და მოდერნიზებული სარაკეტო ძალები.<sup>14</sup>

**საზღვაო ძალების** მოდერნიზაციის მიზანია, სგა-ს საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის შესაძლებლობების გაზრდა, ისე რომ მათ შეძლონ ოპერაციების განხორციელება ღია ზღვაში, პირველი და მეორე კუნძულების ჯაჭვის შიგნით. გარდა ამისა ისინი ემზადებიან შესაძლებლობებს, რომ მოახდინონ ძალების განლაგება შორეულ ზღვაში, გლობალური მასშტაბით.<sup>15</sup>

ყველაზე თვალშისაცემი ჩინეთის მიერ ავიაშიდების წარმოებაა. 2019 წლის აპრილის თვეში მედიით გავრცელდა სატელიტის მიერ გადაღებული ფოტოები, სადაც ჩანს, რომ მესამე ავიაშიდის მშენებლობა მიმდინარეობს ძიანანის (jiāngnán) გემსაშენში.<sup>16</sup> პირველი ავიაშიდი (Liaoning) ჩინეთის საზღვაო ძალებმა 2012 წელს მიიღო. 2017 წელს ჩინეთმა შეირაღებაში მეორე ავიაშიდი (Type 001A) მიიღო, რომელიც ზომით და შესაძლებლობებით თითქმის პირველის იდენტურია, მაგრამ ეს გემი მთლიანად წარმოებული იქნა ჩინეთის ეროვნული ძალებით. ეს ფაქტი ხაზს უსვამს მის უნიკალურობას, რადგან ჩინეთს უკვე შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს ავიაშიდები და მასზე გასათვსებელი ავიაციაც.

დღეის მდგომარეობით ჩინეთს ჰყავს ოთხი ბირთვული წყალქვეშა ნავი, რომლებიც აღჭურვილია ბალისტიკური რაკეტებით. (SSBN) 6 ერთეული ატომური წყალქვეშა ნავი (SSN) და 50 კონვენციური ბრძოლისთვის განკუთვნილი წყალქვეშა ნავი.<sup>17</sup> (SS)

ჩინეთი აგრძელებს საბრძოლო გემების წარმოების პროგრამას, რომელიც მოიცავს სარაკეტო კრეისერებს, მართვადი რაკეტებით აღჭურვილ გამანდგურებლებსა და ფრეგატებს. პროგრამა ფოკუსირებულია გემების ჰერსაწინააღმდეგო თავდაცვაზე. ასევე, მნიშვნელოვად გაუმჯობესდა გემების და წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობები.

ამდენად მიმდინარე მოდერნიზაციის შედეგად შეგვიძლია დავსაკვნათ, რომ ჩინეთის მიზანია რეგიონში დომინანტი სამხედრო ძალა გახდეს. ამერიკელი სტრატეგები ფიქრობენ, რომ ჩინეთის მიზანია მესამე ძალას არ მისცეს საშუალება განახორციელოს თეატრის დონის კამპანია

<sup>10</sup> China Goes Ballistic Author(s): Andrew S. Erickson and Michael S. Chase Source: The National Interest, No. 131, THE PROMISE OF AMERICAN NATIONALISM (May/June 2014), pp. 58-64 Published by: Center for the National Interest Stable URL: <https://www.jstor.org/stable/44153293> Accessed: 02/09/2019. p59

<sup>11</sup> Heginbotham, E., Nixon, M., Morgan, F., Heim, J., Hagen, J., Li, S., . . . Morris, L. (2015). Different Paths: Chinese and U.S. Military Development, 1996–2017. In The U.S.-China Military Scorecard: Forces, Geography, and the Evolving Balance of Power, 1996–2017 . RAND Corporation. Retrieved from [http://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR392.html](http://www.rand.org/pubs/research_reports/RR392.html) p. 28

<sup>12</sup> Developments, Security. 2019. "OFFICE OF THE SECRETARY OF DEFENSE Annual Report to Congress: Military and Security Developments Involving the People's Republic of China ANNUAL REPORT TO CONGRESS000 in DoD Labor. Generated on 2019May02RefID:E-1F4B924." Accessed October 1, 2019, [https://media.defense.gov/2019/May/02/2002127082/-1/-1/1/2019\\_CHINA\\_MILITARY\\_POWER\\_REPORT.pdf](https://media.defense.gov/2019/May/02/2002127082/-1/-1/1/2019_CHINA_MILITARY_POWER_REPORT.pdf). p47

<sup>13</sup> Heginbotham, E., Nixon, M., Morgan, F., Heim, J., Hagen, J., Li, S., . . . Morris, L. (2015). Different Paths: Chinese and U.S. Military Development, 1996–2017. In The U.S.-China Military Scorecard: Forces, Geography, and the Evolving Balance of Power, 1996–2017 . RAND Corporation. Retrieved from [http://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR392.html](http://www.rand.org/pubs/research_reports/RR392.html) p. 28

<sup>14</sup> China's National Defense in the New Era, Ministry of National Defense [http://eng.mod.gov.cn/publications/2019-07/24/content\\_4846452.htm](http://eng.mod.gov.cn/publications/2019-07/24/content_4846452.htm) Accessed 15.08.2019

<sup>15</sup> O'Rourke, Ronald, China Naval Modernization: Implications for U.S. Navy Capabilities-Background and Issues for Congress. 2018. p. 2. <https://fas.org/sfp/crs/row/RL33153.pdf> accessed 19/09/2019.

<sup>16</sup> China Power Team. «Tracking the Type 002 – China's third aircraft carrier» China Power. May 6, 2019. Updated September 18, 2019. Accessed October 6, 2019. <https://chinapower.csis.org/china-carrier-type-002/>

<sup>17</sup> Developments, Security. 2019. "OFFICE OF THE SECRETARY OF DEFENSE Annual Report to Congress: Military and Security Developments Involving the People's Republic of China ANNUAL REPORT TO CONGRESS000 in DoD Labor. Generated on 2019May02RefID:E-1F4B924." Accessed October 1, 2019, [https://media.defense.gov/2019/May/02/2002127082/-1/-1/1/2019\\_CHINA\\_MILITARY\\_POWER\\_REPORT.pdf](https://media.defense.gov/2019/May/02/2002127082/-1/-1/1/2019_CHINA_MILITARY_POWER_REPORT.pdf). p35

წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილის საჰაერო, საზღვაო, კოსმოსურ და კიბერ დომენზე.<sup>18</sup>

#### ბავლენა რეგიონალურ უსაფრთხოებაში

ჩვენ მიმოვიხილეთ ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელ არმიამი მიმდინარე მოდერნიზაციის ზოგადი ტენდენციები. სურათი ნათლად აჩვენებს, თუ რა მასშტაბური სამხედრო აღმშენებლობა მიმდინარეობს. მოვლენებს ერთი საფეხურით მაღლიდან თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ სამხედრო მოდერნიზაცია ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური განვითარების ორგანული ნაწილია. ამ მთლიან სურათს თუ დავუმატებთ 2008 წლის შემდეგ ჩინეთის მიერ ტერიტორიული დავების გააქტიურებას მებობლებთან, ვნახავთ, რომ ეს გოლიათი სახელმწიფო, რომელიც ძალიან სწავდა იზრდება, ახორციელებს შეიარაღებული ძალების სრულ მოდერნიზაციას, ტერიტორიულ დავებს ააქტიურებს მის მებობლებთან: ინდოეთთან, ვიეტნამთან, იაპონიასთან და სამხრეთ ჩინეთის ზღვის სხვა ქვეყნებთან. ბუნებრივია, რომ ეს პროცესები საფრთხის განცდას იწვევს ჩინეთის მებობლებში.

ედვარდ ლუტვოკი მიიჩნევს, რომ ისტორიულად ჩინეთი ყოველთვის ვითარდებოდა ისე, რომ მას არ ჰყავდა „სხვა“, რომელიც მისი თანასწორი იყო და რომელთანაც ის იქნებოდა სტრატეგიულ ინტერაქციაში. სტრატეგიის მკაცრი ლოგიკა კი არის ის, რომ თავიდან აირიდო მონაწილეობის საპასუხო რეაქცია, რომელიც შენს ბლოკირებას მოახდენს. ამიტომ ჩინეთმა მისი სწრაფი ეკონომიკური ზრდა უნდა დააბალანსოს, რაც გულისხმობს სამხედრო ხარჯების ზრდის შემცირებას და სამხედრო მოდერნიზაციაზე უარის თქმას. ასეთი ქვეყა, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობაში მოდის ნაციონალურ გრძნობებთან და ზოგადად „სად ამრთან“, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა სახელმწიფოებს აიძულებს გაერთიანდნენ შენს წინააღმდეგ.<sup>19</sup>

ჩინეთის მებობელი სახელმწიფოების რეაქციას თუ დავაკვირდებით ვნახავთ, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც ჩართულნი არიან ტერიტორიულ დავებში ჩინეთთან, წამოიწყეს სამხედრო მოდერნიზაციის პროექტები.<sup>20</sup> იაპონიის სამხედრო ბიუჯეტი 2018 წლის მონაცემებით დაახლოებით 46 მილიარდი აშშ დოლარი იყო. SIPRI-ის მონაცემებით 2003 წლიდან მიმდინარეობდა იაპონიის სამხედრო ბიუჯეტის ვარდნა. 2012 წლიდან კი იწყება მისი ზრდის ტენდენცია.<sup>21</sup>

ტენდის ცვლილება კავშირშია ჩინეთსა და იაპონიას შორის, სადაო კუნძულების გამო მომხდარ საზღვაო ინციდენტებთან. ასევე სახეზე გვაქვს იაპონიის თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის რევიზია. მთავრობა გეგმავს შეცვალოს იაპონიის კონსტიტუცია ისე, რომ მას უფლება ჰქონდეს გამოიყენოს შეიარაღებული ძალები კოლექტიური თავდაცვის დროს.<sup>22</sup>

ასევე, შეინიშნება ინდოეთის და სამხრეთ კორეის სამხედრო ხარჯების ზრდა. 2018 წელს ინდოეთის სამხედრო ხარჯები იყო დაახლოებით 66 მილიარდი, ხოლო სამხრეთ კორეის 43 მილიარდი აშშ დოლარი.<sup>23</sup> ინდოეთის მხრიდან სამხედრო ხარჯების ზრდას წინა უძღოდა 2017 წელს დოკლამის პლატოზე სასაზღვრო ინციდენტი ჩინეთთან. მხარეები კვლავ აგრძელებენ სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობას საზღვრისპირა რეგიონში.<sup>24</sup>

ჩინეთის აგრესიული პოლიტიკის შედეგია ვიტანამისა და აშშ თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებში. 2016 წელს აშშ გააუქმა ვიეტნამისთვის იარაღის მიწოდებაზე შეზღუდვა.<sup>25</sup> ვიეტნამელი ჯარისკაცები მონაწილეობენ წყნარი და ინდოეთის ოკეანის სარდლობის გაცვლით პროგრამებში, სწავლებებსა და სემინარებში.<sup>26</sup> 2014 წელს აშშ-მ და ფილიპინებმა ხელი მოაწერეს სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც აშშ-ს საშუალებას აძლევს გაზრდოს და უკეთ განათავსოს მის სამხედრო ძალები რეგიონში. ყველაფერ ამას კი წინ უძღოდა ტერიტორიული კონფლიქტები სამხრეთ ჩინეთის ზღვაში.<sup>27</sup>

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩინეთის სახალხო არმია, რომელიც ორიენტირებული იყო „სახალხო ომზე“ და გამოფიტვის სტრატეგიაზე, მოდერნიზაციის შედეგად მაღალტექნოლოგიური ძალა გახდა. იგი მზად არის მაღალი ინტენსივობის, ტექნოლოგიური ომის საწარმოებლად. მისმა მებობელმა სახელმწიფოებმა კი აირჩიეს საფრთხის ბალანსის პოლიტიკა. ეს სახელმწიფოები ჩინეთის დაბალანსებას აშშ-სთან სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობით გეგმავენ. აშშ-ს კვლავ ლიდერის როლი უჭრავს რეგიონში. ალიანსების შემოკრება და გაძლიერება მის ირგვლივ მიმდინარეობს. იაპონიის, ფილიპინების და სამხრეთ კორეის შემთხვევაში, საქმე გვაქვს უკვე არსებული ალიანსის განმტკიცებასთან. მჭიდრო თანამშრომლობის ტენდენცია შეინიშნება ვიეტნამთან და ინდოეთთან. თანამშრომლობა შეინიშნება ამ ქვეყნებს

Office of Secretary of Defense. 2016. "DOD Annual Report to Congress: Military and Security Developments Involving the People's Republic of China 2016." Office of the Secretary of Defense Preparation: 156. p59

Edward Luttwak, The Rise of China vs. the Logic of Strategy, <https://www.youtube.com/watch?v=eLmk9lceqJQ> Accessed: 2/09/2019.

Yearbook, S. I. P. R. I. (2015). Armaments, Disarmament and International Security (2015). P261. p 282

Cabinet Decision on Development of Seamless Security Legislation to Ensure Japan's Survival and Protect its People [https://www.mofa.go.jp/fp/nsp/page23e\\_000273.html](https://www.mofa.go.jp/fp/nsp/page23e_000273.html) , Accessed 17.08.2019

SIPRI Military Expenditure Database, <https://www.sipri.org/databases/milex>, Accessed 4/09/2019.

Marcus J. China-India border tension: Satellite imagery shows Doklam plateau build-up, Accessed 15/08/2019 <https://www.bbc.com/news/world-asia-china-42834609>

Tiffany Ap, Jennifer Rizzo and Kevin Liptak Obama lifts U.S. arms ban on Vietnam, Accessed 3/09/2019 <https://edition.cnn.com/2016/05/23/politics/obama-vietnam-trip/index.html>

The Evolution of U.S.-Vietnam Ties, Albert E, Accessed: 8/09/2019 <https://www.cfr.org/backgrounder/evolution-us-vietnam-ties>

SIPRI Yearbook 2015: Armaments, Disarmaments and international security. P267.

შორისაც, მათ შორის, სამხედრო შეირაღების და ახალი ტექნოლოგიების კუთხით. იაპონია და სამხრეთ კორეა მაღალტექნოლოგიური ქვეყნებია, ხოლო ვიეტნამი და ინდოეთი საჭიროებენ ამ ტექნოლოგიებს. ასევე, არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები ამ ალაინსის შიგნითაც.

მაგალითად, იაპონიას და სამხრეთ კორეას შორის ისტორიული დაპირისპირება, რითაც შესაძლებელია ისარგებლოს მონინააღმდეგემ. აშშ-ს მოუწევს ამ წინააღმდეგობებთან გამკლავება, თუ სურს, რომ რეგიონში სტატუს-კვო შეინარჩუნოს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯენტელსონი ბ, ამერიკის საგროვო პოლიტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.
2. Albert E, The Evolution of U.S.–Vietnam Ties, Accessed: 8/09/2019 <https://www.cfr.org/backgrounder/evolution-us-vietnam-ties>
3. Asia, In, and Saudi Arabia. 2018. “The Military Balance 2018.” The International Institute for Strategic Studies. p7.
4. Cabinet Decision on Development of Seamless Security Legislation to Ensure Japan’s Survival and Protect its People [https://www.mofa.go.jp/np/page23e\\_000273.html](https://www.mofa.go.jp/np/page23e_000273.html) , Accessed 17.08.2019
5. China Goes Ballistic Author(s): Andrew S. Erickson and Michael S. Chase Source: The National Interest, No. 131, THE PROMISE OF AMERICAN NATIONALISM (May/June 2014), pp. 58-64 Published by: Center for the National Interest Stable URL: <https://www.jstor.org/stable/44153293> Accessed: 02/09/2019. p59
6. China Power Team. «Tracking the Type 002 – China’s third aircraft carrier» China Power. May 6, 2019. Updated September 18, 2019. Accessed October 6, 2019. <https://chinapower.csis.org/china-carrier-type-002/>
7. China Power Team. «What does China really spend on its military?» China Power. December 28, 2015. Updated August 6, 2019. Accessed October 6, 2019. <https://chinapower.csis.org/military-spending/>
8. China’s National Defense in the New Era, Ministry of National Defense [http://eng.mod.gov.cn/publications/2019-07/24/content\\_4846452.htm](http://eng.mod.gov.cn/publications/2019-07/24/content_4846452.htm) Accessd 15.08.2019
9. Chuanren C. New Chinese Weapons Seen On J-10C Fighter. <https://www.ainonline.com/aviation-news/defense/2017-07-20/new-chinese-weapons-seen-j-10c-fighter> Accessed 1/09/2019
10. Developments, Security. 2019. “OFFICE OF THE SECRETARY OF DEFENSE Annual Report to Congress: Military and Security Developments Involving the People’s Republic of China ANNUAL REPORT TO CONGRESS000 in DoD Labor. Generated on 2019May02RefID:E-1F4B924.” Accessed October1, 2019, [https://media.defense.gov/2019/May/02/2002127082/-1/-1/1/2019\\_CHINA\\_MILITARY\\_POWER\\_REPORT.pdf](https://media.defense.gov/2019/May/02/2002127082/-1/-1/1/2019_CHINA_MILITARY_POWER_REPORT.pdf).
11. Feng, H. (2007) Chinese Strategic Culture and Foreign Policy Decision-making. New York, Routledge. P179
12. Heginbotham, E., Nixon, M., Morgan, F., Heim, J., Hagen, J., Li, S., . . . Morris, L. (2015). Different Paths: Chinese and U.S. Military Development, 1996–2017. In The U.S.-China Military Scorecard: Forces, Geography, and the Evolving Balance of Power, 1996–2017 . RAND Corporation. Retrieved from [http://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR392.html](http://www.rand.org/pubs/research_reports/RR392.html)
13. Luttwak E. The Rise of China vs. the Logic of Strategy, <https://www.youtube.com/watch?v=eLmk9lceqJQ> Accessed: 2/09/2019.
14. Luttwak, E. N. ( 2012) THE RISE OF CHINA VS. THE LOGIC OF STRATEGY. CAMBRIDGE, MASSACHUSETTS, LONDON, ENGLAND, The Belknap Press of Harvard University Press.
15. Marcus J. China-India border tension: Satellite imagery shows Doklam plateau build-up, Accessed 15/08/2019 <https://www.bbc.com/news/world-asia-china-42834609>
16. MEARSHEIMER, John J., The Tragedy of Great Power Politics, W. W. Norton & Company, New York, London, 2014, p 389
17. Office of Secretary of Defense. 2016. “DOD Annual Report to Congress: Military and Security Developments Involving the People’s Republic of China 2016.” Office of the Secretary of Defense Preparation: 156. p59
18. O’Rourke, Ronald, China Naval Modernization: Implications for U.S. Navy Capabilities-Background and Issues for Congress. 2018. <https://fas.org/sgp/crs/row/RL33153.pdf> accessed 19/09/2019.
19. SIPRI Military Expenditure Database, <https://www.sipri.org/databases/milex>, Accessed 4/09/2019.
20. SIPRI Yearbook 2015: Armaments, Disarmaments and international security
21. Tiffany Ap, Jennifer Rizzo and Kevin Liptak Obama lifts U.S. arms ban on Vietnam, Accessed 3/09/2019 <https://edition.cnn.com/2016/05/23/politics/obama-vietnam-trip/index.html>
22. Wuthnow, J. Saunders, P. Chinese Military Reforms in the Age of Xi Jinping: Drivers, Challenges, and Implications. 2017.

# ციფრული მარკეტინგი და სოციალური მედია, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების საშუალება

ნინო რუხაია-მოსემგვდლიშვილი  
დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია,  
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

## აბსტრაქტი

კოვიდ პანდემიამ და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე ზრუნვის აუცილებლობა. აგრარულ სექტორში არსებული უამრავი სირთულის მიუხედავად, შედარებითი უპირატესობის მიხედვით საქართველოს შეუძლია კონკურენტუნარიანი გახდეს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მიხედვით, მაგრამ როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, დღეს მცირე და საშუალო ფერმერები არ არიან მზად ჩაერთონ და ეფექტიანად გამოიყენონ სახელმწიფო ინიციატივები, საგრანტო პროექტები და სხვა აქტივობები, რომელიც მიმართულია აგრარული ექსპორტის გაზრდისათვის. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ აგრარულ სექტორში სახელმწიფო პროგრამების არასაკმარისი ეფექტიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია გასაღების მეთოდების არ ცოდნა. მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპზე ფერმერები უძლურნი არიან და არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, აგრეთვე რესურსული პოტენციალი მონეული პროდუქციის სარფიანად რეალიზაციისათვის. ინტერნეტი, სოციალური მედია, მობილური აპები და სხვა ციფრული კომუნიკაციები მილიარდობით ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. ნაშრომში მოცემულია სოციალური მედიისა და ციფრული მარკეტინგის თანამედროვე ტენდენციები და საქართველოში მათი გამოყენების მდგომარეობა. მიმდინარე ნაშრომი წარმოადგენს სამომავლო ჩაღრმავებული კვლევის მოსამზადებელ ეტაპს და შემოიფარგლება მეორეული ინფორმაციის ანალიზით. მოცემულია აგრეთვე გარკვეული დასკვნები და წინადადებები.

## DIGITAL MARKETING AND SOCIAL MEDIA AS A MEANS OF ECONOMIC SECURITY

NINO RUKHAIYA-MOSEMGVDLISHVILI  
DAVID AGMASHENEBELI NATIONAL DEFENSE ACADEMY,  
DOCTOR OF ECONOMICS, ASSISTANT PROFESSOR

The Covid-19 Pandemic and current world events have once again shown the need to take care of the country's food security. Despite the many difficulties in the agrarian sector, Georgia can be competitive in agri-food production, but research shows that nowadays small and medium-sized farmers are reluctant to engage in and effectively use state initiatives, grant projects and other agrarian export activities that are aimed at increasing agricultural export. Our research has revealed that one of the most important reasons for the ineffectiveness of government programs in the agricultural sector is a lack of knowledge of key methods of selling the product. Farmers at all stages of the supply chain are powerless and lack sufficient knowledge and experience, as well as resource potential for profitable sale of harvested products. The Internet, social media, mobile apps and other digital communications have become part of the daily lives of billions of people. The paper presents the current trends in social media and digital marketing and the state of their use in Georgia. The present paper is a preparatory stage for future in-depth research and is limited to secondary information analysis. Some conclusions and suggestions are also given.

## შესავალი

კოვიდ პანდემიამ და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე ზრუნვის აუცილებლობა. აგრარულ სექტორში არსებული უამრავი სირთულის მიუხედავად, შედარებითი უპირატესობის მიხედვით საქართველოს შეუძლია კონკურენტუნარიანი გახდეს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების

მიხედვით (ხარაიშვილი 2011). მაგრამ დღეისათვის აგროსასურსათო სექტორში პროდუქტების უმეტესობა არაკონკურენტუნარიანია (ხარაიშვილი და მამარდაშვილი 2009) და მწარმოებელთა 62%-ის აზრით ამ სექტორში კონკურენციის განევა რთულია. ამავე დროს, ევროპისა და აზიის ქვეყნებში საკმაოდ მაღალკონკურენტული სასურსათო ბაზრები ფუნქციონირებს.

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, დღეს მცირე და საშუალო ფერმერები არ არიან მზად ჩაერთონ და ეფექტიანად გამოიყენონ სახელმწიფო ინიციატივები, საგრანტო პროექტები და სხვა აქტივობები. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ყველა დღემდე არსებული მხარდაჭერი პროექტით სარგებლობენ, საშუალო და მსხვილი ფერმერები. ანუ ისინი, ვისაც ქონდა გარკვეული ბეზნეს-საქმიანობა და მათი გაფართოება სურდათ. თეორიულად, ეს სულაც არაა ცუდი და შესაძლოა ერთი მხრივ კარგიც იყოს, მაგრამ რეალური შედეგის მიღწევა, მხოლოდ მასშტაბის ეფექტითაა შესაძლებელი და ამისათვის საჭიროა ისედაც მცირე სასოფლო-სამეურნეო მიწები სრულად ჩაერთოს წარმოებაში. ამიტომ ვფიქრობთ, გასაუმჯობესებელია კომუნიკაცია წვრილ და საშუალო ფერმერებთან, რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებთან და აგრო-მწარმოებლებთან. იმისთვის, რომ ეს ადამიანები მასობრივად ჩაერთონ სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში (რუხაია-მოსემლველიძე 2019).

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ აგრარულ სექტორში სახელმწიფო პროგრამების არასაკმარისი ეფექტიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია გასაღების მეთოდების არ ცოდნა. მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპზე ფერმერები უძლურნი არიან და არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, აგრეთვე რესურსული პოტენციალი მონეული პროდუქციის სარფიანად რეალიზაციისათვის. ამჟამად სუსტია კოორდინაცია ფერმერებსა და ბაზრის აგენტებს შორის; შეზღუდულია პროდუქტების სახეობების შეთანხმება;

მიმდინარე ნაშრომში წარმოვადგენ „მარტივი და ხელმისაწვდომი“ მარკეტინგის თანამედროვე საშუალებას, რომელიც შესაძლოა აგრარულ სექტორში გაყიდვების სისტემატიზაციისა და წარმოებულ პროდუქტებზე ფასების სტაბილიზაციის კარგი საშუალება გახდეს.

ინტერნეტი, სოციალური მედია, მობილური აპები და სხვა ციფრული კომუნიკაციები მილიარდობით ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. 2020 წლის იანვრის მონაცემებით ინტერნეტს აქტიურად მოიხმარს 4,54 მილიარდი ადამიანი რაც მსოფლიო მოსახლეობის 59% შეადგენს (Statista 2020). სოციალური მედიის გამოყენება სულ უფრო მეტი ადამიანის ცხოვრების წესი ხდება. 2019 წელს სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმების მომხმარებელთა რიცხვი 2,95 მილიარდი იყო და სტატისტიკური პროგნოზებით, 2023 წელს მათი

რიცხვი 3,43 მილიარდამდე გაიზრდება (Statista 2020). ციფრული და სოციალური მედიის მარკეტინგი კომპანიებს საშუალებას აძლევს მიაღწიონ მათ მარკეტინგულ მიზნებს შედარებით დაბალ ფასად (Ajina 2019). Facebook გვერდებზე რეგისტრირებულია 50 მილიონზე მეტი ბიზნესი და ბიზნესის 88%-ზე მეტი იყენებს Twitter-ს მარკეტინგული მიზნებისთვის (Lister 2017).

სულ უფრო იზრდება დრო, რომელსაც მომხმარებლები უთმობენ პროდუქციის შესახებ ონლაინ ინფორმაციის მოძიებას, სხვა მომხმარებლების აზრის კვლევას და კომპანიებთან კომუნიკაციას. მომხმარებელთა ქცევის ცვლილების ამ გამოწვევას ორგანიზაციებმა, თავის მარკეტინგულ გეგმებში სოციალური და ციფრული მედიის პლატფორმების სრული ინტეგრირებით უპასუხეს (Stephen 2016).

ჩემი აზრით, საქართველოს (ქართულ კომპანიებს) აქვთ რესურსი აწარმოონ გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანი საქონელი, თუნდაც სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის დარგებში, მაგრამ ქართველი ფერმერები და მწარმოებლები შეძლებენ საზღვარგარეთულ ბაზრებზე დამკვიდრებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აირჩევენ ბაზარზე შესვლის სწორ სტრატეგიას.

ზოგადად დივერსიფიკაცია და მით უფრო უცხო ქვეყნის ბაზარზე შესვლა მოითხოვს ძალიან დიდ ძალისხმევას და საკმაოდ ძვირად ღირებულ მარკეტინგულ კამპანიებს, რისი საშუალებაც ქართულ კომპანიებს იშვიათად აქვთ. სწორედ ამიტომ, დღეს მინდა ვისაუბრო სოციალური(მედია) მარკეტინგზე, როგორც ერთ-ერთ ხელსაყრელ საშუალებაზე ქართული კომპანიებისათვის, საერთაშორისო ბაზრებზე თავის წარსადგენად.

ციფრული მარკეტინგის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

სოციალური(მედია) მარკეტინგი ესაა ინტერნეტ-მარკეტინგის სახე, რომელიც ცდილობს მიაღწიოს ბრენდის პოპულარიზებას და მარკეტინგული კომუნიკაციის სხვა მიზნებს, სოციალური ქსელების საშუალებით. (Rognerud, 2008)

ზოგადად სოციალური მედია-მარკეტინგის ძირითადი იდეა გულისხმობს კომუნიკაციაზე ფოკუსირებას. (ჭეინბერგ, 2009, 3.ხვ). შეიცვალა მიზნობრივ აუდიტორიასთან კონტაქტის გზებიც. დღესდღეობით, ინტერნეტის საშუალებით კომპანიებს შეუძლიათ არა მარტო მიმართონ აუდიტორიას, არამედ ჩაერთონ მიზნობრივ სეგმენტთან

ცხრილი 1: სოციალური მედიის კლასიფიკაცია (Kaplan and Haenlein 2010).

სოციალური წარმომადგენლობა/მედია კვლევა				
		დაბალი	საშუალო	მაღალი
თვით წარმოქმნა, პრემენტირება	მაღალი	ბლოგები	სოციალური ქსელები	ვირტუალური სოციალური სამყარო (second life)
	დაბალი	სამეცნიერო, თანამშრომლობით პროექტები (ვიკიპედია)	შინაარსობრივი თემები (YouTube)	ვირტუალური თამაშების სამყარო



ინტერაქტიულ დიალოგში. «ინტერნეტ-რევოლუციის გამო, კომპანიების მარკეტინგული აქტივობა სულ უფრო და უფრო ემსგავსება ინდივიდუალურ დიალოგს მომხმარებლებთან.» (Kotler/კელლერ, 2012, გვ. 557) მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალური მარკეტინგი გულისხმობს მესიჯების გაგზავნის ნაცვლად, «საჭირო კავშირების გაბმას». (ლოგენრუდ, 2008).

სოციალური მედია საშუალებას აძლევს მარკეტოლოგს შექმნას საზოგადოებრივი ხმა, ვებ-არხი და ამგვარად დაუჭიროს მხარი კომპანიის სხვა აქტივობებს. ესაა ყველაზე ადვილი გზა «ვაიბულოთ» მომხმარებლები, ისაუბრონ კომპანიის შესახებ. ისინი ცვლიან ტექსტურ, ფოტო, აუდიო და ვიდეო ინფორმაციას ერთმანეთში და ამგვარადვე ეკონტაქტებიან კომპანიას და პირიქით (Kotler/კელლერ, 2012, პ. 568).

სოციალური მედია თავის თავში მოიცავს სხვადასხვა სოციალურ პლატფორმებს, მათ კატეგორიებად დაყოფას შეეცადნენ კაპლანი და ჰაელინი. მათი კლასიფიკაცია დაფუძნებულია სოციალური მედიის ორ სხვადასხვა ელემენტზე: ერთის მხრივ მოცემულია, მედია კვლევა (სოციალური გამოკითხვები, მედია კვლევები, მიღწევადობა) და მეორეს მხრივ სოციალური ინტეგრაცია (საკუთარი თავის წარმოჩენა, თვითგამჟღავნება). დეტალურად იხილეთ ცხრილში.

სოციალურ მედიაში კამპანიის წარმატება დიდადა დამოკიდებულია მონაწილეთა ქცევის სწორ გამოყენებასა და კონტროლზე (რამდენადაც ეს შესაძლებელია). სოციალური ქსელების ყველა წევრი შეიძლება გავანაწილოთ სოციალურ მედიაში საქმიანობისა თუ ინტეგრაციის სხვადასხვა საფეხურზე. ბერნოფმა და ლიმ წარმოადგინეს კიბე, რომელიც აღწერს სოციალური მედიის წევრთა კლასიფიკაციას, იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებენ სოციალურ ტექნოლოგიებს.

ამ კიბის მიხედვით, კომპანიებს შეუძლიათ შეისწავლონ როგორ ხედავენ მათ თითოეული სუბ-ჯგუფში და განსაზღვრონ, მიზნობრივ მომხმარებელთან მისაღწევად, რომელი სტარტეგიაა უმჯობესი.

სხვადასხვა წყაროებში შეხვედებით განსხვავებულ მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აინყოს წარმატებული მარკეტინგული კამპანია სოციალურ მედიაში, მაგრამ ძირითადი ნაწილი ყველგან მეტ-ნაკლებად მსგავსია:

კუეტზერის აზრით, სოციალურ მედიაში, წარმატებული და ეფექტური კამპანიის ჩასატარებლად არსებობს რამოდენიმე აუილებელი ნაბიჯი, რომლებიც მან წარმოადგინა «სოციალური მედიის სახლი»-ს მაგალითზე (Kreutzer 2012).

დიაგრამა 1: სოციალური მედიის მონაწილეთა კიბე (Li and Bernoff 2011).



თავდაპირველად კომპანიამ უნდა შეისწავლოს ის სტატუს-კვო, რომელიც არსებობს სოციალურ ქსელში ეს გულისხმობს:

1. მიზნობრივი აუდიტორიის ინტერესების გამოვლენას

2. მიზნობრივი სეგმენტის მოლოდინების განსაზღვრას

3. მესამე პირების დამოკიდებულება ბრენდის და კომპანიის მიმართ და მათი რეფერენტული გავლენის დადგენასა და

4. კონკურენტების სოციალური აქტივობის შესწავლას.

მიმდინარე სიტუაციის განსაზღვრის შემდეგ, უნდა შედგეს ძირითადი კონცეფცია, ანუ განისაზღვროს:

1. აქტივობის ძირითადი მიზნები და მესიჯები.

2. მიზნის მიღწევის სტრატეგიები და ინსტრუმენტები.

3. პასუხისმგებლობები, ბიუჯეტი და კონტროლის გზები.

მესამე ნაბიჯი გულისხმობს საჭირო პლატფორმის შერჩევას, ინფორმაციის განთავსების ფორმის დახვეწას.

აუცილებელი და ყველაზე მნიშვნელოვანი მეოთხე ნაბიჯი მოიცავს გაზიარებული ინფორმაციის გავრცელების კონტროლსა და მართვას.

### სოციალური მარკეტინგის გამოყენების პარამეტრები ქართულ ამრავალ საშუალოში და მათი მნიშვნელობა

საქართველოში სოციალური მედია ახალი ხილია, მაგრამ ის უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ქართული კომპანიები უკვე წარმოდგენილი არიან სოციალურ მედიაში, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი ამ პლატფორმების ეფექტურად გამოსაყენებლად. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ხედავენ სოციალური მედიის გამოყენების მნიშვნელობას B2B კომპანიები. B2C ტიპის კომპანიების უმეტესობა კი თითქმის ყველა სოციალურ პლატფორმას იყენებენ, მაგრამ მათ არ გააჩნიათ ინფორმაციის მართვისა და მონიტორინგის არანაირი სისტემა. აგრეთვე ყველა კომპანია, ისინიც კი, რომლებიც ექსპორტზე არიან ორიენტირებული, იყენებენ სოციალურ მედიას მხოლოდ ქართველი მომხმარებლების გულის მოსაგებად.

ამის მიზეზი და ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, ამ სფეროში ჯერ კიდევ ინფორმაციის მკვეთრი ნაკლებობა და ბაზარზე ექსპერტების რაოდენობაც ძალიან მცირეა.

შეიძლება ვინმე შემეღავოს, იმდენად, რამდენადაც თითქმის ყველა ბრენდს თუ მცირე ორგანიზაციას გააჩნია ე.წ. ფეისბუქ გვერდი, მაგრამ თავად ამ გვერდების

ადმინისტრირება-პოპულარიზება ხდება თითქმის ერთგვაროვანი და ნაკლებ პროფესიონალური მეთოდით. გარდა ამისა, უმნიშვნელოა ფეისბუქ და გუგლ-ედსის(რეკლამის) გამოყენების პროცენტულობა.

ქვეყანაში დაბალი სეოს (ოპტიმიზირების სტრატეგიების) გამოყენებადობა და საძიებო სისტემების ცნობადობაც კი. სხვადასხვა გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციის საშუალებით, შემიძლია ვთქვა, რომ საიტების მომზადება და საძიებო სისტემებთან ოპტიმიზაცია ხდება მხოლოდ გუგლის საძიებო და არა სხვა სისტემებისთვის. (ბევრმა არც კი იცის სხვა სისტემების არსებობის შესახებ) და აგრეთვე, თავად წყვეტენ რა არის მათი „ქეივორდი“ - რაც არასწორი მიდგომაა და საჭიროა მომხმარებლების მიერ ძიების რეზულტატებზე დაყრდნობით განსაზღვროთ სავარაუდო სიტყვები.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წელს, ონლაინ-მედიის ექსპერტი, დავით ბირმანი ყურნალ კომერსანტთან ინტერვიუში წერდა, რომ სოციალური მედია საქართველოს ბიზნესებისთვის „ახალი ხილია“, შეიძლება ითქვას, რომ დადებითი დინამიკა საგრძნობია და განვითარების ტენდენციებიც საკმაოდ სწრაფია. მით უფრო, რომ მუდმივად იზრდება

დასკვნა

სოციალური მედია და ინტერნეტ-მარკეტინგი ესაა თანამედროვე გაყიდვების ახალი სიტყვა, რომელიც მუდმივად იცვლება და იხვეწება ახალი ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, ამიტომ სასიცოცხლოდ აუცილებელია ამ სფეროში „დავეწიოთ“ თანამედროვეობას.

ქართული აგრარული სექტორის და ზოგადად ექსპორტის სტიმულირებისათვის, ბევრ სხვა აუცილებელ ღონისძიებასთან (როგორცაა მაგალითად საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა, ერთიანი ბრენდის შექმნა და ა.შ.) ერთად, სასურველია ქართველმა ექსპორტიორებმა იზრუნონ იმ ონლაინ-არხების განვითარებაზე, რომელიც მიღებულია არა მხოლოდ ჩვენს, არამედ მიზნობრივ ქვეყნებშიც და მიმართონ მეტი ფონდები ონლაინ-რეკლამის განვითარებისთვის.

გარდა ამისა, საჭიროა გაყიდვების და ზოგადად მარკეტინგის, ისევე როგორც ონლაინ-მარკეტინგის საფუძვლების გარკვეული ფორმით მიწოდება მცირე და საშუალო ფერმერებისთვის, რათა მოხდეს მათი სტიმულირება და წარმოების შედეგების, ისევე როგორც მოწვეული პროდუქციის ფასის გაზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფერმერებს არ ექნებათ მოტივი აწარმოონ და მუდამ დამოკიდებული ვიქნებით სასურსათო პროდუქტების ექსპორტზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

Ajina, A.S. 2019. «The perceived value of social media marketing: An empirical Study of online world-of-mouth in Saudi Arabian context.». Entrepreneurship and Sustainability Issues, 6(3), 1512-1527.

Kaplan, A.M, and M Haenlein. 2010. «Consumer Use and Business potential of virtual world. The case of «Second Life».» The international Journal on Media Management, 11(3-4): 93-101.

Kreutzer, R.T. 2012. Toolbox for Marketing and Management. kioningswinter, Germany: Springer inc.

Li, Ch, and J. Bernoff. 2011. Groundswell, winning in a world transformed by social technologies. Boston, Massachuset: Forrester research.

Lister, M. 2017. «40 essential social media marketing statistis for 2017.» wordstream.com. Accessed october 17, 2020. Lister, M. (2017). 40 essential social media marketing statistics for 2017. Available at: Statista. 2020. tatista. Accessed October 15, 2020. <https://www.statista.com/statistics/617136/digital-population-worldwide/>.

Stephen, A. T. 2016. «The role of digital and social media marketing in consumer behavior.» Current Opinion in Psychology, 10, August: 17-21.

რუხაია-მოსემღვდლიშვილი, ნინო. 2019. «კონკურენტუნარიანობის და შემოსავლიანობის ამაღლების გზები ქართულ აგრარულ სექტორში.» ეკონომისტი, მარტი.

ხარაიშვილი, ე, and დ. გამარდაშვილი. 2009. «საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება.» ეკონომიკა, მაისი.

ხარაიშვილი, ე. 2011. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბილისი: უნივერსალი.

# სახელმწიფო შესყიდვების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

**შალვა ჯულაკიძე**

**დ. ალმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია /ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების სამსახურის უფროსი**

## აბსტრაქტი

სახელმწიფო შესყიდვების სფეროს გამართული ფუნქციონირება ხელს უწყობს ბიზნესის მაქსიმალურ ჩართულობას, შესაბამისად, დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მასშტაბურმა რეფორმამ და ერთიანი ელექტრონული სისტემის - eProcurement დანერგვამ ხელი შეუწყო ეფექტურობისა და პოტენციურ პრეტენდენტთა შორის კონკურენციის ზრდას. მიუხედავად მნიშვნელოვანი რეფორმებისა, კვლავ უმთავრეს მიზნად გვევლინება სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვა და ამავდროულად შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ხარისხიანი და მაღალი სასიცოცხლო ციკლის მქონე საქონლის, მომსახურებისა თუ სამუშაოს შესყიდვა,

დღეისათვის დღის წესრიგში დგას საქართველოსა და ევროკავშირის შესყიდვების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საკითხი. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ დაცული იქნან ადგილობრივი ეკონომიკური სექტორის წარმომადგენლები. მათთვის გარკვეული სახის პრეფერენციებით სარგებლობა ხელს შეუწყობს ტოტალური კონკურენციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას.

## THE IMPACT ON STATE PROCUREMENT ON ECONOMIC INCREASE OF THE COUNTRY

**SHALVA JULAKIDZE**

**D. AGMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA  
DOCTOR OF ECONOMIC, ASSOCIATED PROFESSOR  
HEAD OF PROCUREMENT OF LEPL PUBLIC SERVICE HOUSE**

The perfect function of state procurement as field assist the maximal involvement of business, respectively, it carries positive impact on economic increase of the country. The large-scaled reform of state procurement system in Georgia and the implementation of united electronic system – eProcurement has assisted the increased the competition between efficiency and potential claimers. Despites significant reforms, again the main target is the rational expenditure of state means and at the same time, the procurement of work or service, high vital cycle-based commodity with relevant high quality of procurement organizations.

As of today, the issue of harmonization of procurement legislation of Georgia and European Union rises in the agenda. Also, it is important to have the representatives of local economic sector protected, for which the usage of certain kind of preferences assists the provision of economic increase of the country in terms of total competition.

დემოკრატიული მმართველობის გზაზე მდგარი ნებისმიერი ქვეყანა ვალდებულია საჯარო სექტორის მართვის თითოეულ სფეროში უზრუნველყოს ისეთი პრინციპების დაცვა, როგორცაა: გამჭვირვალობა, ღიაობა, ჩართულობა, საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერება.

ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი ღირებული მიმართულება გახლავთ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სწორი და ეფექტური იმპლემენტაცია, სადაც განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ზემოთ ხსენებული პრინციპების უზრუნველყოფასა და დაცვას.

სახელმწიფო შესყიდვები - ეს არის სისტემა,

რომლის საშუალებითაც ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებს სხვადასხვა სახისა და ტიპის საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვას. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო შესყიდვების როლი საჯარო სტრუქტურების მუშაობისათვის ერთ-ერთი და აუცილებელი კომპონენტია, რომელსაც გავლენა აქვს არა მხოლოდ სამთავრობო ინსტიტუტების საქმიანობაზე, არამედ, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდაზე.

დღეისათვის მოქმედმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ ოფიციალურად ფუნქციონირება 2010 წლის 1 დეკემბერს დაიწყო, რაც, შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით

რეკლამური ნაბიჯს წარმოადგენდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მანამდეც ჰქონდათ მსგავსი გამოცდილება, მაგრამ არაიდენტური, რადგან ქვეყნებში, სადაც არსებობს შესყიდვების ელექტრონული სისტემა, არ არის უპირობოდ შესასრულებელი ყველა შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. აღნიშნული სისტემა, როგორც წესი, გარკვეულ სერვისს წარმოადგენს, რომლის გამოყენებაც შემსყიდველ ორგანიზაციებს სურვილისამებრ შეუძლიათ.

გამომდინარე იქნებოდა, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში საქმე გვაქვს საბიუჯეტო (სამოგადოების) თანხების ხარჯვასთან, სწორედ ამ რესურსის რაციონალური და მიზანმიმართული განკარგვა გახლავთ შესყიდვების ნებისმიერი სისტემის უმთავრესი ამოსავალი წერტილი. ამდენად, საქართველოში გატარებული ადმინისტრაციული რეფორმების გააზრების კვალდაკვალ, საჭირო ხდება იმ პროექტების ეფექტურობის შემოწმება, რომლებიც წარმატებულად არიან მიჩნეული და მათ შორის სწორედ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაც მოიაზრება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემებით, 2019 წლის განმავლობაში სხვადასხვაგვარი სახის მომსახურების, საქონლისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით განხორციელებული საჯარო შესყიდვების საერთო მოცულობამ რეკორდული - 5 332 804 815 ლარი შეადგინა, რამაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 11%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 63% შეადგინა.<sup>1</sup>

სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელობაზე საუბრის დროს საყურადღებო და განსახილველად საინტერესოა სახელმწიფო შესყიდვებისა და მშპ-ის კავშირი, როგორც მაკროეკონომიკური პარამეტრებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი. მთლიანი შიდა პროდუქტი არის ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობის ინდიკატორი. იგი წარმოადგენს მიმდინარე და მუდმივ საბაზრო ფასში გამოთვლილ, პროდუქციისა და მომსახურების საერთო ღირებულების მაჩვენებელს, რომელიც წარმოებულია ქვეყნის ტერიტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ.

მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლისათვის გამოიყენება რამდენიმე მოდელი. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ეკონომიკის განვითარების ე.წ. კეინსიანური მოდელი. ამ მოდელის თანახმად, საჯარო შესყიდვების განხორციელება დიდ როლს თამაშობს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებისას, ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ზრდა პარალელურად იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდასაც ( $GDP = I+C+G+NX$ ), აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო შესყიდვების გამართული და ადგილობრივ ეკონომიკაზე მორგებული სახით ფუნქციონირება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან.

რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის ცნებას, აღნიშნული მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში აისახება ეკონომიკური განვითარების ხასიათი. ხაზგასასმელია მისი კავშირი მოსახლეობის ცხოვრების დონესთან. ეკონომიკურმა ზრდამ უნდა უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობის

ამაღლება, რაც, როგორც ცნობილია გამოიხატება ერთ სულ მოსახლეზე ქვეყნის სიმდიდრის მოცულობის ზრდით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესყიდვის მიზნით განხორციელებული საჯარო შესყიდვების საერთო მოცულობამ რეკორდული - 5,3 მლრდ. ლარი შეადგინა. ამ მონაცემებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ეს თანხები პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით ინვესტირდებოდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, რაც, მენრმუნეთ, რომ ეკონომიკური წრებუნვის დაჩქარებისა და განვითარებისათვის საკმაოდ დიდი ბიძგი იქნება. საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები ამ მიმართულებით.


სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, არარეზიდენტ მიმწოდებლებთან ტენდერების მეშვეობით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულებამ 132 მლნ. ლარზე მეტი შეადგინა. ჯამში, არარეზიდენტ მიმწოდებლებთან ტენდერების მეშვეობით დაიდო 61 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მონაცემები არ ასახავს GEO, DEP, GRA და B2B პროცედურებით ჩატარებული ტენდერების ფინანსურ მაჩვენებლებს, ხოლო გამარტივებული შესყიდვები მოიცავს 2019 წლის ფინანსური სახსრებით დადებულ ხელშეკრულებებს და არ ითვალისწინებს ე.წ. სპეც. წესით გაფორმებულ შესყიდვებს. ასევე, არარეზიდენტ პირად ითვლება მხოლოდ ის მიმწოდებელი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში რეგისტრირებულია უცხოური საიდენტიფიკაციო კოდიტ<sup>2</sup>.

საინტერესოა ამ მიმართულებით წინა წლების მონაცემებიც:

- 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, არარეზიდენტ მიმწოდებლებთან ტენდერების მეშვეობით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულებამ 122 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. ჯამში, არარეზიდენტ მიმწოდებლებთან ტენდერების მეშვეობით დაიდო 61 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება.

- 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, არარეზიდენტ მიმწოდებლებთან ტენდერების მეშვეობით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულებამ 72 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. ჯამში, არარეზიდენტ მიმწოდებლებთან ტენდერების მეშვეობით დაიდო 82 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება.

არარეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება (მლნ. ლარი)



<sup>1,2</sup> 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2020 წელი.

მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ წლიდან წლამდე იზრდება სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობა, რაც თავისთავად ზრდის ელექტრონულ ტენდერებში მათი მონაწილეობის სიხშირეს და შესაბამისად გამარჯვების ალბათობას. ხოლო თითოეული ესეთი ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად კი იზრდება ისედაც მცირე კაპიტალის მქონე საქართველოს ეკონომიკიდან ფინანსური კაპიტალის გადინება.

იმ დროს, როდესაც საქართველოს მსგავსი მცირე ზომის, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ასეთი მასშტაბებით კაპიტალის გადინება უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არარეზიდენტი კომპანიების უმრავლესობა, რომლებიც იმარჯვებენ მოქმედი კანონმდებლობით გამოცხადებულ ტენდერებში, ძირითადად ასრულებენ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც, როგორც წესი, დაფინანსებულია სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებების ფარგლებში.

**სახელმწიფო შესყიდვების eProcurement სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობა**



საქართველოსათვის თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და რეაბილიტაციაში განხორციელებული ინვესტიციები წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის. ცნობილია, რომ ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, გაცილებით მეტ უცხოურ კაპიტალს მოიზიდავენ და ხელს უწყობენ ადგილობრივი წარმოებისა და ბიზნესის განვითარებას. კვლევების მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება დიდი დენობის ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, ქვეყნის მთავრობები, როგორც წესი, ეძებენ თანადადამფინანსებელს საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე მრავალმხრივი თუ ორმხრივი კრედიტორების სახით.<sup>3</sup> იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის სახით მოზიდული ფინანსური რესურსი


ტენდერების შედეგად გამარჯვებული არარეზიდენტი კომპანიების მიერ იქნება ათვისებული, კრედიტების სახით მოზიდული თანხების ეფექტურობა ეჭვქვეშ დგება. საქართველოში გადასახადებისა თუ ხელფასის სახით გადახდილი „მიზერული“ თანხების საინვესტიციო ეფექტურობა კი არაფრის მომცემია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიმჩნევა ტენდენცია, როდესაც ღია ბაზრის პირობებში საჯარო შესყიდვებში გააქტიურებული არარეზიდენტი კომპანიები უფრო და უფრო მეტ ტენდერში მოიპოვებენ გამარჯვებას და შესაბამისად, მეტი თანხების გადინებას ახდენენ სამზღვარგარეთ. ამ სიტუაციას ამძაფრებს ის გარემოება, რომ ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური ბაზრებიდან მოზიდულ საკრედიტო სახსრებს.

ქვეყნიდან კაპიტალის გადინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროს, როგორც წესი, იმპორტირებული პროდუქციის მოხმარების დიდი ხვედრითი წილი წარმოადგენს. ამ მიმართულებით არც საჯარო სექტორი არ არის გამონაკლისი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონაცემებით, 2019 წელს განხორციელებული მთლიანი შესყიდვების დაახლოებით 43% საქონლის შესყიდვებზე მოდის, რაც საორიენტაციოდ 2,3 მლრდ. ლარს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საჯარო სექტორის მიერ მოხმარებული საქონლის 60-70%-ზე მეტს იმპორტირებული საქონელი წარმოადგენს, რთული გამოსათვლელი არ არის თუ რა ოდენობის ფინანსურ რესურსს ვფლანგავთ ამ მიმართულებით (დაახლოებით - 1,6 მლრდ. ლარი) ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ვამცირებთ ქვეყნის ეკონომიკას.

როგორც ცნობილია, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. შესყიდვების განხორციელების პროცესში შემსყიდველი მხარე ორიენტირებულია შესყიდვა განახორციელოს რაც შეიძლება დაბალ ფასად, ეს ყველაფერი დიდ გავლენას ახდენს კომერციულ სექტორის სუბიექტებს შორის არსებულ კონკურენტულ გარემოზე. ამ კუთხით საინტერესოა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები:

**ეკონომიის მაჩვენებლები 2019 წელს დასრულებულ ტენდერებში<sup>4</sup>**



<sup>3</sup> საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მართვის ეფექტიანობის აუდიტი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თბილისი 2016 წ.

<sup>4</sup> 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 2020 წელი.

2019 წელი	2018 წელი	2017 წელი	2016 წელი	სულ
354 097 061	285 736 820	258 395 794	278 435 040	919 501 577

ეჭვგარეშეა, რომ სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების დროს განხორციელებული ტენდერების ეკონომია დადებითად აისახება სახელმწიფოს კუთვნილ ფინანსური რესურსების ხარჯვაზე, თუმცა არსებობს მეორე გარემოება: რამდენად კარგია ეს ქვეყნის ეკონომიკისათვის, შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, როგორც ეკონომიკის წრებრუნვიდან „ამოგლეჯილი ფული“?

აღნიშნულ კითხვაზე არგუმენტირებული პასუხის გასაცემად რიგი ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო, როგორცაა: არსებული სიტუაციის დეტალური შესწავლა, სრული სტატისტიკური ანალიზი, მონაცემთა დამუშავება, ექსპერტთა ჩართულობა და სხვა. ჩასატარებელი კვლევების შედეგად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რეალურად სად გადის ინტერესთა ზღვარი საჯარო და კერძო სექტორს შორის ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში?

- რამდენად რელევანტურია სახელმწიფო შესყიდვების ჩატარების მექანიზმები/პრინციპები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად?

- რა ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო არსებული პრობლემის გადასაჭრელად?

წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს მემოთ მოცემულ კითხვებზე სრული და ამომწურავი პასუხის გაცემა, რადგან წარმოდგენილი ფორმატი არასაკმარისია სრულმასშტაბიანი კვლევების განსახორციელებლად, არამედ ითვალისწინებს მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომ სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ტენდენციების მიზეზ-

შედგობრივი კავშირის დადგენას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამომავლო პერსპექტივებთან.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ არსებული მდგომარეობით დღის წესრიგში დგას საქართველოსა და ევროკავშირის შესყიდვების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საკითხი. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მიუხედავად, რომელიც ითვალისწინებს ე.წ. „ღია ბაზრის“ პრინციპების არსებობას, მიზანშეწონილია, რომ გადახედილი იქნას სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული აღნიშნული პრინციპი და შემუშავდეს პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც გარკვეული დამატებითი მოთხოვნები/ბარიერები დაწესდება არარეზიდენტი კომპანიების ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობისათვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საჯარო სექტორში შესაძლებლობიდან გამომდინარე უარი ითქვას იმპორტირებულ საქონელზე, უპირატესობა მიენიჭოს ქართული წარმოების პროდუქციას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და სასურსათო წარმოების პროდუქციას. აღნიშნული არ გულისხმობს ე.წ. პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელებას, თუმცა ქართული ეკონომიკური სექტორის წარმომადგენლებისათვის გარკვეული სახის პრეფერენციებით სარგებლობა ხელს შეუწყობს ტოტალური კონკურენციის პირობებში ქართული ეკონომიკის განვითარებას.

### ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
2. 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბილისი 2020 წ.
3. 2018 წლის საქმიანობის ანგარიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბილისი 2019 წ.
4. 2017 წლის საქმიანობის ანგარიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბილისი 2018 წ.
5. 2016 წლის საქმიანობის ანგარიში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბილისი 2017 წ.
6. საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების მართვის ეფექტიანობის აუდიტი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თბილისი 2016 წ.
7. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა.

# განათლება მშვიდობისა და მდგრადი განვითარებისთვის

ეთევან ჭიაბრიშვილი

დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის,  
ბაკალავრიატის მენეჯმენტის პროფესორი

## აბსტრაქტი

სახელმწიფოს უსაფრთხოების განხილვა მხოლოდ ქვეყნის სამხედრო ძალებზე დამოკიდებულ მიზნად მოძველებული მიდგომაა. კარგა ხანია, სამეცნიერო აკადემიურ ლიტერატურაში ზოგადი უსაფრთხოება შემადგენლებად დაიყო: საუბარია პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს უსაფრთხოებაზე. აქ არ არსებობს რიგითობა ან მნიშვნელოვნების დონეები, უსაფრთხოების გაძლიერება უფრო მეტად შედეგინილი ამოცანა ხდება, რადგან მისი სფეროები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელია.

ეკონომიკური უსაფრთხოება მრავალმხრივი პოლიტიკა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად არსებული ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებას, საქონელსა და მომსახურებაზე მოქალაქეების ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფას, პოლიტიკური და კულტურული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და პოტენციური გარე სამხედრო თავდასხმებისგან დაცვას გულისხმობს.

ჯერ კიდევ 1935 წელს, დიდი დეპრესიის შემდეგ ლუისინ კინი ერთ-ერთმა პირველმა სცადა განათლების სისტემის ნაკლოვანებები ეკონომიკური განვითარების მარცხთან დაეკავშირებინა.

სტუდენტების აღჭურვა ხარისხიანი და დამაჯერებელი ცოდნით ნიშნავს ხვალინდელ ეკონომიკურ უსაფრთხოებას ყველა დონეზე: ერთის მხრივ, პიროვნული უსაფრთხოების მყარად შეგრძნება საფუძველს უქმნის გამართულად ფუნქციონირებად პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ინსტიტუტებს და ამით ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ეროვნულ უსაფრთხოებას; მეორეს მხრივ, უსაფრთხოების მაღალი ეროვნული დონე მდგრადი პიროვნული უსაფრთხოების მდგრადობის გარანტიებს ქმნის.

განათლების სისტემისთვის განუვლი მზარდი ხარჯები გარდაუვალად არ ნიშნავს უკეთეს ხარისხს და მდგრადობას. მთავრობის მკაფიო მანდატი მკაფიოდვე უნდა გამოხატავდეს განათლების ძირითად იდეას, რაც განათლების სფეროზე პასუხისმგებელ პირებს მიზნებისა და ამოცანების დასახვაში, ხოლო ქვედა დონეებზე მომუშავეებს აქტივობების დაგეგმვაში დაეხმარება.

განათლება უდაოდ რთულად გაზომვადი სისტემაა. ამიტომ შემოთავაზებულია ზოგიერთი ინდიკატორი მისი ხარისხობრივი შედეგების შესათვსებლად.

## EDUCATION FOR PEACE AND SUSTAINABLE DEVELOPMENT

KETEVAN CHIABRISHVILI

DAVID AGHMASHENBELI NATIONAL DEFENSE ACADEMY PROFESSOR  
OF BACHELOR MANAGEMENT FIELD

Considering security of the nation completely dependent on the military forces is an outdated approach. The development of civilization suggests breakdown of national security into political, military, economic, social and environmental securities. There are no practical evidences for governments of how they shall approach the management of fields of security in terms of the level of importance and their order. Enhancement of security becomes a composite task because those areas are interdependent and mutually determining.

Economic security is a multifaceted policy on the use all available economic tools to protect territorial integrity, ensure citizens' basic needs for goods and services, maintain political and cultural independence, and safeguard the state from threat of potential foreign military assault.

In early 1935, after the great depression Lucien B. Kinney was one of the first who attempted linking deficiencies in the education sector with the failure in economic development.

Equipping students with quality and cogent knowledge today means assembling building blocks for tomorrow's economic security at all levels: on the one hand, individual security supports well-functioning of political, economic and social security; and on the other hand, high level of national security ensures the sense of sustainable individual security.

Increasing spending for the system does not necessarily mean and guarantee its better quality and sustainability. Government's mandate shall clearly state the core idea of education helping educational institutions to set the goals and objectives for their activities. Only in this case will it be possible to juxtapose goals with outcomes of education and bring them closer to each other.

Having into mind the fact, that education is a heavily matrixed system, this work proposes some indicators for measuring its outcomes.

## შესავალი

ქვეყნის თავდაცვის ძალები თავდაცვისუნარიანობას ფიზიკურად უზრუნველყოფენ. დიდი ხნის განმავლობაში უგულებელყოფილი იყო უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი სფერო - ეკონომიკური უსაფრთხოება. ურთიერთკავშირები ზოგადი უსაფრთხოების ცალკეულ შემადგენელს შორის უსათუოდ საჭიროებს შემდგომ კვლევას და შესწავლას.

განათლების სფეროს გეგმები, განხორციელების გზები და შედეგები, თავის მხრივ ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი განმაპირობებელია. თუ განათლების სისტემას სწორი პოლიტიკური მანდატი აქვს მიცემული, თუ მას შინაგანი რესურსები და გარე ხელშეწყობა აქვს განათლების რეფორმირებისათვის, მაშინ სწორად მოხდება მანდატის შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრა, გეგმის დასახვა, არსებული რესურსების სწორი მობილიზება და მართვა ხარისხიანი განათლების გასავრცელებლად.

ხარისხიანი განათლება ქმნის ყველაზე მყარ საფუძვლებს ინდივიდუალური (მიკრო დონის) და ეროვნული (მაკრო დონის) ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, რაც სტაბილური და მდგრადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოს უღაო წინაპირობად იქცევა.

### 1. ეკონომიკური უსაფრთხოების გაზრდილი მნიშვნელობა

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ მდგრადი მშვიდობა და მდგრადი განვითარება მხოლოდ განვითარებული თავდაცვის ძლიერებით არ განისაზღვრება.

სამხედრო უსაფრთხოება ზოგადი უსაფრთხოების შესწავლისადმი ყველაზე ხანგრძლივი მიდგომაა, ეკონომიკური უსაფრთხოება კი - შედარებით ახალი, თუმცა უკვე ფართოდ აღიარებული. გასული საუკუნის 70-იანი წლების ნავთობთან დაკავშირებული შოკები დასაბამად იქცა, რომ უსაფრთხოების ექსპერტებს ელიარებინათ ეკონომიკის მნიშვნელობა ეროვნული სახელმწიფოების და მათი მოქალაქეების კეთილდღეობისათვის. საბჭოთა ტიპის კომუნიზმის ნგრევამ და საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებული ეკონომიკური სისტემის გავრცელებამ თვალსაჩინო გახადა საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროსადმი ყურადღების აუცილებლობა.

1991 წლის ნაშრომში „ადამიანები, სახელმწიფოები და შიში“ ტონი ბუზანმა (ინგლისელი მწერალი და განათლების კონსულტანტი) შეცვალა მიმართულება უსაფრთხოების დონეებისა და სექტორების გააზრების შესახებ. მან სამ დონედ დასახა ინდივიდები, სახელმწიფოები და საერთაშორისო სისტემები. სხვა ნაშრომში კი - „გლობალური უსაფრთხოების ახალი მოდელები ოცდამეერთე საუკუნეში“ - შეეხო უსაფრთხოების პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს სფეროებს.

ბუზანი იმავე 1991 წელს აღნიშნავდა, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების განსაზღვრა საკმაოდ რთულია, რამდენადაც, საბაზრო ეკონომიკური სისტემის ძირითადი მახასიათებელია ე.წ. „მუდმივი საფრთხის შემცველი“ კონკურენტული და არაპროგნოზირებადი სისტემა. ე.ი. საბაზრო ეკონომიკა უკეთესად ფუნქციონირებს, თუ არსებობს საყოველთაო კონკურენცია და მარცხისა და წარუმატებლობის მუდმივი

საფრთხე. შესაბამისად ეკონომიკური უსაფრთხოება ერთი შეხედვით შეესაბამოც ჩანს ისეთ გლობალურ საბაზრო მექანიზმებთან, როგორცაა მზარდი თავისუფალი ვაჭრობა და მზარდი კონკურენცია. ამას გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ეკონომიკურ საფრთხეებს, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხოების სხვა სექტორებთან. უსაფრთხოების სფეროები ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმაპირობებელია. მაგალითად, ეკონომიკურმა საფრთხემ შესაძლოა დააზარალოს სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური სტაბილურობაც. გასაგებია, რომ სამხედრო უსაფრთხოება ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე დამოკიდებული ბიუჯეტის შემლუღვების თვალსაზრისით.

ეკონომიკური უსაფრთხოების შესწავლა უნდა ხდებოდეს იმ შინაარსით, თუ როგორ იყენებს სახელმწიფო ეკონომიკურ მექანიზმებს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, რა ხარისხით ახდენს თავისი მოქალაქეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, როგორ ინარჩუნებს პოლიტიკურ და კულტურულ დამოუკიდებლობას და როგორ ახერხებს უცხო სამხედრო თავდასხმისგან თავის არიდებას (ბ. ჰორიგანი, და სხვ., 2008).

არის მოსაზრებები, რომ ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოება ერთ სივრცეში განიხილებოდეს და ანალიზდებოდეს. მაგალითად, განმარტებულია, რომ ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოება არის სტაბილური შემოსავლის ან სხვა რესურსების არსებობის უწყვეტობა ცხოვრების სტანდარტების უზრუნველსაყოფად ახლა და პროგნოზირებად მომავალში, რაც მოიცავს სავარაუდო უწყვეტ გადახდისუნარიანობას; ინდივიდის ან სხვა ეკონომიკური ერთეულის (მაგალითად, მთლიანად ქვეყნის) მომავალი შემოსავლების პროგნოზირებას; დასაქმების ან სამუშაოს უსაფრთხოებას. ფინანსური უსაფრთხოება კი ინდივიდის ან ოჯახის ფულისა და დანაშოგების მართვას გულისხმობს. ეკონომიკური უსაფრთხოება ასევე ითავსებს საზოგადოების მწარმოებლობის დონეებს, არამომუშავე მოქალაქეების მონეტარულ შემწეობას და ყოველივე ამის შედეგებს.

### 2. ბანათლების გავლენა ეკონომიკური უსაფრთხოების დონეზე

ჯერ კიდევ 1935 წელს დიდი დეპრესიის შემდეგ ლუსიენ ბ. კინიმ სცადა განათლების სფეროს ნაკლოვანებები ეკონომიკურ არასაიმედობასთან და დაუცველობასთან დაეკავშირებინა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი მცდელობა.

მდგრადი მომავლის შექმნა ეფუძნება მშვიდობიან საზოგადოებას. განათლება მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცევა ურთიერთდამოკიდებული და ერთმანეთისგან გამომდინარე მიზნების მიღწევისთვის.

მშვიდობისა და მდგრადი განვითარებისთვის განათლების სრულყოფას გრძელვადიანი გავლენა ექნება არამხოლოდ სწავლების შედეგებსა და განათლების ხარისხზე, არამედ წვლილს შეიტანს უფრო მეტად ინკლუზიური, თანასწორი და სამართლიანი საზოგადოების განვითარების დაჩქარებაში. ეს წახალისებს დადებით სასკოლო კულტურას და სტუდენტთა მზარდ ჩართულობას; ისეთი პრაქტიკის დანერგვას, რაც შესაბამისობაში იქნება თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის ღირებულებებთან; განავითარებს უნარებს და დამოკიდებულებებს, რაც შესაძლებელს



გახდის მოქალაქეებისთვის ჯანსაღი და სრულფასოვანი ცხოვრების პირობების შექმნას. ამაში იგულისხმება თანამშრომლობისა და მიზნების ერთობლივად მიღწევის სურვილი, პრობლემების გადაჭრის უნარები, განათლება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში და სოციალური და კულტურული კომპეტენციები (UNESCO, 2019).

აღსანიშნავია, რომ განათლება არ გულისხმობს ფაქტების ინტერპრეტაციას. ის ფაქტების მხოლოდ დამახსოვრებასა და ტერმინებისა და კონცეფციების მარტივ გაგებაზე ბევრად მეტია. კარგმა განათლებამ მოსწავლეს და შემდეგ სტუდენტს საშუალება უნდა მისცეს დამახსოვრებული და გაგებული ცოდნად გარდაქმნას, გამოიყენოს და ასახოს რეალური ცხოვრების გამოწვევებთან გასამკლავებლად, რათა შეძლოს ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი მიზნების მიღწევა პიროვნულ და ეროვნულ დონეებზე. ეს ორი დონე ორმხრივ სარგებელს განაპირობებს. ერთის მხრივ, პიროვნული უსაფრთხოების მყარად შეგრძნება საფუძველს უქმნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების გამართულად ფუნქციონირებას და ამით ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და ეროვნულ უსაფრთხოებას; თავის მხრივ, უსაფრთხოების მაღალი ეროვნული დონე მდგრადი პიროვნული უსაფრთხოების გარანტიებს ქმნის. აქვე დავაკონკრეტებთ ანგლო-საქსურ და აზიურ მიდგომებს. ანგლო-საქსური მიდგომით განათლება ინდივიდუალურ დონეზე განიხილება და თითოეული ჩვენგანის ეკონომიკური უსაფრთხოების განმაპირობებელია. აზიური მიდგომა კი განათლებას ეროვნულ დონეზე განიხილავს და ხარისხიანი უნარ-ჩვევების მქონე სამუშაო ძალას ამზადებს.

თვით ეკონომიკური უსაფრთხოება ორ დონეზე განიხილება. ერთია ინდივიდუალური დონე, რაშიც გულისხმობენ განათლებას, როგორც ინდივიდის ეკონომიკური დაცულობის განმაპირობებელს, ხოლო ეროვნულ დონეზე განათლებამ უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადება. განათლების სისტემამ უნდა დასახოს სტრატეგია ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ეფექტიანი რეალიზებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე თაობების მოსამზადებლად. ცხადია, მიზანი ეროვნული ეკონომიკის ზრდაა.

არასტაბილური მთავრობები, უთანასწორობა, საჭირო უნარ-ჩვევების მქონე სამუშაო ძალის ნაკლებობა ზრდის ეკონომიკურ საფრთხევებს. თუ განათლების სექტორმა ვერ მართა ეს გამოწვევები, ეროვნული უსაფრთხოებაც ვერ იქნება დაცული. განათლება ძლიერი ეკონომიკის ძირითადი შემადგენელია (Brown, 2010).

განათლების ეფექტიანობა ეკონომიკური განვითარების და სოციალური გარდაქმნების მძლავრი საშუალებაა და ინდივიდის და ქვეყნის დონეზეც დამოუკიდებლობისა და თავდაჯერებულობის მომტანია.

2010 წელს ამერიკის განათლების მდივანმა არნე დუნკანმა საგარეო საქმეთა საბჭოს წინაშე ისაუბრა განათლებულ მოქალაქეებზე: „ამერიკის წარმატება დამოკიდებულია ინდივიდუალური მოქალაქეების წარმატებაზე უბრალოდ იმიტომ, რომ ვაცლობობის პროგრესი უშუალოდაა დამოკიდებული ერის პროგრესზე. მნამს, რომ განათლებას განუზომელი ძალა აქვს 21-ე საუკუნეში ზრდისა და პროგრესის მისაღწევად“ (Shiplett et al. 2011: 83).

## 2.1 განათლება, როგორც საჯარო პროდუქტი

იდეალურ შემთხვევაში განათლების სტრატეგია და პრინციპები პოლიტიკიდან უნდა გამომდინარეობდეს, მაგრამ საჭიროა განათლება პოლიტიკაზე ყოველთვის მაღლა იდგეს.

ხდება თუ არა ასე სინამდვილეში?

საჯარო განათლებასთან დაკავშირებული ორგანიზაციები ყოველთვის მთავრობის მიერ განსაზღვრულ დაფინანსებაზე არიან დამოკიდებული. ამიტომაც ხშირად პოლიტიკური მოსაზრებებით შეზღუდული არიან და პირდაპირ გავლენასაც კი განიცდიან. საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი განსხვავება ისაა, რომ საზოგადოების მიმართ სხვადასხვა დონით ანგარიშვალდებული არიან. განათლების სექტორი ცალსახადაა პასუხისმგებელი გარე მხარეების და საზოგადოების მიმართ. საჯარო სექტორის ორგანიზაციებს პოლიტიკური და მარეგულირებელი მოთხოვნები მართავს. თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებები რეფორმების თაობაზე შენელებულია და იგვიანებს, მაშინ სწავლების ინოვაციური და ნიჭიერი იდეებიც უკან იხევს. სხვა შემთხვევებში კი სკოლები და უნივერსიტეტები მოუქნელები და არაადეკვატურად ნელი აღმოჩნდებიან ხოლმე დაგეგმილი პოლიტიკური ცვლილებებისადმი შესაბამისი რეაგირების მოხდენაში, რადგან მასწავლებელთა უმრავლესობას თავიანთი მოვალეობების მიმართ დაუძლეველი კონსერვატული მიდგომა აქვთ.

სკოლებს და უნივერსიტეტებს ხშირად სირთულეები აქვთ გარემოსთან შეგუების მხრივაც. განათლების სამინისტრო მმართველობის შერეული სისტემის მაგალითია. შიდა გარემოს სწორი რეაგირება საზოგადოებრივ მოლოდინებზე, ეროვნული პოლიტიკის განვითარების მიზნების ასახვა და განვითარების გზებთან შესაბამისობა რთული ამოცანაა. განათლება მძიმე სისტემაა, გარკვეულწილად მოუქნელიც და ამიტომ კონსენსუსის მიღწევა განვითარებების მიმართულებებზე ძნელია. ეს უმეტესად გამოწვეულია სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური გარემოთი, ნაწილობრივ კი - საჭირო უნარების მქონე მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობით.

სტრატეგია და მისი მიმართულებები იშვიათად განისაზღვრება თანმიმდევრულად და არ ასახავს ხარისხიანი განათლების წინასწარ დადგენილ და შეთანხმებულ მიზნებს და ამოცანებს. ამიტომაც, თითქმის შეუძლებელია ან ძალიან უმნიშვნელო განსხვავების დანახვა მშპ-ს 0.5%-სა და 5%-ს შორის, რაც განათლებისთვის დაიხარჯა. მხოლოდ დიდი დაფინანსებით ვერ გადაილახება განათლებაში არსებული გამოწვევები. მითუმეტეს, **თუ შეუძლებელია ამ დანახარჯებით მიღებული ხარისხობრივი შედეგების შედარება.** შედეგად კი გამოდის ის, რომ უმრავლეს შემთხვევაში საგანმანათლებლო ინსტიტუტების სხვადასხვა დონეების კურსდამთავრებულები და სტანდარტიზებული ტესტების შედეგები არასაკმარისი აღმოჩნდება ხოლმე სტრატეგიული წინსვლის შესაფასებლად და მომავალი რეფორმების დასაგეგმად. მთავრობებს აკლიათ გამოცდილება და პოლიტიკური სურვილი, რომ მოითხოვონ გონივრული ანგარიშები, რომელიც ნათლად აჩვენებს კავშირებს სისტემის მიერ დასახულ მიზნებსა და მიღებულ შედეგებს შორის. საჭიროა კონსენსუსის მიღწევა იმაზე, თუ რა მიმართულებას უნდა მიყვას სისტემა, რათა

თავიდან იქნას აცილებული რეფორმების პროცესის სტაგნაცია. ეს თავის მხრივ იმის გარანტია იქნება, რომ საგანმანათლებლო ინსტიტუტების კურსდამთავრებულები თავიანთი შესაძლებლობების რეალურ მაქსიმუმს მოახმარენ საზოგადოებას და განაპირობებენ მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

ამ მიზნის მიღწევა უკეთესად შეიძლება, თუ მთავრობა სისტემისთვის გასაგებ მანდატს გასცემს. მანდატი მტკიცე ნიადაგს შექმნის სისტემის განვითარების რეალისტური გეგმების დასახვისათვის. ზოგიერთი მაგალითი გვიჩვენებს, როგორ იძლევიან მთავრობები ეკონომიკური განათლების გაუმჯობესების განკარგულებას და ამასთან ერთად მიმართულებებსაც აძლევენ განათლების სისტემას. მაგალითად, მანდატში ნათქვამია: „...განახლდეს კურიკულუმი და შეფასების პრაქტიკა ისეთი გლობალური კომპეტენციების სწავლებისათვის, რაც აუცილებელია თანამედროვე და მომავალი ეკონომიკისთვის. ეს კომპეტენციებია კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრის უნარი, ინოვაცია, შემოქმედებითობა, მენარმეობა, თვით-ორგანიზაცია, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, გლობალური მოქალაქეობა და მდგრადობა“. შემდგომ სკოლებმა და უნივერსიტეტებმა შეიძლება დაშალონ ეს მანდატი ნაწილებად, ჩამოაყალიბონ სასწავლო თემები და მიმართულებები, რომლებიც თითოეულ ნაწილს შეესაბამება, გააუმჯობესონ კურიკულუმი და სილაბუსები, ასწავლონ მასწავლებლებს და ინსტრუქტორებს. ამგვარად ქმედითი წრე ქვეყანას უწყვეტ და მდგრად განვითარებამდე მიიყვანს.

საერთაშორისო ინსტიტუტები ხარისხიანი განათლების ზოგად ჩარჩოებზე მუშაობენ. გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი, რომელიც განათლებისთვისაა დასახული, უმთავრეს მიმართულებას იძლევა: „2030 წლისთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას ის, რომ ყველა მოსწავლემ და სტუდენტმა შეიძინოს ცოდნა და უნარები, რომლებიც ხელს შეუწყობს

მდგრად განვითარებას. ეს შესაძლებელი იქნება ისეთ სფეროებში განათლების მიღებით, როგორცაა თვით მდგრადი განვითარება და ცხოვრების მდგრადი სტილი, ადამიანის უფლებები, სქესთა თანასწორობა, მშვიდობისა და არაძალადობრივი კულტურის ჩამოყალიბება და განმტკიცება, მსოფლიო მოქალაქეობა, კულტურათა განსხვავებულობის პატივისცემა და კულტურათა წვლილი მდგრად განვითარებაში“.

სახელმწიფოებს და განათლებასთან დაკავშირებულ უწყებებს უნდა ჰქონდეთ იმ გეგმების და პროცესების მკაფიო საზომები, რაც უზრუნველყოფს მანდატების და მათთან შესაბამისი პროექტების წარმატებით დანერგვას.

## 2.2. ნაკლოვანებები განათლების შედეგების საზომებში

განათლება ძნელად შესაფასებელი სისტემაა. იდეალურ შემთხვევაში განათლების ხელშემწყობი დაფინანსება ასახავს გააზრებულ და ქმედით კავშირებს გეგმებსა და რესურსების შეზღუდვებს შორის. რესურსების შეზღუდულობა ხშირად აიძულებს სასწავლო დანესებულებებს, რომ გაზარდონ კლასები შემდგომი საჭირო ცვლილებების გარეშე.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ამ სფეროში შეფასება საჭიროა საბიუჯეტო დანახარჯების ეფექტიანობის მიხედვით: „ცხადია, რომ განათლების, როგორც საჯარო პროდუქტის ანალიზისას ეკონომიზაციის კონცეფცია უნდა გამოვიყენოთ. ესაა შეფასება, რომელმაც უნდა გამოაცალკევოს პრიორიტეტები, რაციონალური არჩევანი და არსებული რესურსების განთავსება მიზნების მაქსიმალურად მისაღწევად, ე.ი. უნდა შეფასდეს ის ღონისძიებები, რაც შედეგების მაქსიმიზაციას ემსახურება“.

(Siwińska, 2003)

ქვემოთ შედგენილია სქემა 1, რომელიც ასახავს კავშირებს განათლების სფეროში გათვალისწინებულ რესურსებსა და სისტემის შედეგებს შორის.

რესურსები → პროცესი → შედეგები

### გარემო/კონტექსტი (სისტემის გარე ფაქტორები)

- პოლიტიკური მიმართულებები
- ეკონომიკური მიმართულებები
- სოციალური მიმართულებები
- ტექნოლოგიური მიმართულებები
- განათლების მიმართულებები

### წარმატების ფაქტორები

ორიენტაცია მდგრადობაზე

### სისტემის მიმართულება

- სახელმწიფოს მანდატი მდგრადი განვითარების საჭიროების შესახებ
- ღირებულებები: ეკონომიკური უსაფრთხოება და მდგრადობა
- მისია: მდგრადი ცოდნის უზრუნველყოფა...
- ხედვა: ...ახალი მიდგომების/მეთოდების გამოყენებით
- მიზნები და ამოცანები: მანდატის გადათარგმნა ხარისხის სტანდარტებად და საქმიანობის მიზნებად
- სტრატეგიული სირთულეები: არათანმიმდევრულობა მიზნებსა და რესურსებში
- სტრატეგია: დაკავშირებული ინსტიტუტების თავმოყრა და ყველა რესურსის ეფექტიანად გამოყენება ხარისხიანი და მდგრადი ცოდნის გასავრცელებლად

### სისტემის კულტურა

- როგორ იქცევიან ადამიანები?
- გამოიხატება მათ მიერ აღიარებული ღირებულებები მათ ქცევებში?
- როგორ იმართება კონფლიქტი?
- როგორია ურთიერთობების არაფორმალური მოდელები?
- არსებობს თუ არა სუბ-კულტურები?
- ეხმარება თუ ხელს უშლის კულტურა ძალიან სხვისი გაერთიანებას?
- ერწყმის თუ არა კულტურა არსებულ გარემოს?

### რაოდენობრივი შედეგები

- სისტემის ინსტიტუტების რეპუტაცია და რანგი
- ლიცენზირება/ავტორიზაცია/ აკრედიტაცია
- პარტნიორობა სხვა ინსტიტუტებთან
- შეთავაზებული პროგრამების /მომსახურებების/ საქმიანობების რაოდენობა
- ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობები
- ერწყმის თუ არა კულტურა არსებულ გარემოს?

### ხარისხობრივი შედეგები

- პროგრამების ხარისხით ვმაცოფილების დონე
- არამატერიალური ცვლილებები/გარდაქმნები
- კურსდამთავრებულების კარიერული მზადყოფნა
- კურსდამთავრებულების პროფესიული საქმიანობა და მიღწევები

არსებობს პოლიტიკური და ეკონომიკური საქმიანობის ისეთი სფეროები, სადაც თითქმის შეუძლებელია სასურველი მიზნებისკენ მიმავალ გზაზე შედეგების ან მიღწევების დონის გაზომვა. თავდაცვა და განათლება ამ მხრივ მსგავსი სფეროებია. მაგალითად, თავდაცვის, როგორც საჯარო პროდუქტის ეფექტიანობა მხოლოდ ომის შედეგით შეიძლება გაიზომოს - შეიარაღებული ძალები ან იგებენ, ან აგებენ ომს: „... სამხედრო ძალების ეფექტიანობის საბოლოო გამოცდა ომია“, თუმცა ეს, რა თქმა უნდა „მიუღებელი პერსპექტივაა“. (Schick, 1980) ზუსტად ასევე, განათლების, როგორც მეორე საჯარო პროდუქტის შედეგად შეიძლება გაიზომოს როგორც ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოების საბოლოო სასურველი მიღწევა - უკიდურესად რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და გარემო პირობებში გადარჩენის უნარი. ისეთი რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორცაა სკოლების და კოლეჯების კურსდამთავრებულების რაოდენობა, მომზადებული და გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა, ან თუნდაც ცვლილებები კურიკულუმში, სრულად ვერ იძლევიან წარმოდგენას განათლების რეფორმებისთვის საბიუჯეტო თანხების ეფექტიანად გამოყენების და მართვის შესახებ.

#### დსსკჰნა

ეკონომიკური უსაფრთხოება შეიძლება განიხილებოდეს როგორც უმთავრესი ინდიკატორი სახელმწიფოს ზოგადი უსაფრთხოებისთვის. კვლევებით

დადასტურებულია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევით უსაფრთხოების სხვა დონეებიც უფრო ადვილად მიიღწევა. ქვეყანაში გარემოს უსაფრთხოება დიდწილად დამოკიდებული ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე. უსაფრთხოების ანალიზი ცალ-ცალკე ყველა სექტორში და მათი მნიშვნელობა ქვეყნის საერთო უსაფრთხოებისთვის გადამწყვეტია რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვისაც.

სადაოდ აღარ ითვლება მყარი კავშირის არსებობა განათლებასა და ეკონომიკურ უსაფრთხოებას შორის. განათლების სისტემის შედეგებმა შეიძლება ორი საპირისპირო რამ განაპირობოს: გააძლიეროს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება, ან პირიქით, მისი ეკონომიკა ადვილად მონყვლადი გახადოს.

განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს სისტემის შიდა უნარების განვითარება თანამედროვე სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების ფეხის ასაწყობად. კონკურენტუნარიანობაზე ორიენტირებული განათლება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ძლიერი მამოძრავებელია. თუ ამ მიმართულებით მთავრობების მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა, მაშინ ვერც განათლების მართვას დაიცავენ კომპრომისებისგან და უფუნქციოებისგან.

საჭიროა განათლების სისტემის შედეგების ახალი საზომების დამუშავება და დანერგვა, რომ შეფასების სისტემა ასახავდეს და შეესაბამებოდეს მიზანს - მგრადი ეკონომიკური უსაფრთხოების და მშვიდობის მიღწევას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- UNESCO, Themes of peace: Education for peace and sustainable development develops 21st-century skills, 02 Jul 2019, By Stephanie Roach, a George Washington University Fellow for the Capacity Development for Education and Strengthening Pre-Service Teacher Education in Myanmar Sections at UNESCO Myanmar
- Brown, S. (2010), Education and Economic Security, Ohio: College Presidents Conference
- Buzan, Barry. «New Patterns of Global Security in the Twenty-First Century.» International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944-) 67.3 (1991): 431-451.
- Buzan, Barry.(1981), People, States and Fear: An Agenda For International Security Studies in the Post-Cold War Era. 1st edion, 2nd Edition . Hertfordshire: Harvester Wheatsheaf , 1991 and 2008 with a new preface from the author.
- Horrigan, B., Karasik, Th., Lalgee, R. (2008), Security Studies in Encyclopedia of Violence, Peace, & Conflict (Second Edition), pp. 1892-1900
- Shiplett, M.H, Russell, W., Khademian, A.M., Gant, L.P. (2011), ‘A well-educated workforce: vital component of National and economic Security’, in: Ronis, S.R. (ed.), Economic Security. Neglected dimension of National Security, Washington: National Defence University Press: 83
- Siwińska J., [2003], Sektor publiczny w gospodarce, w :Bednarski, M., Wilkin, J. (red.), Ekonomiadlaprawnikowinietylko, LexisNexis, Warszawa.

# სარედაქციო კოლეგია

## ხელმძღვანელი:

ვიცე-პოლკოვნიკი  
დავით რაზმაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის  
რედაქციის მონაწილე.

## სარედაქციო კოლეგია:

ვიცე-პოლკოვნიკი  
იოსებ ჯაფარიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის  
ბაკალავრიატის უფროსი

ნიკოლოზ სამხარაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის  
მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების  
ხელმძღვანელი (პროფესორი)

გურამ აბლაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის  
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების  
მიმართულების ხელმძღვანელი (პროფესორი)

## სარედაქციო ჯგუფი:

ეთევეან ეურციკიძე  
იზა ჯანიშვილი  
ნინო შავდათუაშვილი

თარგმანი და რედაქტირება ინგლისურ და ქართულ ენაზე

მარინა ძულიაშვილი

დიზაინი

# EDITORIAL BOARD

## **EDITOR IN CHIEF:**

LTC DAVID RAZMADZE      DEPUTY RECTOR, LEPL – DAVID AGHMASHENEBELI  
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA.

## **EDITORIAL BOARD:**

LTC IOSEB JAPARIDZE      HEAD OF BACCALAUREATE, LEPL – DAVID AGHMASHENEBELI  
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA.

NIKOLOZ SAMKHARADZE      HEAD OF MA PROGRAM OF DEFENCE ANALYSIS,  
LEPL – DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE  
ACADEMY OF GEORGIA, (PROFESSOR).

ZURAB AGLADZE      HEAD OF MA PROGRAM OF SECURITY STUDIES,  
LEPL – DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE  
ACADEMY OF GEORGIA, (PROFESSOR).

## **EDITORIAL STAFF:**

KETEVAN KURTSIKIDZE      TRANSLATION AND PROOFREADING IN  
IZA JANIASHVILI      ENGLISH AND GEORGIAN  
NINO SHAVDATUASHVILI

MARINA DZULIASHVILI      DESIGN



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს  
ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI  
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

12.11.2020





სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI  
NATIONAL DEGENCE ACADEMY OF GEORGIA